სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 29 აპრილი 2000 №80 (1102) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილოცავთ აღდგომის დღესასწაულს!

მომდევნო სარბიელი გამოვა ოთხშაბათს, 3 მაისს

გუშინ წყალტუბოში. „26 მაისის“ სტადიონის სათადარიგო მინდორი:
კლუბის ტექნიკური დირექტორი თამაზ ცინარიძე, მწვრთნელი ჯანი კარნევალი და მისი თანაშემწე ლუჩო მესინა ბათუმელთა ვარჯიშისას

ბათუმი და მისი ჯანი თუ ფორპედო ყიფიანით?

რეპორტაჟები წყალტუბო-ქუთაისიდან და ავლაბრიდან იხილეთ მეორე-მესამე გვერდებზე

ვარაზ დოლიძაგვილის ფოტო

გუშინ ავლაბარში: „თბილისი“ — „გორდა“ 1:4. დუბლის გამტანი
რუსთაველთა კაპიტანი ვარლამ კილასონია და თბილისელი პაატა ბარნოვი

4 არარატის მთა, ღრუბელი და ფრე

როგორ შეარიგა ალექსანდრე ჩივაძემ არკადი ანდრეასიანი და ხორენ ოგანესიანი

5 ისევ ბარსელონა, ისევ ატლეტიკო

დასჯილი კატალონიელები დღეს ისევ „ატლეტიკოს“ ხვდებიან

6 10 დღე, რომელმაც შეძრა ვან ნისტელროი

მეთერთმეტე დღეს იგი ჰოსპიტალში აღმოჩნდა

8 ზაზა ფაჩულია დიდინმა დიდხანს ათამაშა

სტამბოლის „ულქერის“ ჭაბუკმა ქართველმა ფორვარდ-ცენტრმა 23 წუთში 9 ქულა, 6 მოხსნა, 2-2 პასი და ჩაჭრა გააკეთა



9 ტური

«ა» ზონა

29 აპრილი, შაბათი

დინამო კოლხეთი

ტორპედო ბათუმი

სიონი ვიტ ჯორჯია

დილა იბერია

ტორპედო	8	4	2	2	19:9	32
დინამო	8	3	5	0	9:1	31
ბათუმი	8	5	1	2	14:3	29
ვიტ ჯორჯია	8	4	4	0	7:3	28
კოლხეთი	8	3	2	3	7:7	24
სიონი	8	2	1	5	9:15	18
იბერია	8	2	1	5	5:19	16
დილა	8	1	0	7	6:19	13

«ბ» ზონა

28 აპრილი, პარასკევი

თბილისი 1
გორდა 4

29 აპრილი, შაბათი

არსენალი ხობი

ლოკომოტივი თსუ

მერანი სამგურალი

მერანი	8	6	2	0	10:1	28
გორდა	9	6	1	2	16:4	27
ლოკომოტივი	8	5	2	1	14:2	26
თსუ	8	5	0	3	11:7	23
სამგურალი	8	3	2	3	8:6	17
არსენალი	8	2	0	6	7:16	11
თბილისი	9	1	1	7	6:18	11
ხობი	8	1	0	7	7:25	8

პირველი ეტაპის ქულები განახევრებულია

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი
9 ტური

თბილისი გულში მღეროდა

თბილისი
28 აპრილი
16 საათი
ისანი
100 (ტევადობა 3 000)

თბილისი 1:4 გორდა

0:1 ბურნაძე (12), 0:2 ვ. კილასონია (21), 0:3 მელაძე (77), 1:3 გადელია (85 პ), 1:4 ვ. კილასონია (89)

თბილისი: ბათიაშვილი, ზამთარაძე (ძაგნიძე 82), კ. მელქაძე, ბარნოვი, ზვ. ლაბაძე, ამაშუკელი, პაპიძე, ჩივაძე (გ. ღუდუშაური 46), დ. ტყებუჩავა (ყუფარაძე 58), გადელია, ი. შენგელია

სათადარიგონი: მამალაძე; გაფრინდაშვილი, მანჭარაული

გორდა: ბედიაშვილი, მჭედლიძე (კიტეიშვილი 79), ბურნაძე, ბექაური, გაბელაია, ვ. კილასონია, მელაძე, გ. კილასონია, მიშველიძე (ა. ბუკია 76), კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე

სათადარიგონი: გონგაძე; პატარიძე, ბერიძე, სილაგაძე, ბაჩილავა

მსაჯები: ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ა. მეშკოვი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

ვანო ოძროპირიძე

„თბილისმა“ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა უკან. ერთი ტურიც და მეორე ლიგის საგზურსაც ოფიციალურად გაიფორმებს. „თბილისის“ ხელმძღვანელობის („დინამოსიც“) გამკვირვებია, თუ გუნდი არ უნდოდათ, რატომ გაიგიჟეს თავი, რატომ ჩაიდინეს ევროპულ ფეხბურთში ჯერაც არნახული რამ? ალბათ მიხვდით, ფარმკლუბის პირველ ლიგაში გადმოყვანაზე მოგახსენებთ. „დინამო 2“-ს დიდი ბრძოლის გადახდა მოუხდა, ვიდრე ელიტაში (პირობითი მცნებაა) მოხვდებოდა, მერე სურვილი აისრულა, საუკეთესოთა შორის აღზევდა, სახელიც გამოიცვალა და უკუსვლაც დაიწყო. რაღა „თბილისი“, რაღა „არსენალი“. ამ ორ უპატრონო კლუბს უკვე სტადიონიც აერთიანებს. ამ ბოლო დროს, „თბილისი“ საშინაო მატჩებს სწორედ „ისანზე“ ატარებს.

თავიდან ასეთი გადაწყვეტილება იმით ახსნეს, თამაშის დროები ემთხვევაო, გუშინ კი ეროვნულზე არავის უთამაშია, ამიტომ „თბილისის“ „ისანზე“ მასპინძლის რანგში ყოფნაც გაუგებარია.

„თბილისის“ ხელმძღვანელობისგან კი არაფერი ისმის, ამირან გულში მღეროდას პრინციპით მუშაობენ. ისე, ისიც საკითხავია, ჰყავს კი გუნდს ხელმძღვანელობა?

გუშინ მასპინძლებმა ისე ითამაშეს, როგორც ბოლო დროს დაგვაჩვიეს. კარგა ხანია, ამ გუნდის გარჯაში სასიკეთო არაფერი შეგვიმჩნევია. გუშინაც ასე იყო. „ისანზე“ შეკრებილმა მცირერიცხოვანმა მაყურებელმა მოშლილი, დემორალიზებული გუნდი იხილა. არც რუსთაველებს გაუკეთებიათ რაიმე განსაკუთრებული, თუმცა „თბილისთან“ დიდი ანგარიშით მოგება მაინც არ გასჭირვებიათ.

შეხვედრის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა. მე-12 და 21-ე წუთებზე სტუმრებმა ორჯერ დაამწუხრეს ბათიაშვილი. პირველი გოლი გიორგი კილასონიას ჯარიმას მოჰყვა, ბურნაძემ კარგად შეარჩია ადგილი და საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი კეფით კარში გადაგზავნა. მერე მიშველაძემ ვარლამ კილასონია გაიყვანა მეკარესთან პირისპირ და მანაც შეაძლებლობა არ გაუშვა ხელიდან. პირველ ნახევარში კიდევ ორი ეპიზოდის აღნიშვნა შეიძლება. 2:0-ზე გიორგი კილასონიამ უფროსი ძმა კიდევ ერთხელ შეატოვა მეკარეს, თუმცა მახვილი კუთხე იყო და ვარლამმაც ოდნავ გადააცილა კარს. ტაიმის მიწურულს „გორდას“ დაცვა შეცდა. ბურთი მანამ აგორეს რუსთაველებმა საკუთარ ნახევარზე, ვიდრე შენგელიამ არ ჩაუჭრა. ირაკლი ბედიაშვილთან მარტო კი დარჩა, მაგრამ მაინცდამაინც მეკარეს დაუმიზნა ბურთი. „თბილისს“ პირველ ნახევარში „გორდას“ კარში მეტი არც დაურტყამს.

მეორე ტაიმის დაახლოებით მე-60 წუთიდან მასპინძლები ოდნავ გამოცოცხლდნენ და მეტოქეს უფრო აქტიურად შეუტიეს, თუმცა ხეირი ვერ ნახეს. არადა, შენგელიას, ღუდუშაურსა და ყუფარაძეს შეეძლოთ გატანა. სამაგიეროდ, რუსთაველებმა გამოიყენეს კარგი მომენტი. ზურაბ ლაბაძის გარღვევას და დაბალ ჩაწოდებას მცველების შეცდომა და მელაძის გოლი მოჰყვა. მერე „თბილისმა“ ერთი ბურთი გაქვითა. ბურნაძე ხელით თამაშის გამო დაჯარიმდა და გადელიამაც გამოიყენა პენალტი. 89-ე წუთზე კი ძმებმა თავისი მაინც გააკეთეს. კილასონიების გათამაშებული კომბინაცია ვარლამმა ახლოდან ცხრიანში დარტყმით დაასრულა და სეზონში მეთექვსმეტე ბურთი შეაგდო. ახლა „გორდას“ ლიდერი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს, ტორპედოელ ზურაბ იონანიძეს სამი ბურთით ჩამორჩება.

დახევს ფიფა ფიფას ტყავს?

მრეტებს მხარს იუჰანსონიც დაუჭერს

ბადრი კეთილაძის ფოტო

ვაჟა ჩხაიძე

28 აპრილს სპორტის სასახლის საპრესკონფერენციო დარბაზში ს.კ. „მრეტების“ პრეზიდენტები — ვაჟა ჩხაიძე და ირაკლი ქავთარაძე მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. პრესკონფერენციას განსაკუთრებული ელფერი იმან შესძინა, რომ ვაჟა ჩხაიძე ბოლო ექვსი წლის მანძილზე პირველად ჩამოვიდა თბილისში.

შეკრების მიზეზი კი, რა თქმა უნდა, ლამისაა სერიალად ქცეული „მრეტები“-„დინამო“-სფფ-ფიფას ძნელადგასარკვევი (უფრო სწორად ვერგარკვეული) სიტუაციაა.

ვაჟა ჩხაიძემაც და ირაკლი ქავთარაძემაც საკმაოდ ენაწყლიანად ისაუბრეს კონფლიქტის გარშემო, მაგრამ, ბუნებრივია, საუბარი უფრო პირველს მიჰყავდა.

...მას შემდეგ, რაც ფიფამ თავისი დადგენილებით „დინამოს“ „მრეტებისათვის“. 300 ათასი დოლარის გადახდა დაუკანონა, ს.კ. „მრეტების“ პარტნიორთა საბჭომ დაამთავრა „დინამოსთან“ ურთიერთობების გარკვევა და ახლა მისი სამართლისძიება უშუალოდ ფიფასადმია მიმართული. საქმე იმაში გახლავთ, რომ 1997 წლის შემოდგომაზე ფიფამ უხეშად დაარღვია რა თავისივე კანონმდებლობა, ფაქტობრივად, გააუქმა ს.კ. „მრეტების“ სამართლიანი სასჯელი, ვინაიდან ფიფას პრეზიდენტის არჩევნების წინ სკანდალი და ხმაური ხელს არ აძლევდა, ბლატერმა, შეიძლება ითქვას, ეს საქმე მიაჩუმათა და მერე დავიწყებასაც მისცა.

...ამ გადაწყვეტილებით მან (ბლატერმა — კ.გ.) დაარღვია ფიფას სტატუსთა კომიტეტის წესდება, რომელიც უშუალოდ გუნდის (საფეხბურთო კლუბის) უფლებებს განსაზღვრავს, რის შემდეგაც „მრეტებმა“ თავისი კუთვნილი დაახლოებით მილიონ-ნახევარი დოლარი დაკარგა.

...საერთაშორისო საფეხბურთო კანონმდებლობით, „მრეტებს“ ქინქლაძის ტრანსფერის 50 პროცენტი ეკუთვნოდა, მაგრამ რახან საქმე გაიწელა და საქართველოში არსებული არეული სიტუაციაც უარესად ამუქებდა კონფლიქტს. ჩვენ (პარტნიორთა საბჭო — კ.გ.) თანახმანი ვიყავით, კუთვნილი თანხის 12,5-15 პროცენტი მიგველო. როგორც იცით, ამაზეც უარი გვითხრეს.

...ფიფას გადაწყვეტილება 300 ათასი დოლარის შესახებ „მრეტების“ სიმართლის აღიარება გახლავთ, მაგრამ ნურავის დაავიწყდება, რომ ამ დროისთვის ს.კ. „მრეტების“ ვალი მილიონ დოლარს აღწევს და ჩვენ გარკვეულ კომპენსაციას ვითხოვთ, ოღონდ ამჯერად არც „დინამოდან“, არც სფფ-დან, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი საყვედურების ობიექტი ახლა ფიფაა.

...არ გვაინტერესებს, გაატარებენ თუ არა „დინამოს“, ხელახალ რეგისტრაციაში, ან არის თუ არა იგი იურიდიული სუბიექტი — გუნდი თამაშობდა, ყოდა, ყიდულობდა ფეხბურთელებს, აწარმოებდა ოპერაციებს. აქედან გამომდინარე, იგი არღვევდა ქვეყნის კანონმდებლობას და რაკი ერთხელაც არ დაისაჯა, პასუხი მის გამო სახელმწიფომ უნდა აგოს.

...„დინამოს“ სარჩელი სამოქალაქო სასამართლოში ფიფას წესდების უხეში დარღვევაა, რის გამოც კლუბი 20 ათასი დოლარით დაჯარიმდა. სფფ-ს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, ფაქტობრივად, პროოკაციაზე წამოაგო ჟორდანია, როდესაც სარჩელი შეატანინა. ამ საქციელის გამო „დინამო“ საერთოდ უნდა მოეკვეთათ როგორც გარე, ასევე საშინაო შეჯიბრებებიდან, მაგრამ ხომ იცით, როგორ ხდება-ხოლმე. ძველი სფფ-ს სტრატეგია კი ნათელი იყო — „დინამოს“ სარჩელით იმარხებოდა თავად „დინამოც“ და „მრეტებიც“, ეს კი გვარიანი შვება გახლდათ (სფფ-სთვის)

...ქინქლაძის სატრანსფერო კონტრაქტი ვალერი ჩოლარიამ შეადგინა. მასზე „დინამოს“ მხრიდან გუნდის იმდროინდელმა პრეზიდენტმა, ვლადიმერ ისელიძემ მოაწერა ხელი, ჩვენგან კი „მრეტების“ მაშინდელმა თანაპრეზიდენტმა დავით დვალიშვილმა. სხვათა შორის, ვოვა ისელიძე ერთადერთი კაცია „დინამოს“ მხრიდან, ვინც სულ ამბობდა, რომ „მრეტებს“ ქინქლაძის ტრანსფერის 50 პროცენტი ეკუთვნის. ამას ვერ ვიტყვი ვალერი ჩოლარიაზე — მან სამჯერ მარტო კონტრაქტი შემაცვლევინა, დროთა განმავლობაში კი საერთოდ უარყო ხელშეკრულების არსებობა. მე მას გერმანიიდან დავურეკე და ვაგრძნობინე, რომ ასეთი საქციელისთვის პასუხს ვაგებინებდი. მართალი გითხრათ, საკმაოდ შეშინდა მაშინ გენერალური მდივანი.

...„მრეტები“ ამ საქმეში მარტო არ არის. მხარს გვიჭერენ ლენარტ იუჰანსონი, G 14 (ბოსი „რეალის“ პრეზიდენტი ლორენცო სანსია), სხვა გავლენიანი პირები და სხვათა შორის, იმ ქვეყანათა ფეხბურთის ფედერაციებიც, რომელთაც ფიფას პოლიტიკა ყელში ამოუვიდათ.

...„მრეტების“ პარტნიორთა საბჭოში სხვებთან ერთად ევროპაში ცნობილი და გავლენიანი ადვოკატებიც შედიან — შვეიცარიელი მურისი, გერმანელი გროდერი. მათ „დინამოდან“ წლების მანძილზე ყალბ ინფორმაციებს აწვდიდნენ. ახლა მალე გამოვა ჩემი ტრილოგია, სადაც მოთხრობილია ყოველივეს შესახებ. ეს წიგნები ნათლად აღწერენ იმ სიბინძურეს, რაშიც „მრეტებს“ მოუხდა არსებობა. მიუხედავად ამისა, ჩვენს ისტორიაში ერთი შავი ლაქა არ არსებობს.

...ადვოკატების პოზიცია ცალსახაა, ჩვენი და ფიფას სასამართლო ამერიკაში უნდა გაიმართოს. ფიფა შვეიცარიაშია რეგისტრირებული და ჩვენ შეგვიძლია, ციურიხში შევიტანოთ სარჩელი. არც გერმანიასა ან სტრასბურში გაგვიჭირდება ამის გაკეთება, მაგრამ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ფიფა ვერ აკონტროლებს და ვერც დააშინებს, აშშ-ა, ამიტომ ვირჩევთ ამერიკას.

...ფიფას ფედერალური სამართალი და სტრატეგია ეწინააღმდეგება აშშ-ს სახელმწიფოს პოლიტიკას — „მრავალფეროვან კულტურათა მშვიდობიანი თანაარსებობა“. თანამედროვე ფეხბურთი „კულტურათა ომის“ გამოვლინება უფროა და ამიტომაც მივანიჭეთ პრიორიტეტი ამერიკას.

...ეს საქმე, ფაქტობრივად, მოგებული გვაქვს. ვფიქრობ, სასამართლო პროცესი ექვს თვეში უნდა დამთავრდეს, მაგრამ ფიფას ფაქტორიც გასათვალისწინებელია. იგი დაიქირავებს უძლიერეს ადვოკატებს, მაქსიმალურად გაწელავს დროს, შეიძლება, გარიგებაც შემოგთავაზონ...

და მიუხედავად ყველაფრისა, ვთვლი, რომ პროცესი 1,5-2 წელიწადში დამთავრდება.

...„მრეტების“ საჩივარი მიმართულია ბლატერის, ცენ რუფინენისა და მონტენიერის წინააღმდეგ. სამივენი მაღალი იერარქიის ჩინოსნები არიან, ამაზე არავინ დაობს, მაგრამ სტატუსთა კომიტეტის წესდების დარღვევაც უზარმაზარი შეცდომაა და ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

ბუნებრივია, ერთი საგაზეთო წერილი ვერ დაიტევს ყველაფერ იმას, რაც ვაჟა ჩხაიძემ და ირაკლი ქავთარაძემ ილაპარაკეს, მაგრამ ძირითადის გადმოცემა მოვახერხეთ. ახლა ჯერი ადვოკატთა და იურისპრუდენტთა მარიფათიანობაზეა. „დინამოსთვის“ 300 ათასი დოლარი გადასახადის დაკისრებით ფიფამ ფაქტობრივად აღიარა „მრეტთა“ სიმართლე, თუმცა...

ფიფასთან მოცილე „მრეტები“ მაინც ღმერთთან მოჭიდავე იაკობსა ჰგავს, განა არა? ამ პროცესის გამართვასაც კი უდიდესი რეზონანსი მოჰყვება საფეხბურთო მსოფლიოში. ვისურვოთ, თუ რამე შეიცვლება, უკეთესობისკენ იყოს.

ყოველ შემთხვევაში, „მრეტების“ პარტნიორთა საბჭო უდიდესი ოპტიმიზმითაა გამსჭვალული.

კონსტანტინე გოგიშვილი

გიო აბზლედიანის

სვეტი

ფინკეს საჩუქარი

რა ხდება კარგი ქართულ ფეხბურთში?

ჩემპიონატი დაძაბულია, ჩემპიონი გარკვეული არ არის. ახალი ნაკრები ორ თამაშს ამთავრებს ფრედ, ამას, რა თქმა უნდა „კარგი“ ჰქვია, ანუ შედარებით კარგი და რახან საქართველოში მხოლოდ ერთი რამ კოსმოსური რაკეტა გამოდგა საერთშორისო სტანდარტისა და კიდევ, როგორც ამბობენ, თოფაძის ლუდი და რამდენიმე სახეობის არაყი, მცირე აუცილებლობანი კმაყოფილების გამოსახატავად გამოგვადგება.

მთავარი კი ის არის, რომ ჩემპიონატის ფორმულამ გაამართლა.

ეს გამართლებული ფორმულა გახლავთ ამჯერად ჩვენი თავმოწონების მიზეზი.

თუმცა კი, გულშემატკივრისთვის სასიხარულო ამბები მაინც საზღვარგარეთ ხდება.

თუნდაც იმიტომ, რომ იქ ფორმულამ კი არ გაამართლა, არამედ ფეხბურთმა.

აქედან რომ შეხედავ ჩვენს ნაკრებს ბევრი რამ მოეხმარება მომავალში. „ფრაიბურგი“ დიახაც ბუნდესლიგის კუდშია მოქცეული და ყოველ თამაშში ომი უწევს, მაგრამ ჩვენი ფიქრით რასაც ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი ამ კლუბში აკეთებენ, საუცხოოა. თუ ასე გაგრძელდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ ისინი დიდხანს შერჩნენ ფრაიბურგში. შეთამაშებული, გონებამახვილი, მოქნილი წყვილი ბოლო თვეს მთელი საფეხბურთო გერმანიის სალაპარაკო გახდა. საერთოდაც, „ფრაიბურგში“ მეტად თავისებური საფეხბურთო გარემოა (ბუნდესლიგისთვისაც კი). ქართველთა მხარდამხარ აქ ბარე ნახევარი დუჟინი მაშრიყელი ფეხბურთელი თამაშობს და მათი საფეხბურთო გაგება და სული ერთგვარად ახლოა ჩვენებურთან. ასეა, თუ ისე, კობიაშვილ-იაშვილი, გამზადებული ძლიერი სანაკრებო დუეტია. ამას ბევრი ფიცი არ სჭირდება. „ფრაიბურგის“ მწვრთნელი ფოლკერ ფინკე, რა თქმა უნდა არ გახლავთ დიადი ვინმე, მაგრამ ამ კაცს ინტელექტით თამაში უყვარს. თუ ფრაიბურგის ფეხბურთელები შეძლებენ ხოლმე მის მრავალსვლიან, ჩახლართულ და მაინც ლამაზ და სწრაფ კობინაციათა გათამაშებას, ამაზე კარგი საცქერი ძნელად რომ რამე იყოს.

ფოლკერ ფინკეს სამხრეთელები ჰყავს, მათ ნიჭიერებას იყენებს და ზემოდან კი ინტელექტუალურ ამოცანებს გადააფარებს ხოლმე. ფინკეს ხელში ფეხბურთელთა სათამაშო ინტელექტი არნახულად იზრდება, თუ, რა თქმა უნდა, ბაზისად ნიჭი და მონდომება დაუხვდება. შეხედეთ იაშკას და კობის. ისინი ყოველთვის გონიერ ფეხბურთელებად ითვლებოდნენ, მაგრამ ახლა შეხედეთ, ამის გაფერმკრთალება საცოდაობა იქნებოდა.

ამიტომ, მე მგონია — ამ გაზაფხულზე ქართული ფეხბურთისთვის ყველაზე კარგი საქმე ფოლკერ ფინკემ გააკეთა.

ეს უნებლიე საჩუქარია მისგან, მაგრამ მაინც საჩუქარი.

ტორპედოელ დავით ჯანაშიას (მარჯვნივ) „ბათუმის“ კარში შვიდჯერ გაუტანია

მასპეს დარჩია ქუთაისიდან

გუშინ წყალტუბოში: „ბათუმმა“ „26 მაისის“ სტადიონს შემოურბინა

მასპეს დარჩია წყალტუბოდან

ბათუმი და მისი ჯანი თუ ტორპედო ყიფიანით?

რომელი დიდი... დიდზე დიდი მატჩია დღეს ქუთაისში. თუ ღმერთი გწამთ, ნუ შეგვედავებით, „დიდზე დიდს“ რომ ვამბობთ, მატჩის მნიშვნელობას ვგულისხმობთ, თორემ ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს, გნებავთ, ჩვენი საუკეთესო გუნდების მონაწილეობითაც, ეს სიტყვები რომ არ შეესატყვისება, ბავშვმაც კარგად იცის.

წინა შაბათს მეთერთმეტე ჩემპიონატის მეორე, გადამწყვეტმა ეტაპმა თავისი ეკვატორი გადალახა. მერვე ტურმა მთავარი, „ა“ ზონის ისედაც ჩახლართული ზედა ნაწილი კიდევ უფრო მეტად არია.

ლიდერი „ტორპედო“ ფოთში დამარცხდა, ათგზის ჩემპიონმა „დინამომ“ მცხეთაში ძლივს გააყაიმა „ვიტ ჯორჯიასთან“, „იბერიამ“ შინ სამი ქულით გაამდიდრა „ბათუში“ და, დახედეთ ცხრილს, ლიდერობაშენარჩუნებულ ტორპედოელებს მეოთხეადგილოსანი ვეტერინარებისგან ოთხი ქულაღა აშორებთ. მათ შუაში მოუმწყვდევიათ „დინამო“ და „ბათუში“. გათამაშების ფინიშამდე თვეღა დარჩენილა და ჩემპიონობაზე პრეტენზიას ერთბაშად ოთხი კლუბი აცხადებს. რაც არ ყოფილა, ვერც გავიხსენებთ. არა, ასეთი რამ პირველადაა და... ინტრიგაც ამას ჰქვია.

„ტორპედო“ — „ბათუმი“, უპრინციპულესი, თამამად ვიტყვით, ჩემპიონობის ბედის გადამწყვეტი მატჩია დღეს ქუთაისში, დედა შვილს რომ არ აიყვანს ხელში, ისეთი. გათამაშების მეორე ეტაპზე ავტორიტეტშელახულ „ტორპედოს“ ზღვისპირელებთან ბათუმში განცდილი მარცხისთვის სრულფასოვანი რევანშის აღების, საკუთარ ქომაგთა წინაშე რეაბილიტაციის და სალიდერო პოზიციების განმტკიცების წყურვილი ჰკლავს. დავით ყიფიანს და კომპანიას იმის დამტკიცება სურთ, რომ გუნდის წაფორხილება დროებითი მოვლენა გახლდათ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. „ტორპედო“ კვლავაც საჩემპიონო ამბიციებითაა შეპყრობილი და არაფერს დაზოგავს სანუკვარი მიზნის მისაღწევად. მოგეხსენებათ, აპრილში „ბათუმმაც“ წაიფორხილა, ჯანი კარნევალის შეგირდებმა ზედიზედ ორი მარცხი იგემეს, მაგრამ მადა არც მათ წახდენიათ, კრიზისი დაძლეულიაო, აცხადებენ იტალიურად დამოძღვრილი ბიჭები და ტორპედოელებივით ჩემპიონატის ოქროზე უჭირავთ თვალი.

დიახ, ორჯერ ორივით ცხადია, დიდი ბრძოლა იქნება დღეს „ტორპედოზე“. ბრძოლა, რომელმაც საჩემპიონო დავაში ყველაფერი თუ არა, ბევრი უნდა გადაწყვიტოს.

მეტოქეთა შანსები? ვფიქრობთ, თანაბარია. თქვენ წარმოიდგინეთ, ამაზე ეროვნულ ჩემპიონატებში მათი წინა ურთიერთშეხვედრებიც მეტყველებს, 20-ჯერ დაპირისპირებიან ერთმანეთს „ტორპედო“ და „ბათუში“, 8-ჯერ ქუთაისელებს უმარჯვიათ, ამდენჯერვე ბათუმელებს. ეგაა, გატანილი და გაშვებული ბურთების შეფარდებით სჯობს დღევანდელი მასპინძელი სტუმარს — 35:32. ძველი ვახსენეთ და, მოდით, ზოგი რამ გავშიფროთ.

„ტორპედომ“ ბოლოს 1997 წლის 15 მაისს აჯობა „ბათუმს“. ამ გუნდების მხოლოდ ერთი (მეშვიდე ჩემპიონატში) მატჩი დასრულდა უგოლო ფრით. ქუთაისელთაგან ყველაზე მეტჯერ, შვიდჯერ დავით ჯანაშიამ დალაშქრა ზღვისპირელთა კარი. 7 ბურთი გაუტანა „ტორპედოს“ თემურ ტულუშმაც. ყველაზე უხვგოლიანი მეხუთე ჩემპიონატის ბათუმური შეხვედრა გამოდგა. მასპინძლებმა 5:2 სძლიეს სტუმრებს. წინა 20 მატჩიდან ყველაზე კურიოზული კი 1998 წლის 30 აგვისტოს შედგა. „ტორპედო“ შინ ეთამაშებოდა „ბათუმს“. სტუმრები თენგიზ სიჭინავას გოლით დაწინაურდნენ, რამდენიმე წუთში მათ მცველი გაუძევეს. „ბათუმმა“ კაცნაკლულმა გააგრძელა თამაში და „ტორპედოს“ პასუხმაც არ დააყოვნა. ზღვისპირელებმა მიყოლებით სამი ბურთი მიიღეს და მასპინძელთა გამარჯვება თითქოს ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მოხდა პატარა სასწაული. სტუმრებმა საეჭვო პენალტით ჯერ ანგარიშში სხვაობა შეამცირეს, მერე კი სულაც გაათანაბრეს. თუ გახსოვთ, ფაქტობრივად სწორედ ამ 3:3-ს გადაჰყვა „ტორპედოს“ მაშინდელი მთავარი მწვრთნელი სოსო ფრუიძე (ვითომ ქვეყანა დაიქცა, სხვას გაცილებით მეტი ეპატია).

თბილისელი არბიტრი ალექსანდრე შილაკაძე სჯიდა იმ მატჩს, სწორედ ის შილაკაძე, რომელიც დღეს უნდა გაუძღვეს „ტორპედო“ — „ბათუმის“ მატჩს და იმედია, უწინდელივით სუსტად აღარ გაირჯება, უბრალოდ, ამის უფლება არა აქვს. ამ მატჩში არბიტრის ერთი შეცდომაც კი შეიძლება, ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასი გამოდგეს.

არ ვიცი, იქნებ ვცდები, მაგრამ არა მგონია, ეროვნული ჩემპიონატის სხვა რომელიმე მატჩისთვის გუნდები ასე საგულდაგულოდ მომზადებულიყვნენ.

რა შორი ბათუმიდან ქუთაისამდეა. ადრე, როგორც წესი, ზღვისპირელები აქ თამაშის დღეს ჩამოდიოდნენ. ახლა კი ტრადიციას უღალატეს. ჯანი კარნევალიმ გუშინ დილით ჩაიყვანა თავისი გუნდი იმერეთში. „ბათუში“ წყალტუბოში თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმში დაბინავდა. ნამგზავრებმა გვარიანად დაისვენეს. საღამოს ხუთი საათისთვის იტალიელმა შეგირდებითურთ „26 მაისის“ სტადიონს მიაკითხა და...

ძირითადი ვარჯიშის დასაწყებად „ბათუმს“ ლოდინი მოუხდა. საქმე ის იყო, რომ ამ დროისთვის მოედანი რეგიონალური ლიგის გუნდებს („გაგრა“ „სულორს“ ეპაექრებოდა) ჰქონდათ დათმობილი და ზღვისპირელებსაც ამ მიზეზით დაუგვიანდათ მინდორზე შესვლა. თუმცა, რაღა ლოდინი და დაგვიანება, იტალიელმა მწვრთნელმა, დრო უქმად არ დაკარგოთო და იქვე, სტადიონის მახლობლად მდებარე კორტებთან გაახურა ბიჭები. „ბათუმმა“ საათზე ოდნავ ნაკლები ივარჯიშა. რა თქმა უნდა, მსუბუქად. კარნევალი შეგირდებს დროდადრო შენიშვნებს კი აძლევდა, მაგრამ ჩანდა, იტალიელიც და თემურ ბეჟანიძეც კმაყოფილნი იყვნენ. ძალიან მძიმე თამაში იქნება, მაგრამ ბიჭები მზად არიან საბრძოლველად, ტრავმირებული არავინ გვყავს, ყველა ჯანზეა, „ტორპედოს“ ღირსეულ წინააღმდეგობას გავუწევთ — გვითხრა ბათუმელთა პრეზიდენტმა.

ვიცოდით, რომ იტალიელი წინასწარ ლაპარაკისგან თავს იკავებს და ჯანი კარნევალიც ამიტომ არ შეგვიწუხებია. ისე კი ცხადია, სინიორ ჯანი დღეს „ტორპედოს“ ოპტიმალურ შემადგენლობას დაუპირისპირებს და სათამაშო ტაქტიკასაც ისეთს აირჩევს, თავის გუნდი ახეიროს. თუმც ვნახოთ...

ბოლო ორი დღეა, „ტორპედოც“ დიდ გაწამაწიაშია. ერევნიდან გუშინწინ დილით დაბრუნებული დავით ყიფიანი გუნდს წუთითაც არ მოსცილებია. ბოლო ვარჯიშებისთვის ყიფიანმა საწვრთნელი ბაზის მოედანს „ტორპედოს“ სტადიონისა არჩია და ეს გამართლებულიც იყო. ტორპედოელები ხომ აქ უნდა დაუპირისპირდნენ დღეს „ბათუმს“.

გუშინდელმა ვარჯიშმა საათს გადაამეტა. ჯერ ორკარა ხელით და ფეხით, მერე გაჭიმვები, „კვადრატები“ სამ ჯგუფად, ისევ ორკარა ნახევარ მინდორზე და მეკარეების გამოცდა. სულ ეს იყო. არც ყიფიანმა დატვირთა დიდად ბიჭები, დღეს ხომ საპასუხისმგებლო თამაშია. მწვრთნელმა გუშინვე, ალბათ, ძირითადი შემადგენლობაც განსაზღვრა, შემადგენლობა, რომელმაც „ბათუმს“ უნდა სძლიოს. ყიფიანმა კარნევალის უნდა აჯობოს, „ტორეპდომ“ — „ბათუმს“, თორემ...

იუზა კაციტაძე

წყალტუბო — ქუთაისი

საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი გუშინ ქუთაისში „ტორპედოს“ სტადიონზე ვარჯიშისას

მასპეს დარჩია ქუთაისიდან

არარატის მთა, ლრუბელი და ფრე



„რაზდანის“ მინდორს ისეთი პროექტორები დაჰყურებს, ათ ჩვენს „ეროვნულს“ გასწვდება

ბადრი ჯითლაძის ფოტო

მხოლოდ მოგება

ერევანში, საქართველოსთან ამხანაგური მატჩის წინ სომეხისთვის რომ გეკითხათ, ვინ მოიგებსო, ისე შემოგხედავდნენ და თვალებს იმნაირად დაგიბრიალებდნენ, უთქმელადაც მიხვდებოდით — უეჭველად ჩვენები, თანაც არა ერთი და ორი ბურთის სხვაობითო. მერე დაამატებდნენ, ეგრე სად არის, გგონიათ, თბილისში 7:0-ის მოგებას შეგარჩენთო? ამას ბევრი იქაური ამბობდა, თუმც ვისაც ფეხბურთისა კარგად გაეგებოდა, ქართველი ლეგიონერების გვარებს თითებზე ჩამოთვლიდა, ჩვენები ამათ ვერ მოუგებენ, ყველაზე ნაღდი, ალბათ, ფრე იქნებაო, იტყოდნენ. ფეხბურთის თავგადაკლული სომეხი ქომაგისთვის კი ეს მატჩი, მგონი, სახელმწიფო მნიშვნელობისაც გახლდათ. თამაშის დღეს ერთ-ერთმა იქაურმა გაზეთმა პირველ გვერდზე ორივე გუნდის ფოტო რომ დაბეჭდა, იქვე თვისტომთ მოუწოდა — „მხოლოდ მოგება“. მერე იქაური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სიტყვებიც ეწერა — კარგად გვახსოვს თბილისური თამაში, მაშინდელი წაგება, ახლა კი ქართველებს სამაგიერო უნდა გადავუხადოთ, ჩვენ უეჭველი მოვიგებთო. სომეხი ფეხბურთელებიც თითქმის ამასვე ამბობდნენ.

ერთი სიტყვით, იქაურების გასაგები იყო, სამი წლის წინანდელი სირცხვილი ვერ მოენელებინათ. ჩვენებურებს ეს არ აღელვებდათ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ახლაც მოვუგოთ და სალაპარაკო აღარ მივცეთო. მატჩის შედეგი ალბათ ყველამ კარგად იცით, თამაშზეც შეიქმნიდით წარმოდგენას, უინტერესო გამოდგა და ამის თაობაზე საუბარმა არა მგონია, დღეს ამხანაგური შეხვედრიდან სამი დღის შემდეგ, ვინმე დაინტერესოს. უფრო იქაურ ამბებზე მოგითხრობთ.

მასპინძლობა

ვფიქრობ, ისიც კარგად იცით, სომხებს სტუმრის დახვდრა-პატივისცემა რომ არ ეშლებათ. ჩვენებურებსაც მათი მასპინძლობა აბა, როგორ გაუკვირდებოდათ, მაგრამ ერთობ ნასიამოვნები დარჩნენ, იქაურები ზედ გადაჰყვნენ. სადახლოს საზღვრის გადაკვეთიდან გადმოკვეთამდე მათთვის არაფერი დაუკლიათ. სბაჟოსთან პურმარილით დახვდნენ, უამრავი ჟურნალისტით, ქომაგით, ერევნამდე დარჩენილი 200 კილომეტრამდე გზაც სულ ღიღინ-ღიღინით, პოლიციის რამდენიმე მანქანიანი ესკორტით გაატარეს. სომეხი გულშემატკივრები ჩვენს ნაკრებს არც საიათნოვას ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „ანიში“ მოჰკლებია და ცოტა უკმაყოფილოებიც კი იყვნენ, ერევანში ყველა ქართველი ლეგიონერი რომ ვერ ნახეს. დარბოდნენ ფოტოაპარატითა და კალამ-ფურცლით — ავტოგრაფები, სამახსოვრო სურათები... ყიფიანი, ხურცილავა, დემეტრაძე და ყაველაშვილი იყვნენ განსაკუთრებით დაფასებულნი. ქუჩაში რომ ქართველების ავტობუსები შეუყოვნებლად გაივლიდა, ხალხი ისე ესალმებოდათ, კომუნისტების დროს რომელიმე რესპუბლიკას პოლიტბიუროს თავმჯდომარე რომ ესტუმრებოდა. ასე იყო „რაზდანთანაც“, თამაშზე მიმავალი ეროვნული ნაკრების ავტობუსი რამდენიმე წუთს ხალხმა გააჩერა. ტაშით შეხვდნენ. მონატრებიათ ქართველი ფეხბურთელები.

ინტერესი

სომხეთ-საქართველოს მატჩის ვიდეოჩანაწერი 27 აპრილს რუსეთის საზოგადოებრივ ტელევიზიასაც უნდა გადაეცა. არ ვიცი, იყო თუ არა რეპორტაჟი, მაგრამ ფაქტია, ოერტემ სომხებს ვიდეოფირის გაგზავნა სთხოვა. სომხების ფეხბურთის ფედერაციამაც ისარგებლა ქართველთა ერევანში თამაშით, იქაურ პირველ არხს მატჩის პირდაპირი ტრანსლაციის უფლება არ მისცა და კაბელურ არხს „არმენიას“ სარფიანად მიჰყიდა. პირველმა არხმა კი ღამით თამაშის ჩანაწერიღა აჩვენა.

ქართველი ჟურნალისტების გარდა ერევანში ორი რუსიც გახლდათ. ერთი ყოველკვირეული „ფუტბოლის“ ქართულგვარიანი ბიჭი, მეორე ენტევე ფუტბოლის თანამშრომელი, ყველაზე დიდტირაჟიან რუსულ სპორტულ გაზეთ „სპორტ ექსპრესსაც“ უთხოვია მატჩის რეპორტაჟი სომეხი კოლეგისთვის. ამ შეხვედრამ მართლაც საკმაო ინტერესი გამოიწვია. სტადიონზე მაყურებელიც ბლომად იყო — 22 ათასამდე. სულ „ჰაიასტან, ჰაიასტანის“ ძახილით აიკლეს იქაურობა.

10 წლის ეროვნული

„ფუტბოლის“ ჟურნალისტი რომ ვახსენე, გვარად მიხეილ სანაძეა, რუსულ ტელევიზია ერტეერთანაც თანამშრომლობს. თბილისშიც მასთან ერთად მოგვიხდა მგზავრობა. დრო ბევრი გვქონდა, აქეთურ-იქეთურ ამბებზე ვილაპარაკეთ. ორი წელი არ ყოფილა საქართველოში, ნათესავები აქ ბევრი ჰყავს. ჰოდა, მან გვითხრა, ერტეერმა სპეციალური გადაცემა დამიკვეთა ქართულ ფეხბურთზე, 10 წელი არ სრულდება, რაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თამაშზე უარი თქვითო? მიშა სანაძე ოპერატორითურთ დღეს ქუთაისში იქნება. „ტორპედო“ — „ბათუმის“ მატჩს უნდა დაესწროს. ბათუმელთა იტალიელ მწვრთნელ ჯანი კარნევალის ესაუბროს. პირველი შემთხვევაა, აქამდე იტალიელ მწვრთნელს, არც ფეხბურთელს, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში არსად უმუშავია საინტერესო იქნება მასთან ინტერვიუო, გვითხრა. ერევანში მან ალექსანდრე ჩივაძესთან, დავით ყიფიანთან, რევაზ ძოძუაშვილთან, სხვა ქართველებთანაც მოასწრო ლაპარაკი. ეს გადაცემა ერტეერზე ალბათ მაისის შუა რიცხვებში იქნება.

ისე, სიტყვამ მოიტანა და ალექსანდრე ჩივაძის ერევანში სტუმრობაზე ცალკე

შერიგება

თურმე სომხური ფეხბურთის ორი ვარსკვლავი, ხორენ ოგანესიანი და არკადი ანდრეასიანი კარგა ხანს უბრად ყოფილან, ერთმანეთს ბოიკოტს ანაცხადებდნენ. ალექსანდრე ჩივაძემ ეს სომხეთში ერთობ დაფასებულმა, ავტორიტეტულმა, პატივცემულმა, ისინი თამაშის დღეს შეარიგა. მას ორივე დახვედრია, ერთადვე უსადილიათ და... ხელი ხელზეც დაუკრავთ. გასაყოფი რა გაქვთო, ჩვენებურს უთქვამს, მადლის ქმნაც ამას ჰქვია. მერე სამივე სომხეთ-საქართველოს თამაშს დაესწრო, ძველი ამბებიც გაიხსენეს.

სტადიონი

— სომეხ ჟურნალისტებთან ერთი თხოვნა მაქვს. დაწერეთ, თქვენს მთავრობას სთხოვეთ, რომ ამ ჩინებულ სტადიონს მიხედონ და უპატრონონ, მთლად ნუ წაახდენენ — მატჩამდელ პრესკონფერენციაზე თქვა ნაკრების მწვრთნელთაგანმა დავით ყიფიანმა.

მართლაც, დაუკარგავს ძველებური სახე თავის დროზე საბჭოთა კავშირში სიკოხტავით, მდებარეობით, არქიტექტურით განთქმულ სტადიონს. ცენტრალური ტრიბუნის მეორე იარუსი ავარიულ მდგომარეობაშია, ბეტონი დაბზარულია. გაზონი მთლად უვარგისი, ინდივიდუალური სკამები დაუმონტაჟებელი... თუმცა „ტუალეტად“ ქცეული ჩვენი ეროვნული სტადიონი მაინც ვერ შეედრება. ბოლო-ბოლო, „რაზდანი“ ისე ნათდება, დღეს ათ ეროვნულს ეყოფა. არც ბაზრობაა სტადიონის ტერიტორიაზე და ბოდიში, მაგრამ შარვლის ღილებსაც არავინ იხსნის და ბოძებქვეშ მოსაქმებასაც არავინ კადრულობს.

ახლა „რაზდანზე“ ხის სკამების აყრა დაიწყეს, ზაფხულამდე პლასტმასის სკამების დამონტაჟებას უნდა შევუდგეთო. „რაზდანის“ მეპატრონეები შეფუცხუნდნენ, ერევანშივე მეორე, ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია თურმე რამდენიმე დღეში დამთავრდება და ექსტრა კლასისა იქნება. ეს კი „რაზდანის“ მესვეურთ სულაც არ ეპიტნავებათ, უფუნქციოდ დარჩებიან. აღრე რა უჭირდათ, კონკურენტი სად ჰყავდათ. თითქმის ისეთივე ვითარებაა, როგორიც თბილისში. აშენდება ცოტა ხანში ვაკეში „მიხეილ მესხი“ და ეროვნული თუ ისევ მოუვლელი დარჩა, მერე ვნახოთ.

ლრუბელი და არარატი

ხომ გაგიგიათ ლეგენდა, ნოეს კიდობანი არარატის მთაზე რომ დაეშვა. სომხები ამით ძალიან ამაყობენ. ეს მთა, თურქეთ-სომხეთის საზღვარი მართლაც არაჩვეულებრივია, ძალიან ლამაზი სანახავია და ერევნის ყველა უბნიდანაც თითქოს ხელისგულზე ჩანს. სომხები ამბობენ, არარატის ცა თუ მოქუფრულია, იმ დღეს რაღაც ცუდი უნდა შეგვემთხვეს, თუ მოწმენდილია, პირიქითო.

თამაშის დღეს, ბედი არ გინდა, არარატის ორი კალთიდან ერთი, დიდი რომელიცაა, ლრუბელს დაეფარა. ვითომ მატჩიც ფრედ ამიტომ დამთავრდა?..

ძოგა ინასარიძე
ერევანი — თბილისი

ზურაბ იონანიძემ (№14) სომეხთა კაპიტანი ერვან სუკიასიანი (№2) და რომიკ ხაჩატრიანი მოიტოვა, მერე კი სარქის ოვსეპიანსაც გასცდა, მაგრამ კარში ზუსტად დარტყმა ვეღარ შესძლო

ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი მამუკა წერეთელი სომეხთა კართან

ბადრი ჯითლაძის ფოტოები

სამშაბათი: ატლეტიკოელები მეტოქეს ამაოდ ელიან

შერისხული ბარსელონა სასამართლოში მიდის

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დასჯილი „ბარსელონა“ დღეს ისევ „ატლეტიკოს“ ეთამაშება

ესპანეთის თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩამდე ორი დღით ადრე, როცა „ბარსელონას“ „ატლეტიკოსთვის“ უნდა ემასპინძლა, ლუის ვან გაალმა შეხვედრის გადადება მოითხოვა. კლუბის არგუმენტი ასეთი გახლდათ — ფილიპ კოკუ, პატრიკ კლუივერტი, ბუდეკვენ ზენდენი, ფრანკ დე ბური, უინსტონ ბოგარდი და მიხაელ რაიციგერი ჰოლანდიის ნაკრებში იყვნენ გამოძახებულნი. იარი ლიტმანენი ფინეთის ნაკრებს შეუერთდა, ლუიშ ფიგუ — პორტუგალიისას, ხოლო რივალდო ეკვადორელთა წინააღმდეგ სათამაშოდ წავიდა. მათ გარდა „ბარსელონას“ რამდენიმე დაშავებული ფეხბურთელიც ჰყავდა: რონალდ დე ბური, ლუის ენრიკე და ემანუელ ამუნიკე. ვან გაალის თქმით, ის ათი მოთამაშის ამარა იყო დარჩენილი და ცხადია, თამაშს ვერ შეძლებდა.

მიუხედავად იმისა, რომ კატალონიურმა კლუბმა ამგვარად დაასაბუთა თავისი თხოვნა, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მას მატჩის გადატანაზე უარი უთხრა. მიზეზი — ფეხბურთელებს შეეძლოთ, „ატლეტიკოსთან“ ეთამაშათ და ნაკრებებში მერე წასულიყვნენ. ამით არაფერი შავდებოდა.

„ბარსელონამ“ პროტესტი გამოთქვა და მატჩს ბოიკოტი გამოუცხადა. ის, რომ „ბარსა“ არ ითამაშებდა, კლუბის ხელმძღვანელობამ საბოლოოდ მატჩის დაწყებამდე 18 წუთით ადრე გადაწყვიტა. თუმცა საქმე აქეთკენ რომ მიდიოდა, დილიდანვე ნათელი იყო — „კამპ ნოუს“ სალაროები დაეკეტათ და ბილეთები არ გაყიდულა.

მადრიდელი ფეხბურთელები მინდორზე 6 საათსა და 50 წუთზე გავიდნენ (შეხვედრა 7-ზე იყო დანიშნული). ისინი მოთელვას შეუდგნენ, თუმცა დიდი მონდომება არ ეტყობოდათ — ცალი თვალით გამოსასვლელისკენ იყურებოდნენ, გამოჩნდებოდნენ ბარსელონელები? 7 საათი გახდა. სტუმრებმა მოთელვა საბოლოოდ შეწყვიტეს და მსაჯმანუელ დიას ვეგასთან ერთად მოედანზე უსაქმოდ იდგნენ. მასპინძლები სამი წუთის დაგვიანებით გამოჩნდნენ. რვა ფეხბურთელი და ორი მეკარე გვერდით ხაზთან გულხელდაკრეფილი ჩამწკრივდა, ხოლო კაპიტანი ხოსეპ გვარდიოლა მსაჯისკენ გაეშართა. მისალმების შემდეგ გვარდიოლამ დიას ვეგას და მეტოქე გუნდის კაპიტანს უთხრა, ჩვენ არ ვითამაშებთ... ამის შემდეგ ბარსელონელები გაუჩინარდნენ და რამდენიმე წუთის შემდეგ არბიტრი ატლეტიკოელებსაც გასასვლელისკენ გაუძღვა.

სანამ ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას გავეცნობით, ორი ფაქტიც აღვნიშნოთ. ჰოლანდიის ნაკრებში გამოძახებული ექვსი ბარსელონელიდან სამი ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე იჯდა. პატრიკ კლუივერტი და ბუდეკვენ ზენდენი მეორე ტაიმში გავიდნენ მინდორზე და მხოლოდ ფრანკ დე ბურმა ჩაატარა მატჩი სრულად. რაც შეეხებათ „ბარსელონაში“ დარჩენილებს, ლუის ვან გაალის განკარგულებაში იყვნენ: მეკარეები ჰესპი, არნაუ და რეინა, მცველები დეუ, აბელარდო, სერხი და პუიოლი, ნახევარმცველები გვარდიოლა, ხავი, მიკელი, გაბრი, მარიო და მიგელი, თავდასხმელები დანი, სიმაო, ფერნანდო მასედო და ფრანსისკო კორდერო. შეეძლო ვან გაალს ასეთი შემადგენლობით ბრძოლა? ცხადია, შეეძლო, თუმც სამბურთიანი სხვაობის გაქვითვა, ალბათ, გაუჭირდებოდა.

და ფედერაციის ვერდიქტიც — „ბარსელონას“ ჩაეთვალოს ტექნიკური მარცხი, დაჯარიმდეს 10 მილიონი პესეტით (11 ათასი დოლარი) და ერთი წლით მოიკვეთოს ესპანეთის თასის გათამაშებიდან. ეს უმკაცრესი სასჯელია, რაც მატჩის ჩაშლისთვის შეიძლება დაეკისროს გუნდს ესპანეთში.

„ბარსელონა“ ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს, თუმცა „ატლეტიკოს“ მაინც შეხვდება... დღეს, ჩემპიონატის მორიგ ტურში.

გიორგი დარჯანია

სანსი ანიელის სთავაზობს

„დედოვშჩინასთან“ ბრძოლის მადრიდული ხერხი

მოგეხსენებათ, მადრიდის „რეალის“ ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი ფრანგი ნიკოლა ანელკა იმავდროულად „სამეფო კლუბის“ ერთ-ერთი ყველაზე უსარგებლო ფეხბურთელიც არის. რა დაემართა მას ინგლისიდან ესპანეთში გადაბარგების შემდეგ? ერთი მიზეზი ანელკას ტრავმა უნდა იყოს, რომელიც მან ბრაზილიაში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე მიიღო. მაგრამ სხვა ფაქტორებიც არსებობს. უპირველესად ფრანგის სტაჟიან რეალელებთან (ფერნანდო იეროს მეთაურობთ) კონფლიქტს ასახელებენ. ამიტომაც იყო, რომ ანელკამ კლუბი თვითნებურად მიატოვა, რისთვისაც დელ ბოსკესგან სასჯელი, ხოლო გულშემატკივრებისგან სიძულვილი დაიმსახურა.

ანელკას დღეში მყოფი ერთი კაციც იტალიაში გვეგულება. ფილიპო ინძაგიზე მოგახსენებთ. ცხადია, პიპოს „იუვენტუსის“ სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა არ უჭირს და გოლებიც გააქვს, თუმცა ბოროტი ენები სხვა რამესაც ამბობენ. ტურინში ასეთი ინფორმაცია გავრცელდა — ალესანდრო დელ პიერომ უფროსი ინძაგი აითვალწუნა, ამიტომ ფილიპო მუდამ დაძაბულია და სრული ძალით ვერ თამაშობსო.

ამ ამბავმა „რეალის“ პრეზიდენტ ლორენსო სანსის ყურამდეც მიაღწია და მან ტურინელ კოლეგას შესთავაზა — მომეცი ინძაგი, მოგცემ ანელკას. სანსი ამბობს, რომ ამ გაცვლით „დედოვშჩინასთან“ დაკავშირებული პრობლემები თავისთავად მოგვარდება. თან კარლო ანჩელოტისაც აქებს, ფრანგული სუპერწყვილი, ზიდანი — ანელკა, გეყოლებაო.

შედგება გარიგება? საეჭვოა, მაგრამ ვინ იცის...

გიორგი დარჯანია

ნიკოლა „დაჩაგრული“

Copa Toyota Libertadores '2000

ჯგუფური ეტაპი

თავიდან 32 გუნდი იყო, ახლა 16 დარჩა. ყველაზე ბევრი ბრაზილიელებს ჰყავდათ — 5 და შემდეგ ეტაპზე მათგან 4 გაიყვანეს. ასპროცენტიანი შედეგი აქვთ მექსიკელებს: მათი ორივე გუნდი მერვედფინალში ითამაშებს, სადაც პერუელები და ჩილელები უკვე აღარ იქნებიან. კიდევ ვიცით, რომ მეოთხედფინალში ერთი „ატლეტიკო“ და ერთიც „ამერიკა“ აუცილებლად გავა — წილისყრამ სწორედ ამ სახელწოდების გუნდები დააწყვილა.

ჯგუფური ეტაპი დასრულდა. ნაღდი ბრძოლა ახლა იწყება.

I ჯგუფი

ალიანსა (პერუ), ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია), ემელეკი (ეკვადორი), ნასიონალი (ურუგვაი)

ალიანსა — ატლეტიკო პარანენსე 0:3; ემელეკი — ნასიონალი 0:2; ალიანსა — ემელეკი 2:1; ნასიონალი — ალიანსა 2:0; ატლეტიკო პარანენსე — ემელეკი 1:0; ნასიონალი — ატლეტიკო პარანენსე 1:3; ნასიონალი — ემელეკი 1:0; ატლეტიკო პარანენსე — ალიანსა 2:1; ემელეკი — ატლეტიკო პარანენსე 0:0; ალიანსა — ნასიონალი 2:2; ემელეკი — ალიანსა 2:2; ატლეტიკო პარანენსე — ნასიონალი 2:0

ატლ. პარანენსე	6	5	1	0	11:2	16
ნასიონალი	6	3	1	2	8:7	10
ალიანსა	6	1	2	3	7:12	5
ემელეკი	6	0	2	4	3:8	2

II ჯგუფი

უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე), პენიაროლი (ურუგვაი), ბლუმინგი (ბოლივია), ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

უნივერსიდად კათოლიკა — პენიაროლი 1:1; ბლუმინგი — ბოკა ხუნიორსი 1:0; პენიაროლი — ბლუმინგი 2:1; ბოკა ხუნიორსი — უნივერსიდად კათოლიკა 2:1; ბლუმინგი — უნივერსიდად კათოლიკა 3:1; პენიაროლი — ბოკა ხუნიორსი 0:0; ბოკა ხუნიორსი — ბლუმინგი 6:1; პენიაროლი — უნივერსიდად კათოლიკა 5:1; უნივერსიდად კათოლიკა — ბოკა ხუნიორსი 1:3; ბლუმინგი — პენიაროლი 3:3; უნივერსიდად კათოლიკა — ბლუმინგი 5:0; ბოკა ხუნიორსი — პენიაროლი 3:1

ბოკა ხუნიორსი	6	4	1	1	14:5	13
პენიაროლი	6	2	3	1	12:9	9
ბლუმინგი	6	2	1	3	9:17	7
კათოლიკა	6	1	1	4	10:14	4

III ჯგუფი

ამერიკა (მექსიკა), კორინთიანსი (ბრაზილია), ლიგა დე კიტო (ეკვადორი), ოლიმპია (პარაგვაი)

ამერიკა — კორინთიანსი 2:0; ლიგა დე კიტო — ოლიმპია 0:1; ოლიმპია — ამერიკა 3:1; კორინთიანსი — ლიგა დე კიტო 6:0; ამერიკა — ლიგა დე კიტო 1:0; ოლიმპია — კორინთიანსი 2:2; კორინთიანსი — ამერიკა 2:1; ოლიმპია — ლიგა დე კიტო 1:1; ლიგა დე კიტო — კორინთიანსი 0:2; ამერიკა — ოლიმპია 8:2; ლიგა დე კიტო — ამერიკა 2:2; კორინთიანსი — ოლიმპია 5:4

კორინთიანსი	6	4	1	1	17:9	13
ამერიკა	6	3	1	2	15:9	10
ოლიმპია	6	2	2	2	13:17	8
ლიგა დე კიტო	6	0	2	4	3:13	2

IV ჯგუფი

ატლასი (მექსიკა), რივერ პლეიტი (არგენტინა), უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე), ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია)

ატლასი — რივერ პლეიტი 1:1; უნივერსიდად დე ჩილე — ატლეტიკო ნასიონალი 4:0; ატლეტიკო ნასიონალი — ატლასი 2:3; რივერ პლეიტი — უნივერსიდად დე ჩილე 3:1; ატლასი — უნივერსიდად დე ჩილე 0:0; ატლეტიკო ნასიონალი — რივერ პლეიტი 1:1; რივერ პლეიტი — ატლასი 3:2; ატლეტიკო ნასიონალი — უნივერსიდად დე ჩილე 4:1; ატლასი — ატლეტიკო ნასიონალი 5:1; უნივერსიდად დე ჩილე — რივერ პლეიტი 1:1; უნივერსიდად დე ჩილე — ატლასი 3:2; რივერ პლეიტი — ატლეტიკო ნასიონალი 2:3

რივერ პლეიტი	6	2	3	1	11:9	9
ატლასი	6	2	2	2	13:10	8
დე ჩილე	6	2	2	2	10:10	8
ატლ. ნასიონალი	6	2	1	3	11:16	7

V ჯგუფი

სერო პორტენო (პარაგვაი), ხუნიორი (კოლუმბია), სან ლორენსო (არგენტინა), უნივერსიტარიო (პერუ)

სერო პორტენო — ხუნიორი 1:0; სან ლორენსო — უნივერსიტარიო 3:0; უნივერსიტარიო — სერო პორტენო 1:0; ხუნიორი — სან ლორენსო 3:1; სან ლორენსო — სერო პორტენო 2:2; ხუნიორი — უნივერსიტარიო 1:0; ხუნიორი — სერო პორტენო 2:0; უნივერსიტარიო — სან ლორენსო 1:1; სერო პორტენო — უნივერსიტარიო 3:0; სან ლორენსო — ხუნიორი 2:0; უნივერსიტარიო — ხუნიორი 0:1; სერო პორტენო — სან ლორენსო 3:1

ხუნიორი	6	4	0	2	7:4	12
სერო პორტენო	6	3	1	2	9:6	10
სან ლორენსო	6	2	2	2	10:9	8
უნივერსიტარიო	6	1	1	4	2:9	4

VI ჯგუფი

ატლეტიკო კოლეგიალსი (პარაგვაი), ამერიკა (კოლუმბია), როსარიო სენტრალი (არგენტინა), სპორტინგ კრისტალი (პერუ)

ატლეტიკო კოლეგიალსი — ამერიკა 2:5; როსარიო სენტრალი — სპორტინგ კრისტალი 3:1; სპორტინგ კრისტალი — ატლეტიკო კოლეგიალსი 3:0; ამერიკა — როსარიო სენტრალი 5:3; ამერიკა — სპორტინგ კრისტალი 3:1; როსარიო სენტრალი — ატლეტიკო კოლეგიალსი 4:2; ამერიკა — ატლეტიკო კოლეგიალსი 2:1; სპორტინგ კრისტალი — როსარიო სენტრალი 3:3; ატლეტიკო კოლეგიალსი — სპორტინგ კრისტალი 2:1; როსარიო სენტრალი — ამერიკა 3:3; სპორტინგ კრისტალი — ამერიკა 0:2; ატლეტიკო კოლეგიალსი — როსარიო სენტრალი 3:3

ამერიკა	6	5	1	0	20:10	16
როსარიო	6	2	3	1	19:17	9
კრისტალი	6	1	1	4	9:13	4
კოლეგიალსი	6	1	1	4	10:18	4

VII ჯგუფი

პალმეირასი (ბრაზილია), სთრონგესტი (ბოლივია), ჟუვენტუდე (ბრაზილია), ელ ნასიონალი (ეკვადორი)

პალმეირასი — სთრონგესტი 4:0; ჟუვენტუდე — ელ ნასიონალი 1:0; სთრონგესტი — ჟუვენტუდე 5:1; ელ ნასიონალი — პალმეირასი 3:1; ელ ნასიონალი — სთრონგესტი 0:0; პალმეირასი — ჟუვენტუდე 3:0; ელ ნასიონალი — ჟუვენტუდე 2:0; სთრონგესტი — პალმეირასი 4:2; ჟუვენტუდე — სთრონგესტი 4:0; პალმეირასი — ელ ნასიონალი 4:1; სთრონგესტი — ელ ნასიონალი 1:4; ჟუვენტუდე — პალმეირასი 2:2

პალმეირასი	6	3	1	2	16:10	10
ელ ნასიონ.	6	3	1	2	10:7	10
ჟუვენტუდე	6	2	1	3	8:12	7
სთრონგესტი	6	2	1	3	10:15	7

VIII ჯგუფი

ატლეტიკო მინეირო (ბრაზილია), ბოლივარი (ბოლივია), ბელა ვისტა (ურუგვაი), კობრელოა (ჩილე)

ატლეტიკო მინეირო — ბოლივარი 1:0; ბელა ვისტა — კობრელოა 1:1; ბოლივარი — ბელა ვისტა 1:0; კობრელოა — ატლეტიკო მინეირო 1:0; კობრელოა — ბოლივარი 3:3; ატლეტიკო მინეირო — ბელა ვისტა 2:1; კობრელოა — ბელა ვისტა 1:1; ბოლივარი — ატლეტიკო მინეირო 4:0; ბელა ვისტა — ბოლივარი 4:0; ატლეტიკო მინეირო — კობრელოა 6:0; ბოლივარი — კობრელოა 4:1; ბელა ვისტა — ატლეტიკო მინეირო 1:0

ბოლივარი	6	3	1	2	12:9	10
მინეირო	6	3	0	3	9:7	9
ბელა ვისტა	6	2	2	2	8:5	8
კობრელოა	6	1	3	2	7:15	6

მერვედფინალის წილისყრა. I წრე

2 მაისი. ატლეტიკო მინეირო (ბრაზილია) — ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია); ამერიკა (მექსიკა) — ამერიკა (კოლუმბია)
3 მაისი. ელ ნასიონალი (ეკვადორი) — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა); როსარიო სენტრალი (არგენტინა) — კორინთიანსი (ბრაზილია); ატლასი (მექსიკა) — ხუნიორი (კოლუმბია); ნასიონალი (ურუგვაი) — ბოლივარი (ბოლივია)
4 მაისი. სერო პორტენო (პარაგვაი) — რივერ პლეიტი (არგენტინა); პენიაროლი (ურუგვაი) — პალმეირასი (ბრაზილია)

ყოჩაღ და მერე უკეთესად



დინო ძოფი

ITALIIS ნაკრების მწვრთნელმა, დინო ძოფმა განაცხადა, რომ მისმა გუნდმა პორტუგალიის ნაკრებთან სეზონში საუკეთესოდ ითამაშა. მოგეხსენებათ, „სკუადრა აძურამ“ რეჯო კალაბრიაში სტუმრებს 2:0 მოუგო.

„ოთხშაბათს წინ გადადგმული ნაბიჯი ვიხილეთ. აქ ორი აზრი არ არსებობს. მინდა ვთქვა, რომ ასე კარგად ნაკრებს მიმდინარე სეზონში არ უთამაშია“ — გაიხარა 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, თუმცა დასძინა: „ფეხბურთელებს ბურთის მეტად დაჭერა მართებთ, ხოლო მისი წინ, შორს გადაგდება გამონაკლისი შემთხვევა უნდა იყოს. მოსამზადებელ პერიოდში სწორედ ამაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება“.

მოგეხსენებათ, იტალიის ნაკრებმა ბოლო ექვს შეხვედრაში მხოლოდ ორჯერ გაიმარჯვა, გულშემატკივრები და მიმომხილველები კი ერთხმად ამტკიცებენ, რომ გასულ წელს, ივნისში, უელსის 4:0 დამარცხების შემდეგ გუნდს შთამბეჭდავად აღარ უთამაშია.

კიდევ ერთი: როგორც ჩანს, გაირკვა, რომ ოთხშაბათს პორტუგალიელთა კარში პირველი გოლი ფილიპო ინძაგიმ კი არა, მისმა იუვენტუსელმა თანაგუნდელმა, მარკ იულიანომ გაიტანა. შეგახსენებთ, რომ ინძაგიმ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მგონი ჩემს შემდეგ ბურთისთვის ფეხი აღარავის მიუკარებია, თუმცა იულიანოსაც დავეკითხოთ, ის დაგვიდასტურებს ან უარყოფსო.

პორტუგალიასთან შეხვედრაში იტალიელი თავდამსხმელები პირველ ტაიმში მოიკოჭლებდნენ: ინძაგისა და მარკო დელვეკიოს წყვილი ეფექტური არ აღმოჩნდა, მაგრამ მას მერე, რაც დელვეკიო ფრანჩესკო ტოტიმ შეცვალა, სურათი გადასხვაფერდა. პირველი გოლის ამბავი ზემოთ მოგახსენეთ, მეორე კი ხსენებულმა ტოტიმ შეაგდო.

ძოფისთვის სასიხარულო გამოდგა „იუვენტუსის“ ჯანლუკა ძამბროტასა და „უდინეზეს“ სტეფანო ფიორეს კარგი თამაშიც. ძამბროტამ მარჯვენა ფრთაზე იყოჩაღა, ფიორე კი აგერ უვე სამი მატჩია ნახევარდაცვის შუაში თამაშობს და, ალბათ, ევრო 2000-ზე ადგილი უკვე დაიბევა. მოკლედ, „სკუადრა აძურას“ აქილევსის ქუსლი, ნახევარდაცვა, უწინდელთან შედარებით ყოჩაღად გამოიყურება.

„თუ ცალკეულ ფეხბურთელებს განვიხილავთ, საგანგებოდ მინდა ფიორე აღვნიშნო. თამაშის მიწურულს ცოტა კი დაიღალა, მაგრამ მაშინაც შეძლო ტოტისთვის საგოლე პასის მიწოდება. კარგი იყო ძამბროტაც. რაღაც რაღაცეები ჯერ გამოსასწორებელი აქვს, მაგრამ დღეს რისი ნახვაც მინდოდა, ვნახე“ — ბრძანა მწვრთნელმა.

იტალიელებს, რომლებიც ბოლო დროს დანიამ, ბელგიამ და ესპანეთმა დაამარცხა, ჩემპიონატამდე ერთი ამხანაგური მატჩიღა დარჩა — 3 ივნისს ოსლოში ნორვეგიასთან. შემდეგ კი იწყება მთავარი: 11 ივნისს „სკუადრა აძურა“ თურქეთს ეთამაშება, რასაც მოჰყვება შეხვედრები ბელგიასა და შვედეთთან.

პორტუგალიამ კი ბოლო 14 შეხვედრაში პირველად წააგო და შეჯიბრებამდე ამხანაგურის თამაშს აღარ აპირებს. ევროპის ჩემპიონატზე, ჯგუფში, მას რუმინეთთან, ინგლისთან და გერმანიასთან უწევს გაჯიბრება.

ITALIELMA ნახევარმცველმა ლუიჯი დი ბიაჯომ პორტუგალიის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მილანის „ინტერს“ სერია A-ს მომავალ ტურში ვერ დაეხმარება. დი ბიაჯომ დაშავებული დემეტრიო ალბერტინი მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალა, მატჩის მიწურულს კი მასაც დაეჭიმა კუნთი და ნაადრევად დატოვა მინდორი. დი ბიაჯოსგან განსხვავებით, ალბერტინი სერია A-ს მომავალ ტურში ითამაშებს, „მილანი“ კვირას „პიაჩენცას“ შეხვდება.

TURKULI „ბეშიქთაშის“ თავკაცებმა მთავარი მწვრთნელი ჰანს პეტერ ბრიგელი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. გერმანელ სპეციალისტს ახალი კონტრაქტი შესთავაზეს, მან კი ანაზღაურების გაზრდა მოითხოვა. მწვრთნელსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის უთანხმობა წარმოიშვა, საბოლოოდ კი ბრიგელმა პოსტი დატოვა. თურქეთის ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში „ბეშიქთაში“ მეორე ადგილზეა, სეზონის დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა. ახალი მწვრთნელის ვინაობა კლუბს ჯერჯერობით არ დაუსახელებია.

ŠVEDMA მცველმა პონტუს კამარკმა დანიელებთან ამხანაგურ შეხვედრაში მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს. „მუხლის ძლიერი ტკივილი ვიგრძენი, ამგვარი რამ ადრეც დამემართა და ძალიან გავწვალდი. მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ევროპის პირველობის გამოტოვება მომიწევს“ — განაცხადა სტოკჰოლმის აიკ-ის ფეხბურთელმა. შვედეთის ნაკრების ექიმის ცნობით, კამარკი დაახლოებით ოთხ თვეს ვერ ითამაშებს, თუმცა უფრო ზუსტ დიაგნოზს მეორადი შემოწმების შემდეგ დასვამენ.

RUMINETIIS მეორე დივიზიონში მოთამაშე ორი გუნდი — „პრობედა“ და „ჩიმიკა“ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მატჩის ჩაწყობაში ამხილა და ქვედა ლიგაში დააქვეითა. „მომავალ სეზონს ორივე გუნდი მესამე დივიზიონში დაიწყებს. წინა კვირას მათ სერიოზული კანონდარღვევა აღმოვუჩინეთ“ — იუწყება ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია. ორივე კლუბის მფლობელი რუმინულ ფეხბურთს ჩამოაშორეს. „პრობედას“ ხელმძღვანელი ჯერჯერობით ურჩობს და ფიფასა და უეფაში ჩივილს აპირებს. ეს კლუბები ერთმანეთს წინა კვირას შეხვდნენ და „პრობედამ“ 2:0 მოიგო.

ESTONURI „ფლორას“ ლიტველი ლეგიონერი სგაიუნას რაუკისი ფინანსურ მაქინაციებში გაერია და კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდიდან დაითხოვა. „ფლორას“ განცხადებით, წინა სეზონში ესტონეთის საუკეთესო ბომბარდირი უახლოეს მომავალში სამშობლოში დაბრუნდება და თავის ყოფილ კლუბს შეუერთდება. თავად რაუკისს კომენტარი არ გაუკეთებია.

GERMANIIS ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელები — მეპმეთ შოლი და მარკუს ბაბელი ნაკრებში თამაშისას დაშავდნენ და ბუნდესლიგის მომავალ ტურში „ჰანზას“ შესაძლოა ვერ დაუპირისპირდნენ. შვეიცარიის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში შოლმა კისერი დაიზიანა, ხოლო ბაბელმა — თეძო. დღეს გაირკვევა, შეებრძოლებიან თუ არა ისინი როსტოკელებს.

IAPONIIS ნაკრებმა გასულ ოთხშაბათს სამხრეთ კორეასთან ამხანაგური მატჩი წააგო და მის მთავარ მწვრთნელ ფილიპ ტრუსიეს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. იაპონიის ფეხბურთის ფედერაცია 25 მაისს საგანგებო სხდომას მოაწყობს და იმსჯელებს, გაუგრძელოს თუ არა ფრანგ სპეციალისტს კონტრაქტი. „ყველაფერი 25 მაისს გადაწყდება. ტრუსიეს მიმდინარე შეთანხმება ზაფხულში ეწურება, არ არის გამორიცხული, იგი თანამდებობიდან გაათავისუფლონ“ — იუწყება იაპონური სააგენტო. 45 წლის ტრუსიე ნაკრებს 1998 წელს ჩაუდგა სათავეში, მანამდე, ათი წლის განმავლობაში, იგი აფრიკაში მოღვაწეობდა, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ხელმძღვანელობდა.

GERMANELI ვეტერანი ფეხბურთელი ლოთარ მათეუსი იმედოვნებს, რომ 26 მაისს მის გამოსათხოვარ მატჩში არგენტინელი დიეგო მარადონაც მიიღებს მონაწილეობას. ეს შეხვედრა მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ გაიმართება. მარადონა კვლავ კუბაშია და მკურნალობს. მათეუსი კი ამჟამად ამერიკაში, ნიუ იორკის „მეტროსტარზში“ თამაშობს. გასულ ოთხშაბათს მან თავისივე რეკორდი გააუმჯობესა — გერმანიის ეროვნულ ნაკრებში 146-ე შეხვედრა ჩაატარა. მარადონას აზრი ჯერჯერობით უცნობია, თუმც იმედია, რომ მის პასუხს მალე შევიტყობთ.

IAPONELI ნახევარმცველი ჰიდეტოში ნაკატა სეზონის ბოლოს სავარაუდოდ „რომას“ დატოვებს. პერსპექტიულ ფეხბურთელს, რომელმაც რომაულ კლუბში დიდ წარმატებას მიაღწია, რამდენიმე ინგლისური და გერმანული გუნდი ეპატიჟება. „რომას“ პრეზიდენტი ფრანკო სენსი უახლოეს მომავალში მწვრთნელ ფაბიო კაპელოს შეხვდება და ნაკატას ტრანსფერზე გაესაუბრება.

ITALIURI სააგენტოების ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედი“ არგენტინელ ნახევარმცველ ხუან სებასტიან ვერონის შეძენას ცდილობს და რომის „ლაციოს“ 20 მილიონ გირვანქას უხდის. 25 წლის ფეხბურთელით უკვე არაერთი წამყვანი ევროპული კლუბია დაინტერესებული. არ არის გამორიცხული, ვერონმა მომავალი სეზონი ახალ კლუბში დაიწყოს. ესპანური პრესა ადრეც იუწყებოდა, რომ არგენტინელის ყიდვა მადრიდის „რეალს“ სურდა, თუმცა რომაულ კლუბს ჯერჯერობით არაფერი განუცხადებია.

FRANGI მცველი კრისტიან კარემბუ სეზონის ბოლოს შესაძლოა „მიდლსბროში“ გადავიდეს. ინგლისელები მადრიდის „რეალს“ 5 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. კარემბუმ სამეფო კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და უკვე კარგა ხანია, მადრიდიდან წასვლას აპირებს. „რეალის“ პრეზიდენტი ლორენცო სანსი ახალ შეთავაზებას, ალბათ, დათანხმდება და ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონი გაისად „მიდლსბროში“ ითამაშებს.

ITALIELI ბენიტო კარბონე მალე, ალბათ, სამშობლოში დაბრუნდება და სერია A-ს რომელიმე კლუბში ჩაირიცხება. კარბონეს „ასტონ ვილასთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უსრულდება და გუნდის არჩევა თავისუფალი აგენტის სტატუსით შეეძლება. ბირმინგემელებმა იტალიელს ახალი შეთანხმება შესთავაზეს, მაგრამ მხარეები ვერ მორიგდნენ და კარბონე სეზონის ბოლოს კლუბიდან წავა. მილანის „ინტერის“ ყოფილი ფეხბურთელის შეძენას „პარმა“ ლამობს, თუმცა მას რომის „ლაციოც“ ეცილება. თავად კარბონეს აზრი ჯერჯერობით უცნობია.

IUGOSLAVIA. 35-ე ტური: ობილიჩი — სარტიდი 1:0; ჰაიდუკი (კულა) — მილიციონარი 2:0; პროლეტერი — ცრვენა ზვეზდა 0:1; ჰაიდუკი (ბელგრადი) — ჟელეზნიკი 2:1; ჩუკარიჩკი — ზემუნი 1:2; სუტიესკა — რადი (ბელგრადი) 1:0; რადნიჩკი (ნიში) — ოფკ (ბელგრადი) 4:0; სპარტაკი — რადნიჩკი (კრაგუევაჩი) 2:1; ვოივოდინა — ბორაცი 4:0; პარტიზანი — ბუდუჩნოსტი 4:1. ჩემპიონატს 87 ქულით ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ ლიდერობს, მეორე-მესამე ადგილებსაც ბელგრადული კლუბები იყოფენ, „პარტიზანი“ — 85 ქულა, „ობილიჩი“ — 80 ქულა.

საუკუნის დასასრული

RUMINELI ვარსკვლავი გეორგე ჰაჯი სეზონის ბოლოს ფეხბურთს ემშვიდობება — გუშინ ასეთი ცნობა იხილეს თურქული გაზეთის, „მილიეთის“ მკითხველებმა — ცნობა ჰაჯის კლუბის, სტამბოლის „გალათასარაის“ ოფიციალური წარმომადგენლის, ბურაქ ელმასის გავრცელებულია.

„ჰაჯიმ მიზეზები ჩამოგვითვალა“ — განუცხადა ელმასმა გაზეთს — „თქვა, რომ დაიღალა, დაბერდა და ოჯახში მეტი დროის გატარება სურს“.

35 წლის გამთამაშებელი „გალათასარაიში“ 1996 წელს, „ბარსელონადან“ გადავიდა და გუნდს სამჯერ მოაგებინა თურქეთის ჩემპიონის ტიტული, ხოლო წლეულს უეფას თასის ფინალშიც გაიყვანა. მისი ნიჭის დასახასიათებლად იმის თქმაც საკმარისია, რომ საუკეთესო წლებში თვით მარადონასაც კი ადარებდნენ.

მე-20 საუკუნის რუმინეთის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა შარშან განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში აღარ ითამაშებს. ამბობენ, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მირჩა სანდუმ ჰაჯის ეროვნული გუნდის მწვრთნელის ასისტენტობა შესთავაზა.

რუმინეთის ნაკრების მაისურას გეორგე ჰაჯი რამდენჯერმეღა მოირგებს

გერმანული მანქანის ცვეთა

BOLO 22 წელია, შვეიცარიელები გერმანიის ნაკრებთან მატჩებში მუდამ დამარცხებულები ტოვებენ მინდორს. და აი, ახლა, კაიზერსლაუტერნში, ეს ტრადიცია დაირღვა — სტუმრებმა ფრეს მიაღწიეს. უფრო სწორად კი, რის ვაი-ვაგლახით გერმანელებმა გაათანაბრეს ანგარიში, ისიც ბოლო წუთებზე მეტად საეჭვო გოლით. რომ არა მსაჯის შეცდომა (საპასუხო გოლის გატანის მომენტში შვეიცარიელ მეკარეს უხეშად ეთამაშნენ), კიდევ უფრო ძველი რეკორდი დაემხობოდა — 1956 წლის მერე შვეიცარია გერმანიას პირველად დაამარცხებდა.

„საზიზღრად ვითამაშეთ. იმედია, ერიხ რიბეკი ევროპის ჩემპიონატამდე დარჩენილ დროში ჩვენი შეცდომების გამოსწორებას მოახერხებს“ — უთქვამს მატჩის შემდეგ ოლივერ ბირჰოფს. ბენილუქსში გამგზავრებამდე მართლაც ცოტა დროა დარჩენილი, გასაკეთებელი კი ბევრია. გერმანიაში ბლომად მოიძებნებიან ისეთები, ვისაც ბუნდესნაკრების მწვრთნელის შესაძლებლობებში ეჭვი ეპარება. ხმებიც დაირხა, შესაძლოა რიბეკი ამ დღეებში გადადგესო.

„რას მოგვცემს ეს? — კითხულობს გერმანეთა უპირველესი მეკარე ოლივერ კანი: „ჩვენ რიბეკთან ერთად გავიარეთ შესარჩევი ეტაპი და ჯგუფში პირველობაც მოვიპოვეთ. ამ ფაქტს რატომ არ იხსენებთ? ერთ შეხვედრაში ჩავარდნა სამწუხარო კია, მაგრამ კატასტროფა სულაც არ გახლავთ“.

შვეიცარიასთან მატჩში იენს ლემანმა ყოველად სულელური გოლი გაუშვა. კარში კანი რომ მდგარიყო, გერმანელებს იქნებ მოეგოთ კიდეც და კრიტიკის ნაკლები ქარცეცხლი დასტყდომოდათ თავს, მაგრამ შეიცვლებოდა ამით რამე? ცხადია, არა. გერმანელები ევროპის ჩემპიონები ოთხი წლის წინ გახდნენ. მას შემდეგ ნაკრებიდან წასული თუ მობერებული ფეხბურთელების ღირსეული ცვლა არ გამოჩენილა — პრობლემის თავიდათავიც ეს არის.

GIORGI DARJANIA

10 დღე, რომელმაც შეძრა ვან ნისტელროი

ჩემი სიტყვა ვთქვი და მორჩა

17 აპრილი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავმჯდომარე მარტინ ედუარდსი შეხვდა „ეინდჰოვენის“ პრეზიდენტ ჰარი ვან რაის. საუბრის თემა ჰოლანდიელი თავდამსხმელის რუუდ ვან ნისტელროის ინგლისურ კლუბში გადასვლა იყო.

20 აპრილი

მარტინ ედუარდსი და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფინანსური დირექტორი დევიდ გილი ეინდჰოვენის ერთ-ერთ რესტორანში დიდხანს ბჭობენ და ბოლოს თანხმდებიან მასპინძელთა მოთხოვნას — გადაიხადონ თავდამსხმელში 18,5 მილიონი გირვანქა. ეს თანხა ბრიტანეთისთვის სარეკორდოა.

21 აპრილი

„ვან ნისტელროი „მანჩესტერ იუნაიტედის წევრია“ — განაცხადა შუადღეს პსვ-ს პრეს-ატაშემ, პედრო სალაზარმა. „მჯერა, რომ გავამართლებ. ერთი სული მაქვს, როდის დავამტკიცებ ჩემს სიძლიერეს“ — ამბობს თავად ფეხბურთელი მანჩესტერში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. საღამოს გაზეთ „მირორისთვის“ ცნობილი ხდება, რომ კონტრაქტის გაფორმება შეიძლება გაჭიანურდეს.

23 აპრილი

ვან ნისტელროი შეხვდა ალექს ფერგიუსონს, რომელიც გახარებულია ახალი თავდამსხმელის ყიდვით, თუმცა ამბობს, ძირითად შემადგენლობაში მუდმივად ყოფნის გარანტიას ვერავის მივცემო.

24 აპრილი

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ლონდონის „ჩელსის“ მასპინძლობს. მატჩს ვან ნისტელროიც ესწრება. „აქ შთამბეჭდავი ატმოსფეროა. იმედია, „ოლდ ტრეფორდი“ ჩემს სულიერ სახლად იქცევა“ — ამბობს გელფრენდთან და აგენტთან ერთად საპატიო სტუმართა ლოჟაში მოკალათებული ფეხბურთელი.

25 აპრილი

დილით „იუნაიტედს“ და ვან ნისტელროის შორის კონტრაქტის ხელშოწერის საზეიმო ცერემონიალია დაგეგმილი. „ოლდ ტრეფორდის“ დარბაზში შეკრებილ ორასამდე ჟურნალისტს კი კლუბის ფინანსური დირექტორი გამოეცხადა: „დრო გვჭირდება, რათა მისი ნატკენი მუხლი გამოვიკვლიოთ... ვფიქრობ, პარასკევისთვის ყველაფერი გაირკვევა“. ამ დროს ვან ნისტელროი მანჩესტერელი ექიმების ხელშია.

26 აპრილი

ეინდჰოვენიდან მანჩესტერში ჩაფრინდა პსვ-ს ექიმი ვან დერ ჰუგენბანდი: „გარწმუნებთ, მტკივანი მუხლის აღდგენის პროცესი ნავარაუდევს შეესაბამება“. ამასობაში ვან ნისტელროი პირველად გამოთქვამს წყენას: „ვერ გამიგია, რაშია პრობლემა. კი ბატონო, დღეს სათამაშოდ მზად არ გახლავართ, მაგრამ ათ დღეში ფორმაში ვიქნები“. ირკვევა, რომ პრობლემა სადაზღვევო თანხაა. მისი დამატებით „მანჩესტერს“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი უკვე 21 მილიონი დაუჯდება. „თუ არ სურთ რუუდი, დაგვიბრუნონ, ძალიანაც გამიხარდება. მისი გაყიდვა არც ჩვენი გუნდის გულშემატკივრებს სურდათ და არც კლუბის ხელმძღვანელებს. უბრალოდ, მისი ამბიცია და სურვილი გავითვალისწინეთ და ხელი არ შევუშალეთ. ექიმები ადასტურებენ, რომ ტრავმა სერიოზული არაა და ვან ნისტელროი 10-12 დღეში მწყობრში ჩადგება“ — ამბობს პსვ-ს პრეზიდენტი ვან რაი. საღამოს ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაცია ადასტურებს, რომ თუ რაიკაარდი ვან ნისტელროის ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანს, დაზღვევის თანხას ეს ორგანიზაცია გადაიხდის.

27 აპრილი

„ჩემი თავმოყვარეობისა და საერთოდ, პრინციპის საქმეა. მამოწმონ, რამდენიც უნდათ, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, რომ ბოლოს უარს არ მეტყვიან. ჰოდა, სჯობს დავასწრო და თავად ვთქვა უარი. კი, გული ძალიან მწყდება, მაგრამ ჩემი სიტყვა ვთქვი და მორჩა — მე ისევ „პსვ ეინდჰოვენის“ ფეხბურთელი ვარ“ — ვან ნისტელროიმ სენსაციური განცხადება გააკეთა.

გუშინდელ ვარჯიშზე: რა დროს მიმტყუნა მარჯვენამ...

სერ ალექს ფერგიუსონი, რამდენიმე დღით ესპანეთში დასასვენებლად რომ იყო წასული, სასწრაფოდ შინ დაბრუნდა.

ვან რაი: „ყველანაირად მხარს ვუჭერთ რუუდს. „იუნაიტედს“ თუ სურს, კიდევ დაველაპარაკებით, თუმცა საბოლოო სიტყვა ამჯერად ფეხბურთელისა იქნება“.

ერიკ გერეტსი, პსვ-ს მწვრთნელი: „ინგლისელებმა არ იციან, როგორ მიჰქარეს. ასეთი თავდამსხმელი ამჟამად მსოფლიოში არ მოიძებნება. ამ ტრავმამდე რუუდი არასდროს დაშავებულა. არც ამ მუხლის მორჩენაა უსაშველო, თუმცა მანჩესტერში ეს პრობლემა ჰგონიათ. ახლა ვან ნისტელროი გააგრძელებს ჩვენს კლუბში თამაშს, მერე კი ევროპის ჩემპიონატშიც მიიღებს მონაწილეობას“.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ პრეს-ატაშე „ვწუხვართ, რომ ამ ეტაპზე გარიგება ჩაიშალა. რუუდ ვან ნისტელროის ვუსურვებთ გამოჯანმრთელებას. ჩვენ კიდევ ვეცდებით მის გადმობირებას“.

მანამდე

23 წლის ვან ნისტელროიმ ოთხი სეზონი „დენ ბოსხში“ ნახევარმცველად ითამაშა. 1997 წელს „ჰერენვენში“ გადავიდა და 44 თამაშში 25-ჯერ შეაგდო. მერე 5 მილიონ დოლარად „ეინდჰოვენმა“ იყიდა. შარშან ევროპის „ვერცხლის ბუცი“ მოიპოვა (34 მატჩში 31 გოლი), ამ სეზონში კი, 9 მარტს დანიურ „სილკებორგთან“ ამხანაგურ მატჩში მიღებული ტრავმის მიუხედავად, 29 გოლი გაიტანა. ჰოლანდიის ნაკრებში ათჯერ ითამაშა და მხოლოდ ერთხელ აიღო მეტოქის კარი — მაროკოსთან 2:1 მოგებულ შეხვედრაში.

დაბოლოს. გუშინ

ეინდჰოვენში ჩატარებულ პირველივე ვარჯიშზე რუუდ ვან ნისტელროიმ ისევ დაიშავა მარჯვენა მუხლი და ჰოსპიტალში მოხვდა...

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

12 აზიური ნაკრები, რომლებიც ოქტომბერში კონტინენტის ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ, სამ ჯგუფად განაწილდა. მეორე ეტაპზე კი ექვს საუკეთესოს ორი უკეთესი მესამეადგილოსანიც შეუერთდება. ისინი ოლიმპიური სისტემით გააგრძელებენ ბრძოლას.

ცხადია, ყველა ჯგუფს თავისი ფავორიტები და აუტსაიდერები ჰყავს. პირველში გამარჯვებას ირანელებს უწინასწარმეტყველებენ, მეორეში კორეასა და ჩინეთს შორის უნდა გაიმართოს დიდი ბრძოლა, ხოლო მესამე სულაც „სასიკვდილოდ“ მოინათლა. იქ ბოლო ოთხი ჩემპიონატის უცვლელი გამარჯვებულები — საუდეთი და იაპონია მოხვდნენ. ყველაზე სასეირო კი 18 ოქტომბერს გასამართი ირანი — ერაყის მატჩი იქნება, ვაითუ ძველი შუღლი გაიხსენონ.

ᲚᲘᲑᲐᲜᲘ. 12-29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

A ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲚᲘᲑᲐᲜᲘ, ᲔᲠᲐᲧᲘ, ᲘᲠᲐᲜᲘ, ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲘ

12 ოქტომბერი ერაყი — ტაილანდი; ლიბანი — ირანი
15 ოქტომბერი ირანი — ტაილანდი; ლიბანი — ერაყი
18 ოქტომბერი ირანი — ერაყი; ლიბანი — ტაილანდი

B ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲙᲝᲠᲔᲐ, ᲩᲘᲜᲔᲗᲘ, ᲥᲣᲕᲔᲘᲗᲘ, ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐ

13 ოქტომბერი კორეა — ჩინეთი; ქუვეითი — ინდონეზია
16 ოქტომბერი ჩინეთი — ინდონეზია; კორეა — ქუვეითი
19 ოქტომბერი ჩინეთი — ქუვეითი; კორეა — ინდონეზია

C ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲡᲐᲣᲓᲔᲗᲘ, ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐ, ᲧᲐᲢᲐᲠᲘ, ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘ

14 ოქტომბერი საუდეთი — იაპონია; ყატარი — უზბეკეთი
17 ოქტომბერი იაპონია — უზბეკეთი; საუდეთი — ყატარი
20 ოქტომბერი საუდეთი — უზბეკეთი; იაპონია — ყატარი

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

23 ოქტომბერი A1 — B3 ან C3; B1 — A3 ან C3
24 ოქტომბერი C1 — A2; B2 — C2

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

26 ოქტომბერი I წყვილის გამარჯვებული — IV წყვილის გამარჯვებული; II წყვილის გამარჯვებული — III წყვილის გამარჯვებული

მატჩი მე-3 ადგილისთვის და ფინალი გაიმართება 29 ოქტომბერს, ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲠᲒᲔᲕᲘ ᲪᲘᲙᲚᲘ

ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

A ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲐᲜᲒᲝᲚᲐ
ᲖᲐᲛᲑᲘᲐ
ᲚᲘᲑᲘᲐ
ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲘ
ᲢᲝᲒᲝ

B ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲜᲘ�გᲔᲠᲘᲐ
ᲡᲘᲔᲠᲐ ᲚᲔᲝᲜᲔ
ᲡᲣᲓᲐᲜᲘ
ᲚᲘᲑᲔᲠᲘᲐ
ᲒᲐᲜᲐ

C ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲐᲚᲟᲘᲠᲘ
ᲡᲔᲜᲔ�გᲐᲚᲘ
ᲜᲐᲛᲘᲑᲘᲐ
ᲛᲐᲠᲝᲙᲝ
ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔ

D ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲛᲐᲓᲐᲒᲐᲡᲙᲐᲠᲘ
ᲙᲝᲜᲒᲝᲡ ᲓᲠ.
ᲙᲝᲢ ᲓᲘᲕᲣᲐᲠᲘ
ᲢᲣᲜᲘᲡᲘ
ᲙᲝᲜᲒᲝ

E ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲒᲕᲘᲜᲔᲐ
ᲖᲘᲛᲑᲐᲑᲕᲔ
ᲛᲐᲚᲐᲕᲘ
ᲑᲣᲠᲙᲘᲜᲐ ᲤᲐᲡᲝ
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

ᲣᲮᲔᲘᲠᲝ წილისყრებზე არაერთხელ გვითქვამს და აი, კიდევ ერთი მაგალითი — ხუთი მეტად არათანაბარი სიძლიერის ჯგუფი.

რამდენიმე დღის წინ აფრიკელებმა კონტინენტის 25 საუკეთესო გუნდი გამოავლინეს და ციურიხში გასამართი მეორე ეტაპის წილისყრის შედეგებს ელოდნენ. ეს პროცედურა გუშინ შედგა. შედეგი ასეთია:

C ჯგუფში მსოფლიოს ჩემპიონატის ერთადერთ საგზურს ალჟირი, მაროკო და ეგვიპტე ეცილებიან ერთმანეთს. არადა, კორეა-იაპონიაში გამგზავრებას სამივე მათგანი იმსახურებს. ამავე დროს E ჯგუფში სამხრეთ აფრიკელებს სერიოზული კონკურენტი არ ჰყავთ. კიდევ უფრო სუსტია D ჯგუფი, სადაც ყველაზე ძლიერად ტუნისი უნდა მივიჩნიოთ. A ჯგუფში სასწაული თუ არ მოხდა, პირველობას კამერუნი იზეიმებს, ხოლო B ჯგუფში ორიოდე თვის წინ დასრულებული აფრიკის თასის გათამაშების თანამასპინძლები და უდავოდ ძლიერი გუნდები — ნიგერია და განა მოხვდნენ.

ცხადია, წილისყრის შედეგები ბევრ კამათს გამოიწვევს, ზოგი კმაყოფილი დარჩა, უმეტესობა — პირიქით, მაგრამ უკვე აღარაფერი შეიცვლება.

ჯგუფური ტურნირი გაიმართება 2000 წლის 16 ივნისიდან 2001 წლის 29 ივლისამდე. პირველადგილოსნები მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ

საჭირბოროტო კითხვა — პასუხი

— ბოლო დროს სულ ლუის ვან გაალზე ვფიქრობ.

— მე კი ფრენკ რაიკარდზე.

— რაიკარდი რაღა საფიქრალია?

— რა მოხდებოდა, რაიკარდი რომ „ბარსას“ მწვრთნელი იყოს და ვან გაალი ჰოლანდიის ნაკრების?

— რთული საკითხია.

— არანაირი სირთულე ამაში არ არის. „ბარსა“ ჯიმი ჰასელბაინკს იყიდდა და გავარდებოდა, ჰოლანდია კი ევროპის ჩემპიონი გახდებოდა.

— „ბარსა“ უფრო ძლიერია თუ ჰოლანდიის ნაკრები?

— თუ ფიგუ ფორმაშია და რივალდო ხასიათზეა, „ბარსა“ უფრო ძლიერია.

— როგორ შეიძლება კლუბი ნაკრებს ჯობდეს, მითუმეტეს, როცა იქ ერთიდაიგივე ხალხი თამაშობს?

— ფიგუ და რივალდო?

— მაგათ მაგივრად ოვერმარსი და ბერჩყამპი ცოტაა?

— შენ როგორ მოგდის, იცი? რაიკარდივით ფიქრობ.

— რას ფიქრობს რაიკარდი?

— მაგას ფიქრობს. და კიდევ ჰგონია, რომ რახან „იუვე“ გოლს არ უშვებს, არც ჰოლანდიის ნაკრები გაუშვებს.

— აბა, ვინ არის კარგი მწვრთნელი?

— ელინიო ერერა.

— ეგ ხომ გარდაიცვალა?

— ამათი ბედი, რომ გარდაიცვალა.

— ესე იგი, დღეს კარგი მწვრთნელები აღარ არიან?

— როგორ გითხრა. ისეთი კაცი გამწვრთნელდება ხოლმე, რომ...

— მაგალითად?

— ბოფი.

— ძოფმა სკუდეტო მოიგო.

— ეგეთი სკუდეტო ტრაპატონიმ შვიდი მოიგო.

— აბა ვინ უნდა გახდეს მწვრთნელი?

— ვთქვათ, რედონდო.

— ჰმ... კიდევ?

— კიდევ... გარი მაკალისტერი.

— და გაზა?

— გაზას მწვრთნელობა როგორ შეიძლება?

— გარი მაკალისტერის თუ შეიძლება...

— გარი წესიერი კაცია.

— და გაზა უწესოა?

— გაზა რთულია.

— ჰოლლზე რთული?

— ამ აღდგომა დღეს სულებზე და მოჩვენებებზე ნუ ვილაპარაკებთ.

— გაზაზე ვილაპარაკეთ და უარესი რაღა უნდა იყოს?

— მე ვიცი, რაც არის უარესი.

— რა?

— უინსტონ ბოგარდი თავის საჯარიმოში.

— ჰენინგ ბერგზე უარესია?

— კი, ოღონდ უკეთ შენიღბულია.

— მეეჭვება.

— ტელევიზორს უყურე.

ფიქრი ხვალინდელზე

ფეხბურთი და ძალადობა ურთიერთდაკავშირებულიაო, განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა ხუთშაბათს გამართულ სხდომაზე. ფეხბურთის პირველი პირის აზრით, სტამბოლში „გალათასარაისა“ და „ლიდსის“ ფანებს შორის მომხდარი შეტაკება და დატრიალებული ტრაგედია მხოლოდ ცალმხრივად არ უნდა განიხილონ, რადგან ფეხბუროი საზოგადოების სახეა და ხალხის გუნება-განწყობილება უთუოდ იქაც იჩენს თავს.

— ფარისევლურად თვალის დახუჭვას აზრი არა აქვს. ფეხბურთში ის ხდება, რაც საზოგადოებაში — ბრძანა ბლატერმა და დასძინა, რომ მარტო სპორტის მაღალჩინოსანთა ძალისხმევა საერთო სურათს ვერ შეცვლის. მათი დიდი მონდომება მხოლოდ ტრიბუნებზე სიმშვიდის შესანარჩუნებლად კმარა, სტადიონს გარეთ კი...

„ჩვენ პოლიციური ძალაუფლება არ გვაქვს. სამართალდამცავებთან უნდა ვითანამშრომლოთ. მათთან ერთად ვიმსჯელოთ და სიტუაცია გამოვასწოროთ. მარტონი ვერაფერს გავხდებით, ძალადობას ვერ შევაჩერებთ, რადგან ყველაფერი ხალხიდან მოდის“ — აღნიშნა ფიფას თავკაცმა.

ფეხბურთში გამეფებულ კრიმინალზე რომ ისაუბრა, ბლატერმა საერთაშორისო კალენდარსაც მიხედა.

REUTERS ცოცხალიდან

ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი და გენერალური მდივანი მიშელ ზენ რუფინენი ხუთშაბათის სხდომისას

2002 წელს ახალი პროექტი განხორციელდება, კალენდარი ეგრეთწოდებულ სექტორებად დაიყოფა — ყოველ სეზონს ვადებად დაანაწილებენ. ეროვნულ ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებებს შესაბამის დროს გამოუყოფენ, ცალკე გაითვალისწინებენ საკლუბო ტურნირებს და საერთაშორისო ამხანაგურ თუ ოფიციალურ მატჩებს.

დასვენებისთვის ოთხკვირიანი არდადეგებია განკუთვნილი, ხოლო სეზონის დაწყებამდე ხუთი კვირით ადრე ფეხბურთელები თავიანთ გუნდებს დაუბრუნდებიან.

ახალი გეგმის განხილვასთან ერთად ბლატერმა აღნიშნა, რომ პროექტს თანამდევი პრობლემებიც ახლავს. „ახლა ურთულესი პერიოდი იწყება. მიზნები კი დავსახეთ, მაგრამ ამით ყველა კმაყოფილი როდი იქნება, თითოეულ მხარეს თავისი მოსაზრება აქვს. თუმცა ერთი რამ ნათელია — რახან ფიფამ განაჩენი გამოიტანა, მას ყველა უნდა დაემორჩილოს და ახალ პირობებს შეეგუოს. გვწამს, რომ მომავალი პროექტი ყველას სასიკეთოდ წაადგება, სხვანაირად ასეთ გადამჭრელ ზომებს არ მივმართავდით. გარკვეული გეგმაზომიერება, უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთელების ფიზიკურ კონდიციებსა და შესაბამისად მათი თამაშის ხარისხზეც იმოქმედებს“.

შეხვედრაზე, რომელიც დაახლოებით ოთხ საათს გაგრძელდა, ბევრი საჭირბოროტო საკითხი განიხილეს. გადაწყდა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატებში გუნდებს არ შეამცირებენ.

ინგლისს 20-გუნდიანი ლიგა აქვს და თავიდან დასვეს საკითხი მის შეკვეცაზე, მაგრამ ბლატერმა დაადასტურა, რომ ყველაფერი ისე დარჩება, როგორც არის, რადგან ეს მოსაზრება თავად პროექტის შემქმნელმა, სტრატეგიული დაგეგმარების კომიტეტმა უარყო.

თუმცა ფიფას მაღალჩინოსანმა დასძინა, რომ ამ მხრივ, შესაძლოა მცირე პრობლემები წარმოიშვას, 20-გუნდიან ლიგებს, მაგალითად, პრემიერლიგასა და პრიმერა დივიზიონს, გეგმით გამოყოფილი საკალენდარო ვადა არ ეყოთ. ბლატერმა განაცხადა, რომ ამაზე უფრო კონკრეტულად ივლისში გასამართ სხდომაზე ისაუბრებენ.

ნიკა ფუბლაძე

გერმანია

XXXII ბუნდესლიგა

დუისბურგი 0:3 არმინია

0:1 ვან დერ ვენი (6), 0:2 პეტერსი (26), 0:3 ლაბადია (89)

დუისბურგი: სტაუჩე, კოვაჩევიჩი, შტეფენი, დრსეკი, ვოლტერსი, ჰირში, ვედაუ (ჰაიტო 73), მ. ცაიერი, ბიუსკენსი, რაისი, ბაიერლე (გუვენსიკი 46)

მწვრთნელი: ზეპო აიხორნი

არმინია: ციგლერი, კლიცპერა, შტრატონსი, ვატერინკი, პეეტერსი, შ. ბოდე, ჰოფშნაიდერი (რიდლევიჩი 84), ბომე, მაული (მ. ვაისენბერგერი 46), ლაბადია, ვან დერ ვენი (შტრაალი 74)

მწვრთნელი: ჰერმან გერლანდი

გაფრთხილება: ჰირში, ვედაუ, პეეტერსი

მსაჯი: გაგელმანი

11 089 მაყურებელი

ხუთშაბათს გამართულ ერთადერთ შეხვედრაში „არმინიამ“ უკვე გავარდნილი „დუისბურგის“ დამარცხებით პირველ ბუნდესლიგაში დარჩენის თეორიული შანსი შეინარჩუნა, თუმცა გუნდის ხელმძღვანელობა თავადვე ხვდება, რომ პერსპექტივა ერთობ უიმედოა. „არმინიამ“ დარჩენილ 2 ტურში მაქსიმალური 6 ქულა უნდა მოიპოვოს, თანაც, მომავალ ტურში ჩემპიონობის მაძიებელ მიუნხენის „ბაიერნს“ მასპინძლობს, ბოლოს კი „შტუტგარტს“ სტუმრობს. მაგრამ საბოლოო წარმატებისთვის არც ეს კმარა. „არმინიას“ ბედი მისი უშუალო კონკურენტების — „ულმის“, დორტმუნდის „ბორუსიასა“ და ფრანკფურტის „აინტრახტის“ ხელშია.

საკმაოდ უნიჭოთა ქვეყნის მოთავალი ეფუძე

ინგლისელი გარი ჯონსონი თბილისში ნამყოფია. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში მისმა ლატვიის ნაკრებმა საქართველოს ეროვნულ გუნდთან 2:2 ითამაშა.

კიდევ, ჯონსონს ქართველებთან ის აკავშირებს, რომ ლატვიელთა მწვრთნელის თანამდებობაზე მან რევაზ ძოძუაშვილი შეცვალა.

დანარჩენს კი ინტერვიუდან შეიტყობთ.

ბადრი ქეთილაძის ფოტო

გარი ჯონსონი

— გარი, გაგვაგებინეთ, „ბრენტფორდის“ და „ალდერშოტის“ ყოფილმა თავდამსხმელმა როგორ მოახერხეთ „უოტფორდის“ აკადემიის დირექტორობიდან ლატვიის ნაკრების მწვრთნელობამდე აღზევება?

— ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც ერთმა ბელარუსმა მეგობარმა მთხოვა, იქნებ „უოტფორდის“ აკადემიის გუნდი ჩემი ქვეყნის 18 წლამდელთა ნაკრებთან გვეთამაშებინაო. დავყაბულდი. მერე ისე მოხდა, რომ ჩემი ნაცნობი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მეგობარიც გამოდგა და როდესაც ეს ხალხი სადღაც დავპატიჟე, ერთმანეთს დავუახლოვდით. ლატვიის ფედერაციის პრეზიდენტმა თავისი გეგმები გამაცნო, მითხრა ახალი სტადიონის და სხვა ინფრასტრუქტურის შესახებ, რითაც მაგრძნობინა, რომ საქმე დიდი გზის დასაწყისთან გვაქვს. შემდეგი მისი თხოვნა ლატვიაში ჩასვლა და იქაური ახალგაზრდების ნახვა გახლდათ, უცხოეთში გასაშვებად თუ ვარგიანო. თურმე უამრავი აგენტი დაპირებია ამ ახალგაზრდათა რომელიღაც გუნდებში გაყიდვას, მაგრამ სიტყვა ჰაერში რჩებოდა. მივხვდი, რომ მას გამოცდილი ადამიანის თანადგომა სჭირდებოდა და ამიტომაც ჯერ იტალიაში გავყევი, შემდეგ კი მოსკოვში. ასე დაიწყო.

— როდის მიხვდით, რომ მრჩეველობა ნაკრების მწვრთნელობაში გადაიზრდებოდა?

— იმხანად ასეთი რამ გულში არც გამივლია. „უოტფორდში“ თავს საუცხოოდ ვგრძნობდი და ამიტომ ლატვიელთა მრჩეველობა ფრიად მაკმაყოფილებდა, მაგრამ შემდეგ მათ საბერძნეთში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშზე დამპატიჟეს, სადაც მწვრთნელებს რჩევა მივეცი, ფეხბურთელებსაც გავესაუბრე და შედეგად ლატვიამ 2:1 გაიმარჯვა. კაცმა რომ თქვას, ის თამაში ბერძნებს შეეძლოთ 24:2 მოეგოთ, მაგრამ ასე არ მოხდა. ამის შემდეგ ლატვიელებმა შინ ერთი-ორი მატჩი ცუდად ჩაატარეს და მათი ქართველი მწვრთნელიც საუდის არაბეთში წავიდა სამუშაოდ. და აი, უოტფორდში ჩასულს წერილი დამხვდა, ნება მოგვეცით თქვენი ლატვიის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნაზე მოგელაპარაკოთო. როდესაც ამა თუ იმ ნაკრების საჭეს გაბარებენ, განა უარის თქმა შეიძლება? დავთანხმდი და გულიც არაფერზე დამწყვეტია. ჩემი ახალი სამუშაოს ყოველი წუთი მიყვარს.

— უფრო ზუსტად, რისგან შედგება თქვენი საქმიანობა?

— მე ერთად აღებული ჰოვარდ უილკინსონი და კევინ კიგანი გახლავართ. ვხელმძღვანელობ ლატვიაში ფეხბურთის განვითარების ყველა პროგრამასა და ნაკრებებს, ვირჩევ მწვრთნელებს და შემდეგ მათ მოთამაშეთა არჩევაში ვეხმარები.

— ლატვიაში რამდენ ხანს ატარებთ?

— ლატვიასა და ინგლისს დროს შუაზე ვუყოფ. ახლა, რამდენიმე კვირაა, რაც მათთან სეზონი დაიწყო და უფრო ხშირად მომიწევს ჩასვლა — ამ ჯერზე ალბათ, ოთხი-ხუთი კვირით. ისე, ინგლისელ მოთამაშეთა შესწავლაც მევალება და ეს შინ, ოჯახთან დასაბრუნებლად ჩინებული მიზეზია. კიდევ კარგი, ფრენას მხოლოდ ორი საათი და თხუთმეტი წუთი სჭირდება და ამ მხრივ პრობლემა არ მაქვს. ადრე უოტფორდსა და კემბრიჯს შორის სირბილში მეტი დრო მეხარჯებოდა.

— ლატვიის ფეხბურთის დონეზე რას გვეტყვით?

— ჩამორჩენილნი არ ვართ, მაგრამ წამყვან ქვეყანათა დარი არც რესურსი გვაქვს და არც ნიჭი. საფრანგეთს თუ 30 მსოფლიო კლასის ფეხბურთელი ჰყავს, ჩვენთან ასეთი ერთია — მარიან პახარსი. ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა რიგის „სკონტოში“ თამაშობს, ორი კაციც რუსეთში გვყავს, ერთი უკრაინაში, სამი კი ინგლისში. რიგელები ყოველ წელიწადს ჩემპიონთა ლიგის შესარჩევში თამაშობენ და ეს კარგია, მაგრამ თუ რომელიმე მოთამაშეს უცხოეთის უფრო დიდ გუნდში მიიწვევენ, არც ფედერაცია და არც „სკონტოს“ პრეზიდენტი ხელს არ უშლის. ლატვიაში სულ რვა გუნდია, ერთი პოლიციის, ხუთი პროფესიული და სამი სამოყვარულო, ამიტომ სკონტოელებს სეზონში მხოლოდ ოთხი დაძაბული მატჩის თამაში უწევთ. მოკლედ, ფეხბურთის განვითარებისთვის საჭიროა მოთამაშეების რაღაც ნაწილი ლატვიიდან წავიდეს.

— ძნელია სხვა ქვეყნების ნაკრები გუნდების ლატვიაში ჩასვლით დაინტერესება?

— ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული. ლატვიაში ჩამომავალ გუნდებს სურთ, რომ მათი ყველა ხარჯი მასპინძლებმა იკისრონ. შოტლანდიაში ფრანგების თამაშზე გახლდით და იქ ტრიბუნებზე 48 ათასი ქომაგი ვიხილეცხადია, სქოთებისთვის ფრანგთა დანახარჯის დაფარვა იოლი იქნებოდა. იმავდროულად, მეორე კატეგორიის ნაკრებები დიახაც ცდილობენ, რომ ისინი დაპატიჟონ ქვეყნებმა, რომლებიც მათ ხარჯებს გაიღებენ.

ამრიგად, მართალია მწვრთნელებს ჩვენნაირ გუნდებთან თამაშები სჭირდებათ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მათი მოწყობა ძნელდება. ხშირად არის ჩვენი დონის გუნდთან თამაშის საშუალება, მაგრამ ეს არაფერს გაძლევს, ვერაფერს ისწავლი. ცხადია, შოტლანდიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში გაჯიბრება სხვა იქნება.

— როგორც ჩანს, შანსი იმისა, რომ კევინ კიგანმა ლატვიაში ინგლისის ნაკრები ჩაიყვანოს, მცირეა.

— შოტლანდიასთან შეხვედრამდე, აგვისტოში, მინდა ინგლისის რომელიმე კლუბთან ვითამაშოთ. მარტში „შეფილდ იუნაიტედს“ 1:0 მოვუგეთ და დიდი გამოცდილება მივიღეთ, მაგრამ რიგაში ახალი სტადიონი გვაქვს და იქ მინდა მატჩის გამართვა. თუმცა ვიცი, რომ ინგლისში სეზონის დაწყების შემდეგ ამაზე ოცნებაც უაზრობა იქნება. მაინც ვცდი, იქნებ ინგლისმა 21 წლამდელთა ნაკრები გამოგვიგზავნოს.

— შოტლანდიის გარდა ჯგუფში ბელგია, ხორვატია და სან მარინოც გყავთ. რას ელით?

— ძნელი ჯგუფია, მაგრამ ლატვია ხომ მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონობას არ აპირებს და ამიტომ, ვთქვათ, კიგანივით ზეწოლას არ განვიცდი. მე მხოლოდ ქვეყანაში ფეხბურთის განვითარება მჭირდება. მთავარია მენტალურ განვითარებას მივაღწიო. მინდა ფეხბურთელებს ჩავუნერგო, რომ გამარჯვება შეუძლიათ.

— საგარაუდოდ, თუ საქმე ცუდად წაგივიდათ, გაზეთების ბოლო გვერდებზე არ მოხვდებით.

— ლატვია განვითარებადი ქვეყანაა, მოსახლეობა სამი მილიონიც არ არის. აქედან ნახევარი ქალია, რომელთა ნაწილი მოხუცია. მოკლედ, მდგომარეობა სელექციაში ხელს არ მიწყობს და მიუხედავად იმისა, რომ ფედერაციის პრეზიდენტი ამბიციურია, 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონობას არ მთხოვს. და მაინც, მართალია ლატვიას მეფე არ ჰყავს, თუ ჩვენ შესარჩევ ეტაპზე გავიმარჯვებთ, ეყოლება — ეს მე ვიქნები.

365-დან თარგმნა
პაპუნა კედიამ

შენ მოსკოვში რა გინდოდა

ქული ალარი

ფედერაციის თასი. მეოთხედფინალური ჯგუფური ტურნირები

I ჯგუფი
(მოსკოვი, რუსეთი)

ჯგუფში ცენტრალური შეხვედრა პირველივე დღეს გაიმართა — მასპინძლები მეტად ძლიერი ჩოგბურთელებით დაკომპლექტებულ ფრანგებს დაუპირისპირდნენ.

შარშან ამ გუნდების შეხვედრა მოსკოვში, სწორედ ამავე ოლიმპიურ კომპლექსში შედგა და ყველასთვის მოულოდნელად, მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა, ფრანგები კი მშობლიურმა მასმედიამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა.

მაშინდელი ნაკრების ერთ-ერთი წევრი, ამელი მორესმო მეორე რუსულ ექსპედიციაში ტრავმის გამო აღარ მონაწილეობს, რაც შეეხება თავისიანების დამღალატებელ ნატალი ტოზიას, კაპიტანმა გი ფორჟემ ამჯერად თავი დაიზღვია და ვეტერანს სათადარიგოთა სკამზე მიუჩინა ადგილი.

თუმცა მარი პირსისა და ზემოხსენებული ორი დიაცის გარეშე მოთამაშე სტუმრებს შურისძიება დიდად არ გასჭირვებიათ. თავისიანები ჯერ სანდრინ ტესტიუმ დაწინაურა, რომელმაც რუსების გადაბირებულ ყაზახ ელენა ლიხოვცევას 6:1, 6:4 აჯობა.

რუსეთის სახელით 1997-ის შემდეგ პირველად მოთამაშე ანა კურნიკოვას მატჩის გადასარჩენად ჟული ალარი უნდა დაემარცხებინა, თუმცა მასაც არაფერი გამოუვიდა. 18 წლის რუსისთვის „ოლიმპიისკაიაში“ მზემ მხოლოდ მეორე ხელში გამოანათა, როდესაც მან ზედიზედ 6 გეიმი მოიგო, ბოლოს კი მაინც ფრანგმა გაიცინა 6:2, 2:6, 6:1.

„თითოეული ჩვენთაგანი აქ რაღაცის დასამტკიცებლად ჩამოვიდა. დღეს საღამოს ძალიან ყურადღებით, კარგად ვითამაშეთ, მთავარი კონკურენტი დამარცხებულია, თუმცა წინ კიდევ ორი შეხვედრა გველის და მოშვება არ შეიძლება“ — ეს ალარის სიტყვებია.

რუსთა განადგურება კი ალარმა და ტოზიამ წყვილებში კურნიკოვასა და ლიხოვცევას დამარცხებით დაასრულეს 6:3, 7:6 (7:5)

ბელგია 2:1 ავსტრალია

ერთეულები: ელენა დოკიჩი (ავსტრალია) — კიმ კლაისტერსი (ბელგია) 7:6 (7:4), 5:7, 9:7; ლორანს კურტუა (ბელგია) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:1, 2:6, 7:5; წყვილები: კურტუა და ელს კალენსი — ალისია მოლიკი და რენე სტაბსი 0:6, 6:1, 10:8.

II ჯგუფი
(ბარი, იტალია)

ესპანეთი 3:0 იტალია

კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:3, 6:3; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) — ჯულია კასონი (იტალია) 6:1, 6:1; კრისტინა ტორენს-ვალერო და მაუი სერნა — კასონი და რიტა გრანდე 6:2, 3:6, 6:1.

გერმანია 2:1 ხორვატია

ანკე ჰუბერი (გერმანია) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:2, 6:2; ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) — ანდრეა გლასი (გერმანია) 6:7 (9:11), 6:1, 6:3; ჰუბერი და ბარბარა რიტნერი — კოსტანიჩი და ტალაია 6:4, 6:1

III ჯგუფი
(ბრატისლავა, სლოვაკეთი)

ჩეხეთი 2:1 ავსტრია

დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 7:5, 4:6, 6:2; კვეტა პრდლიჩკოვა (ჩეხეთი) — პატრიცია ვარტუში (ავსტრია) 6:3, 1:6, 6:3; შეტი და ვარტუში — პრდლიჩკოვა და დანიელა ბედანოვა 7:6 (8:6), 2:6, 6:3.

შვეიცარია 2:1 სლოვაკეთი

პატი შნიდერი (შვეიცარია) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:4; ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 5:7, 6:2, 6:1; ჰაბსუდოვა და დანიელა ჰანტუჩოვა — შნიდერი და მიროსლავა ვავრინეცი 6:7 (8:10), 6:2, 7:5.

ბარსელონა. ესპანეთი. **OPEN SEAT GODO**. თიხნარი.
საპრიზო 1 მილიონი $

უსაშველოდ ნიჭიერ და არანაკლებად უუმურ მარსელო რიოსს ამქვეყნად ცოტა რამ ახარებს — ვერ იტანს ბალახის კორტებს, ჟურნალისტებს და ბევრ ვარჯიშს, არ ეხატება გულზე ჩოგუბურთის მამები, ITF-ის ხელმძღვანელობა და ევგენი კაფელნიკოვი.

როგორც წესი, პრესკონფერენციაზე კიკინიანი ჩილელი თავის ქნევით, ან უკეთეს შემთხვევაში ერთ ან ორსიტყვიანი ფრაზებით იფარგლება, ამჯერად კი ბარსელონაში გუდას პირი მოხსნა და მისთვის შეუფერებელი, მეტად გრძელი ტირადებიც დააფრქვია.

რიოსი თურმე ძალიან აღუშფოთებია იმას, რომ კაფელნიკოვი ოთხშაბათს თავის მატჩამდე მხოლოდ ორი საათით ადრე ჩაფრინდა კატალონიის დედაქალაქში: „ასე ჩამოსვლა, თანაც ყოველგვარი გასამართლებელი მიზეზის გარეშე, დაუშვებელია. მან უპატივცემულობა გამოამჟღავნა ყველას მიმართ და სამარცხვინოდ წაგებით ცუდი მაგალითიც აჩვენა (ჟენია კარლოს მოიასთან 2:6, 6:7 დამარცხდა).“

არადა, რუსის გაკრიტიკების დროს ჩილელი თავადაც არანაკლებ უნდა შეეწუხებინა სინდისს — კორტზე ხშირად უგულოდ მოთამაშე რიოსს წარსულში ისიც კი ულიარებია, რომ ძალად წაუგია მატჩები.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ამის შემდეგ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციისთვისაც მოიცალა. რიოსის გულისწყრომის მიზეზი ამჯერად სანტიაგოში შემდგარი ჩილესა და არგენტინის სკანდალური დევისის თასის შეხვედრა იყო, რომლის შემდეგაც ITF-მა მასპინძლები მაყურებელთა უწესრიგობისთვის დასაჯა სასტიკად, სტუმრები კი შინ ნაადრევად გაბრუნებისთვის.

„ეს მოთამაშეთა კი არა, ბრბოს ბრალი იყო. მე ვესაუბრე (არგენტინელ) მარიანო ზაბალეტას და ყველანი თანახმა ვართ, გადათამაშებამ გამოავლინოს გამარჯვებული, ოღონდ არა ჩილეში, როლან გაროსის წინ ან შემდეგ“ — განაცხადა მარსელომ.

მერვედფინალში რიოსის მატჩმა 19 წლის ამომავალ ვარსკვლავ ანდრეას ვინსიგერასთან მეტად უცნაურად ჩაიარა: ჩილელი სრულ უპირატესობას ფლობდა, ხშირად ლამაზი კომბინაციებითა და დამაგვირგვინებელი დარტყმებით ითვლიდა ქულებს, მაგრამ მეტოქეს მოწოდებას ვერა და ვერ ართმევდა.

ბრეიკ-პოინტებს მიატანებდა თუ არა, ჩილელი უაზრო უნებლიე შეცდომებს უშვებდა და დაუღლელად და სწრაფად მოძრავ ვინსიგერას ვერაფერს აკლებდა. მარსელომ საბოლოოდ 20 ბრეიკ-პოინტიდან მხოლოდ ორი გამოიყენა და ის, რომ მატჩი ძალიან დადხანს გაუგრძელდა, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დაებრალოს 7:6 (7:4), 7:5.

მერვედფინალი: მაგნუს ნორმანი (2, შვედეთი) — რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 7:6 (7:2), 6:4; ნიკოლას ლაპენტი (3, ეკვადორი) — დომინიკ ჰრბატი (13, სლოვაკეთი) 6:2, 6:2; იუნეს ელ აინაუი (8, მაროკო) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 6:3, 6:4; ტომი ჰაასი (9, გერმანია) — გრეგ რუზეკი (7, ინგლისი) 7:6 (8:6), 6:3; კარლოს მოია (ესპანეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 7:6 (7:3), 7:6 (7:2); ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3, 4:6, 6:0; მარატ საფინი (რუსეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:4, 4:6, 6:4.

ავთანდილ სვანიძე

მარსელო რიოსი

ხელმძღვანელი ქალი



REUTERS სოფიიდან

სერგეი ლავრენიევი

გუშინწინ სოფიაში, ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე კაცებმა 69 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის მედლებისთვის იბრძოლეს. დაძაბულობა საკმარისი იყო და საბოლოოდ ყველაფერი იმ 160-მა გრამმა გაარკვია, რამდენითაც ბელარუსი სერგეი ლავრენიევი ბულგარელ გეორგი მარკოვზე მსუბუქი ყოფილა. სხვა მხრივ ბელარუსმა ატაცი მოიგო 152,5-კილოგრამიანი შედეგით, აკვრაში კი მასპინძელმა 187 კილო და 500 გრამი დაიმორჩილა. ჯამში ორივეს ერთნაირი მიღწევა აღმოაჩნდა და ბელარუსი ჩემპიონობას თავის ტანმსუბუქობას უნდა უმადლოდეს.

ქალთა იმავე წონაში 24 წლის დაშავებული ბულგარელი ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მილენა ტრენდაფილოვა ათენის შარშანდელი მსოფლიოს პირველობის გამარჯვებულიცაა და საერთოდ, ერთადერთი ქალი გახლავთ, ვისაც შეუძლია, სამგზის მსოფლიოს ჩემპიონობით იტრაბახოს. ვერცხლის მედალი ბულგარელსავე დანიელა კერკელოვას დარჩა. მან შტანგა ჩინებულად აკრა და ზუსტად იგივე შედეგი უჩვენა, რაც ტრენდაფილოვამ, ოღონდ ხუთი კილოთი ნაკლები აიტაცა და საბოლოოდ მისი გვარის გასწვრივ 227,5 კგ (100+127,5) ჩაწერეს. ბრინჯაოს რუსი ირინა კასიმოვა დაეპატრონა. ცოტა არც მას აუწევია, 125 კილო აკრა და 97,5 აიტაცა. აი მისმა თანამემამულემ, სვეტლანა ხაბიროვამ მოკლე ხანში სულაც 240 კილოგრამი დაძლია ორ ცდაში და კონტინენტის ჩემპიონობას გამოჰკრა ხელი. ეს ამბავი 75 კილოში მოხდა. მეორე იყო რუსი ვენერა მანანოვა, ხოლო მესამე — პოლონელი ბეატა პრეი, რომელმაც ჯამში იმაზე ნაკლები ასწია, ვიდრე მასზე ექვსი კილოთი მსუბუქმა ტრავმირებულმა ბულგარელმა.

გუშინწინ სოფიაში ელიტარული რუსი შტანგისტები ჩასულან (კაცები) და ახლა ერთი მათგანი, ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი ალექსეი პეტროვი მოუთმენლად ელის მძიმე წონაში ბერძენთა ნაკრების ლიდერთან, კახი კახიაშვილ(ის)თან ფიცარნაგზე შებმას, ოღონდ ექსჩვენებური ტიტულებით უფრო მაგარია — ოლიმპიადა ორჯერ მოუგია.

დავით გულუა

ჭადრაკი

ინდონეზიაში ჯერაც მატრიარქატია

ბალიზე გრძელდება მე-16 კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი ორი მსოფლიოს ჩემპიონის, პლანეტის უძლიერესი მოჭადრაკე ქალბატონის, კიდევ ექვსი დიდოსტატისა და კინკილა ოსტატის მონაწილეობით. ჩვენი ბოლო მიმოხილვიდან ორი დღე გავიდა, მაგრამ მარტო მეხუთე ტური გათამაშდა. მან ვერ შეცვალა ვერაფერი, სტატუს-კვო უცვლელი დარჩა და კვლავ სათაკილო ძლიერთა სქესისთვის: სატურნირო ცხრილის სათავეში ისევ იუდით პოლგარის გვარი იკითხება. მეხუთე ტურში იგი შავებით ზო ვინ ლეის შეხვდა და მოიგო, ოღონდ ხანგრძლივი გაწამაწიის შემდეგ. შუა ბრძოლაში პოლგარმა პაიკი შესწირა, რათა საბოლოოდ ორმაგი ამონაგები მიეღო და პარტია მეტად ხელსაყრელ ენდშპილში გადაეყვანა. იქ თეორი კუ და მხედარი უძლურნი იყვნენ შავების ამავე ძალას პლუს ორი გამსვლელი პაიკის წინააღმდეგ.სიცილიურით დაწყებული პარტია 76-ე სვლაზე პოლგარის ლიდერად დარჩენითა და ფსკერზე ვინ ლეის ადგილის გამყარებით დასრულდა.

მოიგო ანატოლი კარპოვმაც. იგი თეორებით ადიანტოს ეთამაშა და 41 სვლის მანძილზე დაუღალავად არბენინა აქეთ-იქით. ლაზიერის შეწირვის საფასურად ვეტერანმა ჩემპიონმა დიდი უპირატესობა მიიღო: ეტლო, კუ და გამსვლელი პაიკი მე-7 ჰორიზონტალზე. როცა 41-ე სვლაზე თეორი ეტლი ძლევამოსილად შეგრიალდა შავების ბანაკში, მათ აღიარეს, რომ ძალა აღმართს ხნავს და კარპოვს მეორე ადგილზე ერთპიროვნულად დამკვიდრება მიულოცეს. სწორედ რომ ერთპიროვნულად, რადგან მეხუთე ტურმა მხოლოდ ნახევარი ქულა არგუნა ალექსანდრ ხალიფმანს. არადა, ფიდეს ჩემპიონს ჩინებული შანსი ჰქონდა, რომ ამ ტურში უფრო მეტზე ეფიქრა. ფიგურები — თეთრი, მეტოქე — ინდონეზიელი მოჭადრაკე რუბენ გუნავანი, 2500-ს ძლივსაცილებული რეიტინგით (ხალიფმანისა 2656-ია). პარტიის დასაწყისიც ისეთი იყო, ლამაზი ბრძოლა უნდა გაჩაღებულიყო, ორივე მხრიადან ცენტრს მოჯარული პაიკები იძლეოდნენ ამის საბაბს. მაგრამ არაფერი! ცენტრში პაიკებით ყველა პუნქტი ჩაიკეტა და ჩაიგმანა, მეფის ფრთა მხარეებს ისე გაემგრებინათ, იქ შეტევის დაწყება თავქარიანობას უდრიდა და ლაზიერის ფლანგი თუ შედარებით მოტიტვლებული იყო, რა ხეირი — ორივე მხარის ლაზიერებივე აკონტროლებდნენ იქ ყველაფერს, ანუ ყაიმი 23-ე სვლაზე. ხალიფმანი ახლა სამქულიანთა სამკაციან ჯგუფშია და ცოტა თუ არ მოუჩქარა, მოუგვიანდება. ჯერ ბევრი რამ უნდა დაამტკიცოს.

დავით გულუა

სატურნირო ვითარება

5 ტურის შემდეგ

1. ი. პოლგარი — 4; 2. კარპოვი — 3,5; 3-5. მილოში, სეირავანი, ხალიფმანი — 3; 6. ელვესტი — 2,5; 7-8. ტომანი, ადიანტო — 2; 9. გუნავანი — 1,5; 10. ვინ ლეი — 0,5.

დიდებს პატარა გული აქვთ

ლუისი და გრანტი ჯერ კუნთებსა და სიტყვებს ათამაშებენ



ლენოქს ლუისი		მაიკლ გრანტი
34ნ	ასაკი	27ნ
112კგ	წონა	113კგ
195სმ	სიმაღლე	201სმ
214სმ	წვდომა (ორივეხელგაშლილი)	218სმ
112სმ	გულისფიცარი	119სმ
117სმ	გულისფიცარი (შესუნთქულზე)	124სმ
43სმ	ბიცეპსი	46სმ
47სმ	კისერი	48სმ
30სმ	მუშტი	30სმ
66სმ	ბარძაყი	66სმ
86სმ	წელი	96სმ
20,3სმ	მტევანი	20სმ

ამაღამ, ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ ბრიტი ლენოქს ლუისი ამერიკელ მაიკლ გრანტს შეხვდება. ბრძოლის ფასი დიდია — ლუისის წელზე შემორტყმული სპეციალური (ვბკ) და ფედერაციის (იბფ) მძიმე წონის საჩემპიონო ქამრები. თუ გრანტი იმარჯვებს, ქამრები ამერიკაში დარჩება, თუ არა და, ბრიტი წაიღებს ლონდონში. გუშინწინ „მედისონ სკვერ გარდენში“ აწონვა მოეწყო. დარბაზიდან გასულ მოკრივეებს ბლომად ხალხი დაუხვდა (მათ შორის, დროშების მფრიალე ინვალიდები) და მანქანებამდე პოლიციამ გაკეკალა გზა. ამგვარ ხმაურიან ბრძოლებს, ჩვეულებრივ თან ახლავს ახირებული სიტყვა-თქმანი, რაც დიდად ახალისებს ხოლმე ხალხს. ჩვენც ამ გამონათქვამთა კრებულით შევეგებთ ბრძოლას.

ემანუილ სტიუარდი, ლუისის მწვრთნელი: „ერთი ხერხი ვიცი, თავში რომ მუშტი მოხვდება მოკრივეს და დაბარბაცდება, იმავ წამს გამოვაფხიზლებ. ეს ხერხი ჩინეთში მასწავლეს. თქვენ არ გეტყვით როგორ. ამას ფული უნდა, ძვირი ღირს“.

გრანტის ცოლი რეკავს ქმრის საწვრთნელ ბანაკში: „შეიძლება ვუთხრა ჩემს ქმარს, რომ ფეხმძიმედ ვარ?“ პასუხი: „ჯერ უნდა გადავამოწმოთ“.

დონ ტარნერი, გრანტის მწვრთნელი: „დიდი ბიჭები არ არიან მამაცი ბიჭები. მათ უმრავლესობას ჩხუბი ეზარება“.

სტიუარდი: „სწორია, ისინი დიდგულები არ არიან. როგორც ჩანს, რაც უფრო დიდია კაცი, მით უფრო პატარა გული აქვს.“

გრანტი: „ესენი ჩემზე არ ლაპარაკობენ. გულის სიდიდეს ვგულისხმობ“.

ლუისი, ორშაბათს: „მე მაგას დავანგრევ“. ოთხშაბათს: „წინასწარ ლაპარაკი არ მჩვევია“.

ლუისი დონ კინგის შესახებ: „ბედნიერი ვარ, რომ ამ ბრძოლას ეგ არ მეთაურობს. ასეთ შემთხვევაში საფულეს ბოქლომის დადება არ სჭირდება“.

ამაღამ „მედისონ სკვერ გარდენში“ ცხელი საღამო იქნება. ჩირლდერები (ლუისს ლონდონდან გამოუწერია) ხურდებიან, კრივზე მწერლები თავიანთ „ნოუბუქებს“ ტენიან.. და საერთოდ, „მედისონს“ უკვე დაუბრუნდა ძველი საკრივო სახელი.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

საქართველოს დირექტორატი გაარჩევს

ახლახან გაცნობეთ, რომ საქართველოს რაგბის კავშირმა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველ გუნდებს თანხის შეტანის ბოლო ვადად 28 აპრილი დაუთქვა. ექვსი გუნდიდან მხოლოდ ოთხმა — „დათვებმა“, „უნივერსიტეტმა“, „ყორჩებმა“ და ასკ-მ შეძლეს ფულის გადახდა, ისიც უკანასკნელმა ორმა არასრულად.

გუშინ კავშირში ამაოდ ელოდნენ „ლოკომოტივისა“ და „ზორდას“ წარმომადგენლების გამოჩენას. ეტყობა, დაპირება, ფულს მივიტანთ და ჩემპიონატში ვითამაშებთო, დაპირებად დარჩა. შესაძლოა, ისინი საქართველოს ჩემპიონატიდან მოკვეთონ. დღეს კავშირის დირექტორატი შეიკრიბება და ზემოხსენებულ გუნდებს განაჩენს გამოუტანს.

მოდი, რუსო

ბათუმის ოთხთა საერთაშორისო ტურნირი რუმინელების გარეშე ჩატარდება — „ვრივიცა როშა“ არ გვეწვევა. მისმა წარმომადგენლებმა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტს განუცხადეს, ბუქარესტი — სტამბოლის ავიარეისზე, რომლითაც მგზავრობას ვაპირებდით, ბილეთები ვერ ვიშოვეთო. ამ ცნობით ყველაზე მეტად თბილისის „ლოკომოტივმა“ იხეირა — ის ხომ ბალკანელების ნაცვლად გაემგზავრება ბათუმში.

ასე რომ, ტურნირზე ახლა ორის ნაცვლად სამი ქართული გუნდი — „დათვები“, „ყორჩები“ და „ლოკომოტივი“ ითამაშებს. მათ მხოლოდ ერთი უცხოური კლუბი, რუსეთის „კრასნი იარი“ დაუპირისპირდება. იმედია, რუსებს მგზავრობისას არანაირი პრობლემა არ ექნებათ და ტურნირის სტატუსიც — საერთაშორისო გადარჩება.

ზაზა გენიძე

Perla ჯერილი

პ ე რ ლ ა

Perla ჯერილი

მარგალიტების მაღაზია



კოსტავას 47



ეს მედალი ხურდა ფულისგან ჩამოისხა

ხურდა ფული მედლებად

ავსტრალიელებს ხურდა ფულის გადადნობა და მისგან მედლების დამზადება განუზრახავთ. ისინი 1994 წელს ბრუნვიდან ამოღებული ერთი და ორცენტიანი მონეტების გადადნობას, 220 გრამიან ბრინჯაოს მედლებად ჩამოსხმას და პარაოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულებისთვის გადაცემას აპირებენ.

როგორც ცნობილია, პარაოლიმპიური თამაშები ტრადიციისამებრ ოლიმპიადის შემდეგ იმართება და მასში ხეიბარი ათლეტები გამოდიან.

მედლებზე, რომლის შემცველობასაც ერთ პროცენტ ვერცხლს დაამატებენ, გამოსახული იქნება სიდნეის ყველაზე ცნობილი ღირსშესანიშნაობები — ოპერის შენობა და ხიდი „ჰარბორ ბრიჯი“. მედლის მეორე მხარეს პარაოლიმპიური საერთაშორისო კომიტეტისა და სიდნეის პარაოლიმპიური საორგანიზაციო კომიტეტის ლოგოტიპებს ამოტვიფრავენ. მათ წარმოებაში გაშვებას ხელს მოკიდებს ავსტრალიისა და პერტის (დასავლეთ ავსტრალიის შტატი) სამეფო სამონეტო კარი.

საინტერესოა, რომ მედლების დიზაინი ეკუთვნის კაცს, რომელსაც ავსტრალიის მონეტების უმრავლესობა შეუქმნია. იგი გახლავთ დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II იუველირი სტიუარტ დევლინი, რომელიც ამავე დროს 36 ქვეყნის მონეტების დიზაინერიცაა.

გიგა გურასაშვილი

განზე გადექით, ოზებო!

ანიტა დეფრანცი

სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი ანიტა დეფრანცი სიდნეის მკვიდრთ მოუწოდებს, რომ ოლიმპიური თამაშების დღეებში თავი შეიკავონ საკუთარი თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებისგან.

ამერიკელმა ანიტა დეფრანცმა ასეთი ექსტრაორდინალური მოთხოვნით მას შემდეგ მიმართა სიდნეელებს, როდესაც სოკ-ის ტრანსპორტირების საგანგებო ჯგუფმა ქალაქის სარკინიგზო სისტემა შეამოწმა.

დეფრანცის თქმით, მასზე დიდი შთაბეჭდილება დაუტოვებია მატარებლების, ავტობუსებისა და ბორნების სატრანსპორტო სისტემას, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ ოლიმპიური თამაშები ავსტრალიის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში უპრეცედენტო დაძაბულობას შეიტანსო. ამის თავიდან ასაცილებლად უმჯობესი იქნება, თუ ადგილობრივი მოსახლეობა 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე ოლიმპიადისას განზე გადგება და სტუმრებს გზას დაუთმობსო.

— ეს სრულიად შესაძლებელია — ამბობს დეფრანცი — თუ სადღაც საქმე გაქვთ, ამისთვის სულაც არ არის საჭირო წახვიდეთ. უბრალოდ, ამ ორი კვირის მანძილზე თავი შეიკავეთ სატნასპორტო საშუალებების გამოყენებისაგან. იმ შემთხვევაში, თუ არ შეგიძენიათ ოლიმპიადაზე დასასწრები ბილეთები და გჭირდებათ საყიდლებზე გასვლა, ან ისეთი რამის გაკეთება გსურთ, რასაც ყოველდღიურად საქმიანობთ, მაშინ რჩები თხოვნაა — რომ ყოველივე ამისგან თავი შეიკავოთ იმ დროს, როდესაც ხალხს ასპარეზობებზე წასასვლელად საზოგადოებრივი ტრანსპორტი დასჭირდება — განაცხადა სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა.

გიგა გურასაშვილი

ᲛᲗᲘᲡ ᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝᲑᲐ

შტანგასინგერმა ააყუდა

რაღა დროს თოვლსა და თხილამურებზე საუბარია, მაგრამ თომას შტანგასინგერის დიდი სპორტიდან წასვლის ამბავს გვერდს ვერ ავუვლით. 34 წლის ავსტრიელმა გუშინწინ ოფიციალურად განაცხადა თავისი სამთოსათხილამურო კარიერის დასრულების შესახებ. 15 წელი სრიალებდა შტანგასინგერი მსოფლიოს მრავალი მთის ფერდობებზე და ამ ხნის მანძილზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ტიტულის მოხვეჭა მოასწრო. ყველაზე ტკბილ მოგონებად მას ლილეჰამერის ოლიმპიადის მოგება გაჰყვება, სადაც ლეგენდარული იტალიელი, ალბერტო ტომბა მოიტოვა უკან. ამას 1991 წლის ზალბახის მსოფლიოს პირველობის ვერცხლისა და ორი წლის შემდეგ მორიოკას ბრინჯაოს მედლებიც დაუმატეთ, შემდეგ პოდიუმზე 69-ჯერ დგომა, ათი გამარჯვება მსოფლიოს თასის ეტაპებზე და თავად თასის დასაკუთრებაც გასულ წელს — განა ეს ყველაფერი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ შტანგასინგერი სამთოთხილამურობის ისტორიის საკუთრება გახდეს? აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ მან ამ წარმატებებს სლალომში მიაღწია, ანუ იმ ერთადერთ სახეობაში, რომლის მოდის კანონმდებლებიც მარტო ავსტრიელები არ არიან.

სხვა ბევრი არაფერი. შტანგასინგერს ცხოვრებაშიც უმაღლის საახლობლო და საძმაკაცო, არაფერში არ იჭრება და არც არაფერი ეშლებაო. ამაზე აწ უკვე ექსმოთხილამურეს თავისი აზრი აქვს. „ადრე ამბიციური ვიყავი — ამბობს იგი — პირველობის მეტი არაფერი მინდოდა, მერე კი მივხვდი, რომ ცხოვრება რაღაც უფრო მეტია, ვიდრე მარტო ჩემპიონობაზე ფიქრი.“ იმაზე, თუ რითი დაკავდება შტანგასინგერი მომავალში, სააგენტო „როიტერი“ ჯერჯერობით დუმს.

დავით გულუა

PLAY OFF

მეოთხედფინალი

რუას სამადლობელი

27 აპრილი

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ — ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ 0:2

0:1 0:1 0:0

0:1 იაგრი 13'33 (4); 0:2 სტრაკა 24'46 (2)

„ფერსტ იუნაინ სენთერში“ შეკრებილი 19846 მაყურებლიდან, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საფინალო სასტვენი ასეთ ცუდ გუნებაზე დააყენებდა. 1994 წლის 13 თებერვლიდან მოყოლებული „პინგვინები“ უიღბლოდ სტუმრობდნენ ფილადელფიას — ზედიზედ 13 მატჩში არათუ მოგებას, ფრესაც კი ვერ გამორჩნენ. მაგრამ ნავსი გატყდა და იქნებ ყველაზე საჭირო დროს, რადგან ამ დამაჯერებელმა გამარჯვებამ პიტსბურგს უეჭველად ფსიქოლოგიური უპირატესობა მიანიჭა. სტუმრებმა ჩვეულ ფილში ითამაშეს და სწრაფ, გააზრებულ კონტრშეტევებზე გააკეთეს აქცენტი. მათ სულ 14-ჯერ დაარტყეს, მაგრამ უაღრესად სახიფათოდ. ბედმაც გაუღიმა „პინგვინებს“. იაგრის დარტყმა აშკარად კარს ასცდებოდა, შაიბა გზად რომ არ ასხლეტილიყო. გაშვებულმა გოლმა მასპინძლები გააქტიურა, მაგრამ მცირე ხნით და უშედეგოდ. სამაგიეროდ, მეორე პერიოდის დასაწყისში წმინდა ჩეხური კონტრიერიში მარტინ სტრაკამ ზუსტად დააგვირგვინა. ეს ორშაიბიანი უპირატესობა სტუმრებმა ბოლომდე შეინარჩუნეს, რის წყალობითაც გოლკიპერმა რონ ტაგნატმა პლეი ოფში მეორე შათაუტი მიითვალა.

ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ — ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ 2:1

0:0 1:1 1:0

1:0 იუშკევიჩი 21'07 (1); 1:1 სიკორა 25'54 (2); 2:1 ტაკერი 41'18 (3)

ტორონტოელებმა რომ მათთვის ერთობ უჩვეულო დაცვითი ტაქტიკით ითამაშეს, ნამდვილი მოულოდნელობა იყო. მასპინძლები თავიანთ ზონაში ჩაუსაფრდნენ მეტოქეს, რომელიც კონტრიერიშებზე აგებს თამაშს და აიძულეს იგი, მთელი ძალით შეეტია. თუმცა უნდა ითქვას, რომ სტუმრები ამას დიდი ოსტატობით აკეთებდნენ და მატჩის უმეტესი დროის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობასაც ფლობდნენ. მიუხედავად ამისა, საიმედოდ თამაშობდა ტორონტოს მეკარე კერტის ჯოზეფი. პერიოდების დასაწყისში რომ კარგად ითამაშეს, მასპინძლებს ესეც წაადგათ. მართალია, პირველ მესამედში მათ ზედიზედ მე-7 მატჩში ვერ გაიტანეს (ლიგის ახალი რეკორდი), მაგრამ, სამაგიეროდ, მომდევნო ორი ოცწუთეულის დებიუტში გოლები მიითვალეს. 22-ე წუთზე მცველმა დმიტრი იუშკევიჩმა შორიდან დაარტყა (ნიუ ჯერსის მეკარე მარტინ ბროდო შეცდა), ბოლო პერიოდის ასევე მეორე წუთზე კი ვეტერან უენდელ კლარკის პასი დარსი ტაკერმა გამოიყენა. სხვათა შორის, ამ ორისა და დმიტრი ხრისტიჩისგან პლეი ოფში შექმნილი სამეული ამჯერად საუკეთესო იყო ტორონტოელთა შორის.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ — ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 2:0

1:0 1:0 0:0

1:0 ფორსბერგი 10'13 (2); 2:0 ოზოლინში 31'39 (4)

„დიდებულად ვითამაშეთ. ძალიან მარჯვედ გავისარჯეთ დაცვაში, რის გამოც დეტროიტელთა არც ერთი დარტყმა არ გამომპარვია“ — კოლორადოს მეკარე პატრიკ რუამ საკუთარ თავზე მეტად პარტნიორები შეაქო. მართლაც, მასპინძლები კარგად დაუხვდნენ ლიგაში ყველაზე მრისხანე თავდასხმას და დეტროიტმაც ორ-სამჯერ თუ შეაწუხა რუა. შედეგად სახელოვანმა მეკარემ მორიგი, 115-ე საპლეიოფო მოგებით კიდევ უფრო გააუმჯობესა ლიგის რეკორდი, ხოლო მე-13 შათაუტით მესამე ადგილზე აინაცვლა.

REUTERS ფილადელფიიდან

პიტსბურგელმა პეტერ პოპოვიჩმა (34) ფილადელფიელი კეიტ პრიმო მეკარე რონ ტაგნატს არ გააყარა

პეტრეს ქალაქში პავლეც ჩავიდა

დღეს სანკტ პეტერბურგში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. წლეულს, შარშანდელ პირველობასთან შედარებით, გაცილებით მეტი ნჰლ-ელი მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის ისეთი ვარსკვლავები, როგორიც პაველ ბური, ტეემუ სელიანე, ალექსეი იაშინი და ტომი სალო არიან.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ 13 ევროპული ნაკრებიდან ჩემპიონობისთვის ოთხი ქვეყანა იბრძვის: ჩეხეთი, შვედეთი, ფინეთი და რუსეთი. თუ ამ ნაკრებების წლეულს ჩატარებული მატჩებით, კერძოდ, ტრადიციული ევროტურის შედეგებზე დაყრდნობით ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, უკეთესად ფინეთისა და ჩეხეთის გუნდები გამოიყურებიან.

ფინელებმა ჩემპიონატამდე ერთბაშად 10 ნჰლ-ელი შეიმატეს. აქედან ოთხი, მათ შორის ცნობილი ფინიქსელი იურკი ლუმე, მცველია. ასე რომ უკანა ხაზი ძალიან მრისხანედ გამოიყურება. შეტევაში კი იმედს, ცხადია, სელიანეზე, ნეშვილელ ვილე პელტონსა და პერსპექტიულ აილენდერსელ ოლი იოკინენზე ამყარებენ.

სეზონის მსვლელობისას არანაკლებ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მსოფლიოს ჩემპიონებმა, ჩეხებმა, რომლებიც ტრადიციულად კონტრშეტევითი ჰოკეის მიმდევრები არიან და თანაბარძალოვანი შემადგენლობით გამოირჩევიან. თუმც გუნდის თავკაცის, პატრიკ აუგუსტას აშშ-სა და კანადაში ვიზიტი ერთობ უნაყოფო გამოდგა, ვინაიდან ჯერჯერობით მან მხოლოდ ხუთი ნჰლ-ელის მიწვევა მოახერხა. ჩეხების უმრავლესობა ჯერ კიდევ აგრძელებს სტენლის თასისთვის ბრძოლას, ხოლო დანარჩენებმა, მათ შორის დომინიკ ჰაშეკმა უარი თქვეს.

აი, რუსები კი ზედიზედ მერამდენე წელია, აცხადებენ, რომ ნაკრებისთვის შინაურ ჩემპიონატში მოთამაშეთაგან ორი-სამი კარგი რგოლი უნდა მოამზადონ, თუმც, როგორც ეტყობა, ამჯერადაც ნჰლ-ელთა იმედზე იქნებიან. დღესდღეობით ნაკრების ბანაკში სარეკორდო რაოდენობა, 14 (!) ლეგიონერი ჩავიდა, მათ შორის მცველები — ალექსეი ჟიტნიკი, სერგეი გონჩარი, იგორ კრავჩუკი; ფორვარდები — ბური, იაშინი, ვალერი კამენსკი, ალექსეი ჟამნოვი.

გაურკვეველია, რა მდგომარეობაშია ახლა შვედეთის ნაკრები. გუნდი მთელი სეზონის განმავლობაში უოიმლამოდ გამოიყურებოდა, მწვრთნელები, სრულიად გაუგებრად, ძალიან ხშირად იცვლებოდნენ, ჰარდი ნილსონიც, ამჟამინდელი თავკაცი, მხოლოდ ჩემპიონატის წინ დაინიშნა. შვედებს ოკეანისგაღმიდან საკმაოდ სოლიდური ძალა ჩამოუვიდა. ყველაზე მეტად კი ნაკრების ხელმძღვანელები მეკარე ტომი სალოს შემატებამ გაახარა.

კანადისა და აშშ-ის ნაკრებების სიძლიერეზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია, რადგან ისინი მხოლოდ ჩემპიონატის წინ კომპლექტდებიან. თუმცა ამერიკელებმა უკვე დაასახელეს თავიანთი შემადგენლობა. მასში 13 ნჰლ-ელი მოხვდა.

კანადელებმაც ჯერჯერობით 13 ნჰლ-ელს უხმეს, რომელთა მონაწილეობითაც ნაკრებმა რუსებთან ორი მატჩი წააგო (0:2, 3:4) და უწინდებურად უხეშობით გამოირჩა.

სამველ ღარიბიანი

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

A: შვედეთი, ბელარუსი, ლატვია, უკრაინა

B: ფინეთი, სლოვაკეთი, იტალია, ავსტრია

C: ჩეხეთი, კანადა, ნორვეგია, იაპონია

D: რუსეთი, შვეიცარია, აშშ, საფრანგეთი

სარგებელი

სპორტული ლატარია "CROCO"

კვირას, 30 აპრილს «კროკო» არ იმუშავებს. სამშაბათიდან, 2 მაისიდან მუშაობა ჩვეულებრივი განრიგით გაგრძელდება

გერმანია. ბუნდესლიგა. 32-ე ტური

	29 აპრილი			
003	კაიზერსლაუტერნი-ულმი	1,45	3,6	6,5
004	კაიზერსლაუტერნი-ულმი 0:1	2,0	3,2	2,3
005	ბაიერნი-ჰანზა	1,2	5,6	10,0
006	ბაიერნი-ჰანზა 0:1	1,5	3,5	3,5
007	შტუტგარტი-დორტმუნდი	1,9	3,1	3,6
008	შალკე-მიუნხენ 1860	2,3	2,9	3,0
	30 აპრილი			
009	უნტერჰახინგი-ვერდერი	2,4	2,9	2,8
010	ჰამბურგი-ლევერკუზენი	2,9	3,0	2,3

გერმანია. II ბუნდესლიგა. 29-ე ტური

	29 აპრილი			
015	ბერლინი-ვალდჰოფი	2,0	2,9	3,6
	30 აპრილი			
016	კიოლნი-ქემნიცი (17^{45})	1,5	3,5	6,0
017	ალემანია-კარლსრუე	1,5	3,6	5,6
018	კიკერსი-ფორტუნა	1,6	3,3	5,3
019	ფიურტი-მაინცი	2,0	2,8	3,8
	1 მაისი			
020	კოტბუსი-მიონხენგლადბახი	2,4	2,8	2,9

ინგლისი. პრემიერლიგა. 35-ე ტური

	29 აპრილი			
021	უოტფორდი-მანჩესტერი (15^{30})	7,5	4,0	1,35
022	ასტონ ვილა-სანდერლენდი	1,6	3,1	6,0
023	ჩელსი-ლივერპული	2,3	3,1	2,8
024	ევერტონი-არსენალი	3,3	3,0	2,1
025	ნიუკასლი-ქოვენთრი	1,6	3,2	5,6
026	საუთჰემპტონი-ლესტერი	2,2	3,0	3,1
027	ტოტენჰემი-დერბი	1,7	3,3	4,2
028	ვესტ ჰემი-მიდლსბრო	1,8	3,0	4,2
	30 აპრილი			
029	ბრედფორდი-უიმბლდონი	2,1	3,0	3,3
030	უენსდი-ლიდსი	2,5	3,2	2,3

ინგლისი. I დივიზიონი. 45-ე ტური

	29 აპრილი			
032	ჩარლტონი-იფსვიჩი	2,0	3,3	3,2
033	ქრიუ-ბოლტონი	2,9	3,0	2,3
034	კრისტალ პალასი-ბლექბერნი	2,5	3,0	2,5
035	გრიმსბი-ტრანმერი	2,0	3,0	3,5
036	ჰადერსფილდი-სტოკპორტი	1,35	4,0	7,5
037	ჰადერსფილდი-სტოკპორტი 0:1	1,9	3,2	2,6
038	ნორვიჩი-შეფილდი	1,9	3,0	3,8
039	ნოტინგემი-პორტ ვეილი	1,5	3,8	5,3
040	ქუინზ პარკი-ვესტ ბრომვიჩი	1,8	3,3	3,3
041	სუინდონი-ბარნსლი	4,4	3,4	1,65
042	უოლსოლი-პორტსმუთი	1,7	3,4	3,6
	30 აპრილი			
043	ვულვერჰემპტონი-ფულემი	1,6	3,4	4,7

ინგლისი. II დივიზიონი. 45-ე ტური

	29 აპრილი			
044	როვერსი-ბორნმუთი	1,35	4,0	7,5
045	როვერსი-ბორნმუთი 0:1	1,9	3,2	2,6
046	ბარნლი-კემბრიჯი	1,25	5,0	9,0
047	ბარნლი-კემბრიჯი 0:1	1,7	3,2	3,2
048	ბერი-რედინგი	2,2	3,0	3,1
049	ჩესტერფილდი-ნოტსი	2,9	3,0	2,3
050	კოლჩესტერი-ბრისტოლი	2,5	3,0	2,5
051	ჯილინგემი-ბრენტფორდი	1,3	4,4	8,0
052	ჯილინგემი-ბრენტფორდი 0:1	1,8	3,3	2,8
053	ოლდემი-ბლეკპული	1,9	3,5	3,0
054	ოქსფორდი-სკანთორპი	1,9	3,2	3,5
055	პრესტონი-მილუოლი	2,0	3,2	3,3
056	უიგანი-რექსემი	1,3	4,4	8,0
057	უიგანი-რექსემი 0:1	1,9	3,0	2,8
058	უიკომბი-ლუტონი	2,0	2,9	3,6
	30 აპრილი			
059	სტოკი-კარდიფი	1,35	4,0	7,5
060	სტოკი-კარდიფი 0:1	1,9	3,2	2,6

ინგლისი. III დივიზიონი. 45-ე ტური

	29 აპრილი			
061	ბარნეტი-ლეიტონი	1,35	4,0	7,5
062	ბარნეტი-ლეიტონი 0:1	1,9	3,2	2,6
063	კარლაისლი-დარლინგტონი	2,9	3,0	2,1
064	ჩელტენემი-ჩესტერი	1,6	3,5	4,7
065	ჰარტლპული-როტერჰემი	2,4	3,0	2,7
066	ლინკოლნი-საუთენდი	1,8	3,2	3,8
067	მაკლსფილდი-როჩდეილი	2,2	3,0	3,1
068	ნორთჰემპტონი-მენსფილდი	1,3	4,4	8,0
069	ნორთჰემპტონი-მენსფილდი 0:1	1,9	3,0	2,8
070	პიტერბრო-ტორკი	1,5	3,5	6,0
071	პლიმუთი-ჰალი	1,55	3,4	5,6
072	შრიუსბერი-ბრაიტონი	2,2	3,3	2,8
073	სუონსი-ექსეტერი	1,35	4,0	7,5
074	სუონსი-ექსეტერი 0:1	1,9	3,2	2,6
075	იორკი-ჰალიფაქსი	2,2	2,9	3,2

საფრანგეთი. I დივიზიონი. 32-ე ტური

	29 აპრილი			
076	მონპელიე-მეცი	2,5	3,0	2,5
077	ლანსი-ლიონი	2,5	2,9	2,6
078	სენტ ეტიენი-ბორდო	2,5	2,9	2,6
079	ლე ავრი-სტრასბური	2,1	2,9	3,4
080	სედანი-მონაკო	2,5	2,9	2,6
081	ნანსი-ნანტი	2,3	2,9	3,0
082	ტრუა-რენი	2,1	2,9	3,4
	30 აპრილი			
083	ბასტია-პსჟ	2,4	2,9	2,8
084	ოსერი-მარსელი	2,1	3,0	3,3

საფრანგეთი. II დივიზიონი. 35-ე ტური

	29 აპრილი			
085	ლუანი-ნიორი	2,7	3,0	2,4
086	შატორუ-ლე მანი	2,2	2,8	3,3
087	აიაჩო-კაენი	1,9	2,8	4,2
088	ნიცა-კანი	2,0	2,7	3,6
089	ნიმი-ვალანსი	1,6	3,2	5,6
090	ლავალი-ლორიანი	1,7	3,0	5,0
091	გენგამი-გენიონი	1,6	3,1	6,0
092	ტულუზი-ვასკეალი	1,35	3,8	7,0
093	ტულუზი-ვასკეალი 0:1	2,0	3,2	2,4
094	ლილი-კრეტეი	1,5	3,5	6,0

იტალია. სერია "ა". 32-ე ტური

	30 აპრილი			
095	ბარი-რომა	2,5	2,9	2,6
096	კალიარი-ბოლონია	2,8	2,9	2,2
097	ფიორენტინა-ლეჩე	1,5	3,1	7,0
098	ლაციო-ვენეცია	1,15	6,0	12,0
099	ლაციო-ვენეცია 0:1	1,4	3,6	4,0
100	მილანი-პიაჩენცა	1,1	6,0	15,0
101	მილანი-პიაჩენცა 0:1	1,25	3,6	4,4
102	პარმა-უდინეზე	1,5	3,1	7,0
103	პერუჯა-ინტერი	4,0	2,9	1,9
104	ტორინო-რეჯინა	1,4	3,2	4,7
105	ვერონა-იუვენტუსი	4,2	3,1	1,7

იტალია. სერია "ბ". 32-ე ტური

	30 აპრილი			
107	ჩეზენა-კიევო	2,0	2,3	5,0
108	ნაპოლი-კოზენცა	1,4	3,1	8,0
109	სალერნიტანა-ემპოლი	1,6	2,8	6,5
110	მონცა-ფერმანა	1,3	3,8	7,0
111	ალბანო-პისტოიეზე	1,9	2,5	5,0
112	ტერნანა-რავენა	2,2	2,2	4,2
113	ტრევიზო-სამპდორია	2,7	2,5	2,9
114	პესკარა-სავოია	1,4	3,6	7,0
	1 მაისი			
115	ვიჩენცა-ბრეშა	2,2	2,0	5,0

იტალია. სერია "C1/A". 32-ე ტური

	30 აპრილი			
116	ალბინოლეფე-ბრეშელო	2,3	2,4	3,8
117	კარარეზე-კომო	1,8	2,6	4,2
118	კრემონეზე-ლუკეზე	2,5	2,4	3,0
119	ლეკო-ვარეზე	2,4	2,4	3,2
120	მონტევარკი-ლივორნო	1,8	2,6	4,2
121	პიზა-სიენა	2,3	1,9	3,6
122	რეჯანა-ლუმეცანე	1,65	2,7	6,5
123	სანდონა-მოდენა	2,4	2,4	3,4
124	სპალ-ჩეტადელა	2,3	2,4	3,8

იტალია. სერია "C1/B". 32-ე ტური

	30 აპრილი			
125	ასკოლი-ნოჩერინა	1,4	3,0	7,5
126	აველინო-ფ.ანდრია	1,8	2,6	5,3
127	ბენევენტო-დი სანგრო	2,0	1,9	5,0
128	კატანია-გუალდო	1,4	3,2	7,5
129	კროტონე-სტაბია	1,4	3,2	7,5
130	ჯულიანოვა-არეცო	2,6	1,9	3,1
131	ლოდიჯანი-ანკონა	2,7	2,5	2,8
132	მარსალა-ატლეტიკო	2,3	2,4	3,4
133	პალერმო-ვიტერბეზე	2,1	2,4	4,4

ესპანეთი. I დივიზიონი. 35-ე ტური

	29 აპრილი			
134	რაიო ვალეკანო-ვალენსია	2,6	2,9	2,5
135	ესპანიოლი-რვალი	2,8	2,9	2,3
136	ატლეტიკო-ბარსელონა	3,3	3,1	2,0
	30 აპრილი			
137	ალავესი-ვალიადოლიდი	1,75	3,0	4,4
138	რასინგი-ნუმანსია	1,8	2,9	4,4
139	სოსიედადი-მალაგა	1,9	3,0	3,8
140	სევილია-ოვიედო	2,7	3,0	2,4
141	სარაგოსა-ბილბაო	1,6	3,0	6,5
142	მალიორკა-ბეტისი	1,8	3,1	3,8
143	სელტა-დეპორტივო	2,7	3,0	2,4

ესპანეთი. II დივიზიონი. 37-ე ტური

	29 აპრილი			
144	ესტრემადურა-უელვა	1,5	3,5	6,0
148	ლევანტე-ატლეტიკო "ბ"	1,6	3,4	5,0
153	ბადახოსი-ლას პალმასი	2,8	2,9	2,4
	30 აპრილი			
145	სპორტინგი-ტოლედო (15.00)	1,2	5,6	10,0
146	სპორტინგი-ტოლედო 0:1	1,5	3,5	3,5
147	ტენერიფე-მერიდა	1,7	3,1	4,7
149	ვილიარეალი-ლეგანესი	1,6	3,2	5,6
150	ელჩე-ოსასუნა	2,5	2,9	2,6
151	ეიბარი-კომპოსტელა	2,1	2,9	3,4
152	ხეტაფე-კორდობა (14.30)	2,5	2,9	2,6
154	ალბასეტე-ლოგრონიესი	1,9	3,4	3,3
155	სალამანკა-ლეიდა	2,1	2,9	3,4

პორტუგალია. 32-ე ტური

	29 აპრილი			
157	ბოავიშტა-რიუ ავე	1,5	3,6	5,6
158	ფარენსე-პორტუ	5,3	3,3	1,6
	30 აპრილი			
159	ჟილ ვისენტე-ალვერკა	1,6	3,2	5,6
160	სალგეირუში-ლეირია	1,9	3,1	3,6
161	სეტუბალი-კამპომაიორენსე	1,9	3,1	3,6
162	სანტა-კლარა-ბელენენსეში	2,2	2,9	3,2
163	ბენფიკა-გიმარაეში	1,5	3,4	6,5
164	მარიტიმუ-სპორტინგი	4,2	3,0	1,8

ჰოლანდია. 32-ე ტური

	30 აპრილი			
166	პსვ-ვალვაიკი (17^{30})	1,3	4,4	8,0
167	პსვ-ვალვაიკი 0:1	1,8	3,3	2,8
168	ვიტესი-აიაქსი (17^{30})	2,4	3,0	2,7
169	დენ ბოსხი-სიტარდი (17^{30})	2,0	3,2	3,1
170	კამბური-ჰერენვენი (17^{30})	3,3	3,2	1,9
171	გრაფსხაპი-სპარტა (17^{30})	2,0	3,1	3,3
172	მაასტრიხტი-ნაიმეგენი (17^{30})	2,2	3,1	3,0
173	უტრეხტი-ტილბურგი (17^{30})	2,2	3,1	3,0
174	ფეიენოორდი-ალკმაარი	1,6	3,4	5,0

საბერძნეთი. 30-ე ტური

	30 აპრილი			
175	კავალა-კალამატა	2,0	2,9	3,6
176	ოლიმპიაკოსი-იონიკოსი	1,15	6,0	12,0
177	ოლიმპიაკოსი-იონიკოსი 0:1	1,4	3,6	4,0
178	აპოლონი-ტრიკალა	1,8	2,9	4,0
179	პანილიაკოსი-არისი	2,4	3,0	2,7
180	პანიონიოსი-აეკ	2,5	3,0	2,5
181	ირაკლისი-ოფი	2,4	3,0	2,7

182	პროდეფტიკი-პაოკ	2,9	3,0	2,3
183	ეთნიკოსი-ქსანთი	2,3	2,9	3,0
184	პანაჰაიკი-პანათინაიკოსი	7,0	3,8	1,4
	ჩეხეთი. 27-ე ტური			
	30 აპრილი			
186	ვიკტორია-დუკლა (13^{15})	1,8	3,0	4,2
187	სიგმა-იაბლონეცი	1,65	3,2	5,0
188	სლავია-ტეპლიცე	1,25	5,0	9,0
189	სლავია-ტეპლიცე 0:1	1,7	3,2	3,2
190	ბლშანი-სპარტა	8,0	4,4	1,3
191	ლიბერეცი-ბუდეიოვიცე	1,8	2,9	4,4
192	ჰ.კრალოვე-ბრნო	2,5	3,0	2,5
193	ბანიკი-ბოჰემიანსი	1,9	2,9	4,0
	პოლონეთი. 25-ე ტური			
	29 აპრილი			
194	ვისლა-ლეხი (17^{30})	1,3	4,4	8,0
195	ვისლა-ლეხი 0:1	1,8	3,3	2,4
196	რუხი-ლკს	1,3	4,4	8,0
197	რუხი-ლკს 0:1	1,8	3,3	2,8
198	პოლონია-გურნიკი	1,3	4,4	8,0
199	პოლონია-გურნიკი 0:1	1,8	3,3	2,4
200	სტომილი-ზაგლებე	2,0	2,9	3,6
201	პოგონი-ამიცა	2,3	2,9	3,0
202	რაძიონკოვი-ოდრა	2,1	2,9	3,4
	30 აპრილი			
203	გროცლინი-ლეგია (17^{00})	3,8	3,0	1,9
	თურქეთი. 31-ე ტური			
	29 აპრილი			
206	ისთანბული-ტრაბზონი	3,1	3,0	2,2
207	ალთაი-ანკარაგიუჯიუ	1,75	3,0	4,0
208	დენიზლი-ანთალია	1,8	3,0	4,2
209	ქოჯაელი-ადანა	1,75	3,0	4,4
210	ვანი-გალათასარაი	9,0	5,0	1,2
	30 აპრილი			
211	გენჩლერბირლიგი-გიოზთეფე	1,2	5,0	9,0
212	გენჩლერბ.-გიოზთეფე 0:1	1,6	3,2	3,2
213	ერზურუმი-ფენერბაჰჩე	4,2	3,1	1,75
214	სამსუნი-გაზიანთეფი	2,4	3,0	2,5
	შოტლანდია. 33-ე ტური			
	29 აპრილი			
215	ჰიბერნიანი-აბერდინი	1,9	3,1	3,6
216	დანდი იუნ.-სენტ ჯონსტონი	1,9	3,1	3,6
217	კილმარნოკი-ჰართსი	2,5	3,0	2,5
218	მოზერუელი-სელტიკი	4,0	3,1	1,8
	30 აპრილი			
219	რეინჯერსი-დანდი	1,25	5,0	9,0
220	რეინჯერსი-დანდი 0:1	1,7	3,2	3,2
	ავსტრია. 31-ე ტური			
	29 აპრილი			
221	შტურმი-ზალცბურგი (17^{30})	1,35	4,0	7,5
222	შტურმი-ზალცბურგი 0:1	1,9	3,2	2,6
223	აუსტრია-გრაცერი	1,75	3,1	4,2
224	ლუსტენაუ-ბრეგენცი	2,2	3,0	3,1
225	რიდი-ლინცერი	1,7	3,0	5,0
226	ტიროლი-რაპიდი	2,3	2,9	3,0
	შვეიცარია. მე-8 ტური			
	29 აპრილი			
227	ლოზანა-ლუცერნი	1,6	3,2	5,6
228	ქსამაქსი-ბაზელი	2,5	2,9	2,6
229	სერვეტი-გრასჰოპერი	2,4	2,9	2,8
	30 აპრილი			
230	სენტ გალენი-ივერდონი	1,4	3,8	7,0
231	სენტ გალენი-ივერდონი 0:1	1,9	3,4	2,4
	დანია. 27-ე ტური			
	30 აპრილი			
232	ორჰუსი-ესბიერგი	1,7	3,3	4,2
233	ვიბორგი-ოდენსე	1,55	3,5	5,3
234	აკადემისკი-კოპენჰაგენი	2,0	3,3	3,2
235	ვაილე-ლიუნგბიუ	2,5	3,0	2,5
236	ბრიონდბიუ-ჰერფიოლგე	1,7	3,2	4,4
	1 მაისი			
237	ოლბორგი-სილკებორგი	1,75	3,2	4,0
	რუსეთი. მე-6 ტური			
	30 აპრილი			
238	ლოკომოტივი-ანჟი	1,3	4,4	8,0
239	ლოკომოტივი-ანჟი 0:1	1,8	3,3	2,8
240	კრილია-როტორი	2,0	2,8	3,8
241	სპარტაკი-ფაკელი	1,2	5,6	10,0
242	სპარტაკი-ფაკელი 0:1	1,5	3,5	3,5
243	ზენიტი-ჩერნომორეცი	1,8	2,9	4,4
244	როსტსელმაში-სატურნი	1,65	3,0	5,6
245	ალანია-დინამო	2,3	2,9	3,0
246	ურალანი-ნოვგოროდი	1,65	3,0	5,6
247	ცსკა-ტორპედო	2,3	3,0	2,9
	შვედეთი. მე-4 ტური			
	30 აპრილი			
248	გაის-იორებრო	2,5	3,0	2,5
249	სუნდსვალი-იორგრიტე	2,9	3,0	2,3
250	ფრიოლუნდა-ჰალმსტადი	3,4	3,1	2,0
	1 მაისი			
251	აიკ-ტრელებორგი	1,5	3,6	5,6
252	გიოტებორგი-ელფსბორგი	1,35	4,0	7,5
253	გიოტებორგი-ელფსბორგი 0:1	1,9	3,2	2,6
254	ჰელსინგბორგი-ჰოკენი	1,5	3,5	6,0
	ნორვეგია. მე-4 ტური			
	29 აპრილი			
255	სტარტი-ბრანი	3,6	3,3	1,8
256	რუსენბორგი-მიოლდე	1,4	3,8	7,0
257	რუსენბორგი-მიოლდე 0:1	2,0	3,0	2,4
	30 აპრილი			
258	ბოდიო გლიმტი-მოსი	2,0	3,1	3,4
259	ოდ გრენლანდი-ლილესტრ.	2,2	3,0	3,1
260	ტრომსიო-სტაბეკი	1,9	3,1	3,6
261	ვიკინგი-ჰაუგესუნდი	1,7	3,3	4,2
262	ვოლერენგა-ბრინი	1,5	3,6	5,6
	ბელგია. თასის 1/2 ფინალი. II მატჩები			
	29 აპრილი			
263	სენტ ტრუიდენი-გენკი	2,1	3,2	3,1
		(I მატჩი: 0-0)		
	1 მაისი			
264	ლიერსი-სტანდარდი	1,9	3,0	3,8
		(I მატჩი: 0:2)		
	ბელგია. ლიგის თასის ფინალი			
	30 აპრილი			
265	მუსკრონი-ანდერლეხტი	3,1	3,2	2,1
	კალათბურთი. 1/8 ფინალი			
	29 აპრილი			
802	მილუოკი-ინდიანა	1,6	12,0	1,8
803	დეტროიტი-მაიამი	1,6	12,0	1,8
804	სიეტლი-იუტა	1,7	12,0	1,7
805	ფინიქსი-სან ანტონიო	1,55	12,0	1,9
	30 აპრილი			
806	ტორონტო-ნიუ იორკი	1,7	12,0	1,7
807	საკრამენტო-ლეიკერსი	1,9	12,0	1,55
808	მინესოტა-პორტლენდი	1,7	12,0	1,7
	1 მაისი			
809	მილუოკი-ინდიანა			
810	ფილადელფია-შარლოტი			
	ჰოკეი. 1/4 ფინალი			
	29 აპრილი			
812	ფილადელფია-პიტსბურგი	1,5	4,0	3,0
813	ტორონტო-ნიუ ჯერსი	1,9	3,6	2,2
814	კოლორადო-დეტროიტი	1,9	3,6	2,2
	30 აპრილი			
815	დალასი-სან ხოსე			
	1 მაისი			
816	ნიუ ჯერსი-ტორონტო			
817	დეტროიტი-კოლორადო			
	ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი			
	29 აპრილი			
818	აშშ-შვეიცარია (17.30)	1,4	4,0	3,4
819	რუსეთი-საფრანგეთი	1,05	5,0	9,0
820	კანადა-იაპონია (17.30)	1,05	5,0	9,0
821	ნორვეგია-ჩეხეთი	7,0	4,4	1,1
	30 აპრილი			
822	ბელარუსი-უკრაინა (17.30)	1,6	4,0	2,7
823	ლატვია-შვედეთი	6,5	4,0	1,15
824	სლოვაკეთი-ავსტრია (17.30)	1,3	4,0	4,0
825	იტალია-ფინეთი	7,0	4,4	1,1
	1 მაისი			
826	შვეიცარია-საფრანგეთი			
827	რუსეთი-აშშ			
828	ჩეხეთი-იაპონია			
829	კანადა-ნორვეგია			

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განსაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

სუპროლიგა 2000-2001

FIBA SuproLeague

შეჯიბრების ფორმატი

პირველი ჯგუფური ეტაპი
19.10.2000 — 18.01.2001

A	B	C	D
A1	B1	C1	D1
A2	B2	C2	D2
A3	B3	C3	D3
A4	B4	C4	D4
A5	B5	C5	D5
A6	B6	C6	D6

ჯგუფებში ბოლო ორ ადგილზე გასულ გუნდს უფლება აქვს, ითამაშოს 2001-2002 წლების სეზონში საპორტასა და კორაჩის თასების გაერთიანებით დაარსებულ ევროტურნირზე

მეორე ჯგუფური ეტაპი
01.02.2001 — 29.03.2001

E	F
E1	F1
E2	F2
E3	F3
E4	F4
E5	F5
E6	F6
E7	F7
E8	F8

მეოთხედფინალი (ორ მოგებამდე)
10.04.2001 — 19.04.2001

E1 F4 F2 E3 E2 F3 F1 E4

ოთხთა ფინალი
04.05.2001 — 06.05.2001
ვიტორია, ესპანეთი

ქვეყნების წარმომადგენლობა

4 ადგილი	12 ადგილი	2 ადგილი	4 ადგილი	2 ადგილი
ფიბა-ს რეიტინგში 1-4 ადგილებზე მყოფი ქვეყნების კლუბებს	ფიბა-ს რეიტინგში 1-12 ადგილებზე მყოფი ქვეყნების კლუბებს	ევროლიგის 1990-2000 წლების გათამაშების ფინალისტებს	იმ კლუბების ქვეყნებს, რომლებიც გავიდნენ საპორტას თასის 1999-2000 გათამაშების ნახევარფინალში	გაიცემა ფიბა-ს შეხედულებით
საბერძნეთი	ხორვატია	პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი)	ხორვატია	
ლიტვა	საფრანგეთი		იტალია	
იტალია	გერმანია		ლიტვა	გადაწყდება 25 მაისს
ესპანეთი	საბერძნეთი	მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)	საბერძნეთი (გადაეცა სლოვენიას)	
	ისრაელი			
	იტალია			
	ლიტვა			
	პოლონეთი			
	ესპანეთი			
	რუსეთი			
	თურქეთი			
	იუგოსლავია			

სწრაფად და შეღავათიან ფასებში ვასრულებთ
დიზაინერულ, საპროექტო, სამშენებლო,
სარემონტო და შენობის გამაგრებით სამუშაოებს
Tel. 96 56 67

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

სლოვენია

პლეი ოფის ნახევარფინალი
(ორ მოგებამდე)

ოლიმპია	0
კრკა	1

ოლიმპია 73:74 კრკა

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (12), გოლემაცი (8), ბრეფეცი (14), ზდოვცი (16), მილიჩი (12), იასიკევიჩუსი (9), მოდრიჩი (2)
კრკა: იევტოვიჩი (3), პეტროვი (7), სმოდიში (17), გრუმი (15), დრობნიაკი (15), შჩეკიჩი (9), ნაკიჩი (8)

პივოვარნა	1
სლოვანი	0

პივოვარნა 78:68 სლოვანი

პივოვარნა: იურაკი (13), მილეტიჩი (8), ბაიარამოვიჩი (6), გოლოვიჩი (27), დრაგშიჩი (11), კუნცი (13), ჟარკოვიჩი, კაზაფეროვიჩი, ტილინგერი
სლოვანი: ნოვაკი (17), ლაკოვიჩი (2), ჟაკელი (2), ჯურკოვიჩი (4), კოვაჩი (4), პავიჩი (12), ბოისა (9), მარავიჩი (6), ცპიტიშვილი (12), შუშტარშიჩი, უბრეხელიძე

სლოვენიის რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს ლიუბლიანის „სლოვანის“ ქართველმა ფორვარდმა ვლადიმერ ბოისამ აღნიშნა: პლეი ოფის ნახევარფინალში მეტოქედ ლაშკოს „პივოვარნა“ გვირჩევნია. მას ერთი შეხვედრა მაინც შეიძლება მოვუგოთ, ლიუბლიანის „ოლიმპიას“ წინააღმდეგ კი ამის შანსიც არ გვაქვსო. რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში „პივოვარნამ“ მოუგო „ოლიმპიას“ და პლეი ოფში „სლოვანს“ შეხვდა.

კაცმა არ იცის, როგორ დამთავრდება ეს სერია, მაგრამ იქნებ „სლოვანისთვის“ „ოლიმპიასთან“ დაჭიდება უფრო ჯობდა. სლოვენიური კალათბურთის ფლაგმანი აშკარად ვერ არის სათანადო ფორმაში. „ოლიმპიაზე“ ძალზე ცუდად იმოქმედა ევროლიგის მეოთხედფინალში „ბარსელონასთან“ მარცხმა. მას შემდეგ გუნდი მოიშალა და აგერ შედეგიც: სლოვენიის ჩემპიონატის პლეი ოფის ნახევარფინალში საშინაო მარცხი ნოვო მესტოს „კრკასთან“. საკმარისია, ნოვომესტოელებმა დღეს შინ იმარჯვონ და სლოვენიური კალათბურთის ისტორიას ახალი ჩემპიონი მოეკლინება: „ოლიმპიას“, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებისა არ იყოს, სლოვენიის ჩემპიონატების დაწყების დღიდან არავისთვის დაუთმია უძლიერესის ტიტული.

„პივოვარნას“ შემადგენლობა კი ძალიან შეთხელებულია. სამი წამყვანი მოთამაშე ტრავმირებულია: მილეტა ლისიცამ და გრეგორ ჰაფნარმა მხრები დაიშავეს, ბოშტიან ნახბარმა კი მაჯა დაიზიანა. ამის გამო „სლოვანი“ იმედმოცემული ჩავიდა ლაშკოში, მაგრამ იქაური „ტრი ლილიედან“ ბევრი ვერაფერი წამოიღო.

მასპინძლები თავიდანვე დაწინაურდნენ და პირველი ტაიმის შუაწელში 25:10 იგებდნენ. „სლოვანის“ მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა შემადგენლობა რამდენადმე გადაახალისა და ლიუბლიანელები შესვენებისთვის შვიდი ქულით წამოეპარნენ მეტოქეს — 45:38. მეორე ტაიმის საწყის რვა წუთში „სლოვანი“ დიდ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ერთადერთი რაც შეძლო, სხვაობის სამ ქულამდე შემცირება იყო — 50:47. ამან გამოაფხიზლა ლაშკოელები და ერთი მონაკვეთი „პივოვარნამ“ 16:2 მოიგო. ცხადი გახდა, რომ „სლოვანი“ დეფიციტს ვეღარ გააბათილებდა და ახლა ლიუბლიანელთა მთელი იმედები დღევანდელ საპასუხო მატჩთანაა დაკავშირებული.

„სლოვანის“ ქართველებიდან ყველაზე დიდხანს, 32 წუთი, ვლადიმერ ბოისამ ითამაშა. შედარებით ცუდი სროლა (შვიდი ორქულიანიდან ორი ჩაგდებული) ბოისამ დაცვაში კარგი თამაშით გამოასწორა: ექვსი ბურთი მოხსნა („სლოვანში“ საუკეთესო შედეგია) და ოთხი ჩაჭრა გააკეთა. ნიკა ცქიტიშვილმა 14 წუთი გაატარა მოედანზე, რვადან ხუთი ორქულიანი და ხუთიდან ორი საჯარიმო ჩააგდო, ამასთანავე, სამი მოხსნაც მიითვალა. დავით უგრეხელიძემ თამაშში სამი წუთი დაჰყო. ამ ხანში მან ვერაფრის გაკეთება მოასწრო, თუ არ ჩათვლით სამ მიღებულ პერსონალურს.

პანათინაიკოსის ფულები და გეგმები



REUTERS სლოვენიის ეროვნული ...

იქნებიან დეიან ბოდიროგა (მარცხნივ) და ჯონი როჯერსი თანაგუნდელები მომავალ სეზონში?

ერთი კვირის წინ ათენის „პანათინაიკოსის“ კალათბურთელებმა ევროლიგა მოიგეს. მათი გამარჯვება შთამბეჭდავი და დამაჯერებელი იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროლიგას კარგა ხანია არ ჰყოლია ასე ღირსეული ჩემპიონი.

გავიდა დრო, ზეიმი დამთავრდა, ვნებები დაცხრა. „პანათინაიკოსი“ ახლა საბერძნეთის ჩემპიონატის პლეი ოფის ნახევარფინალისთვის ემზადება, რომელშიც თანაქალაქელ აეკ-ს დაუპირისპირდება. მოთამაშეთა და მწვრთნელთა განწყობა, წესით, ამაღლებული უნდა იყოს, რადგან კლუბის ხელმძღვანელობამ პრემიებზე ჩამოაგდო სიტყვა.

„პანათინაიკოსის“ მფლობელის, 68 წლის ბიზნესმენის და საბერძნეთის ერთ-ერთი უმდიდრესი კაცის პავლოს იანაკოპულოსის თავდაპირველი დაპირებით, გუნდი პრემიის სახით 1,3 მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებდა. მოთამაშეებმა და მწვრთნელებმა სავსებით დაიმსახურეს ეს თანხა, ამიტომ მათთვის არაფერი მენანებაო, დასძინა იანაკოპულოსმა, თუმცა ორიოდ დღეში აზრი შეიცვალა...

ვაჟ კალათბურთელთა ტრიუმფიდან რამდენიმე დღეში „პანათინაიკოსის“ ქალმა კალათბურთელებმა ჯერ საბერძნეთის ჩემპიონატი მოიგეს, მერე — თასი. გარდა ამისა, იმავე კვირაში „პანათინაიკოსის“ ფრენბურთელი ქალებიც ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ. ისედაც გახარებული იანაკოპულოსი მთლად გადაირია და პრესკონფერენციაზე განაცხადა: „ჩვენმა კლუბმა სპორტის ყველა სახეობაში უნდა მოიგოს საბერძნეთის ჩემპიონატი“. იანაკოპულოსმა კლუბის დანარჩენ გუნდთა წარმატება ვაჟ კალათბურთელთა ტრიუმფს დაუკავშირა და... ევროლიგის ჩემპიონ გუნდს დამატებით გამოუწერა 2,8 მილიონი დოლარი პრემია.

იანაკოპულოსის თქმით, იგი ძალიან დაიღალა 30 წლის განმავლობაში კლუბის სათავეში ყოფნით და სეზონის ბოლოს ამ საქმისგან გაცლას აპირებდა. თუმცა, კლუბის სხვადასხვა გუნდების წარმატებათა სერიამ (პირველ რიგში ვაჟთა გუნდის მიერ ევროლიგის მოგებამ) „პანათინაიკოსში“ დარჩენა გადაწყვეტინა. „ჩემი ოცნებაა, რომ „პანათინაიკოსმა“ კიდევ ერთხელ მოიგოს ევროლიგა. აი, ამის მერე კი ნამდვილად წავალ“ — აღნიშნა კლუბის მფლობელმა.

იანაკოპულოსი „პანათინაიკოსის“ სამომავლო გეგმებსაც შეეხო. იუგოსლავიელი მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი, მისი თანამემამულე კალათბურთელები დეიან ბოდიროგა და ჟელკო რებრაჩა, აგრეთვე ებრაელი ოდედ კატაში და ყველა ბერძენი მოთამაშე შემდეგ სეზონში გუნდში იქნებიან. მათ „პანათინაიკოსთან“ კონტრაქტები აქვთ და არსად აპირებენ წასვლას. ამ სეზონის ბოლოს კონტრაქტები უმთავრდებათ ირლანდიელ პატ ბერკს, იტალიელ ნანდო ჯენტილეს, გერმანელ მიხაელ კოხს და ამერიკელ ჯონი როჯერსს. მათ ბედს ჟელკო ობრადოვიჩი გადაწყვეტს. მზად ვარ, შევინარჩუნო ნებისმიერი მოთამაშე, რომელსაც მწვრთნელი გუნდისთვის საჭიროდ მიიჩნევს — ეს პავლოს იანაკოპულოსის სიტყვებია.

ზაფხულში ვადა გასდის გუნდის კაპიტნის ფრაგისკოს ალვერტისის კონტრაქტს, მაგრამ ახალი ხელშეკრულების გაფორმებას წინ აღარაფერი უდგას. ამ დღეებში ალვერტისი დიდხანს ესაუბრა პრესას „პანათინაიკოსის“ გეგმებზე და მომავლის გუნდში საუკთარ თავს არცთუ უმნიშვნელო როლი მიაკუთვნა.

ევროლიგის ფინალის მოგების შემდეგ „პანათინაიკოსი“ იმავე ღამით, უფრო სწორად, გამთენიისას ოთხ საათზე დაბრუნდა ათენში, სადაც აუარება ხალხი აეროპორტში დიდი ზარ-ზეიმით დახვდა. ზუსტად იმ დროს, ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ მასპინძელ ქალაქ სალონიკში, ადგილობრივი გულშემატკივრები (ძირითადად პაოკ-ის მხარდამჭერები) ქუჩებში გამოვიდნენ და ათენის ნომრებიანი მანქანები დაამტვრიეს. სალონიკის პოლიცია ფეხზე დადგა, ტელევიზიისა და ვიდეომოყვარულების მიერ გადაღებული კადრები გადასინჯ-გადმოსინჯა და თორმეტი ჩხუბისთავი ხულიგანი ამოიცნო. მათი დაკავება დროის საქმეაო, ამბობენ სალონიკელი სამართალდამცავები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ სტამბოლში თურქეთის ჩემპიონატის პლეი ოფის მესამე მეოთხედფინალური მატჩი გაიმართა. სტამბოლის „ულქერმა“ 64:61 მოუგო თანაქალაქელ „დარუშაფაკას“ და სერიაში 2:1 დანინაურდა. მერე ჩვენ, ქართველ მკითხველს, რა? — უკვე მესმის ეს კითხვა. ჩვენ ის, რომ „ულქერის“ რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო 16 წლის ქართველი ფორვარდ-ცენტრი ზაზა ფაჩულია.

ეს უკვე საქმეა!

16 წლის ზაზა ფაჩულია „ულქერის“ ძირითადში: 23 წუთი, 9 ქულა, 6 მოხსნა, 2-2 პასი და ჩაჭრა



ზაზა ფაჩულია

„ულქერის“ მწვრთნელი მურათ დიდინი აქამდეც ათამაშებდა ფაჩულიას ჩემპიონატის თუ თასის მატჩებში, მაგრამ ასე დიდხანს მოედანზე არასდროს გაუჩერებია. ზაზამ 23 წუთი ითამაშა, 9 ქულა, 6 მოხსნა, ორ-ორი პასი და ჩაჭრა გააკეთა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ მწვრთნელი კრიტიკულ მომენტებშიც ათამაშებდა ქართველ ყმაწვილს. ის კი არა, დამთავრებამდე ორი წუთით ადრე, როცა „ულქერი“ ერთი ქულით აგებდა, დიდინმა ორიოდ წუთით დასვენებული ფაჩულია თამაშში დააბრუნა, იუგოსლავიელი დეიან კოტუროვიჩი შეაცვლევინა. ზაზამაც ბოლო წამებზე მეტად მნიშვნელოვანი ბურთი ჩაჭრა, მაშინ, როცა „დარუშაფაკა“ მატჩის გადამრჩენ სამქულიან სროლას ამზადებდა.

ფაჩულიას შინ, სტამბოლში დავუკავშირდით და მისგან ეს შევიტყვეთ:

— „დარუშაფაკასთან“ წინა შეხვედრაში, რომელიც 63:74 დავთმეთ, მწვრთნელმა სამი წუთი მათამაშა. ამ ხანში ფარზე ყველა ორთაბრძოლა მოვიგე ეტყობა, დიდინი უკმაყოფილო არ დარჩენილა, მითხრა, მომავალი მატჩისთვის მოემზადე, თამაში მოგიწევსო.

— ქართველებმა დიდინი სიტყვის კაცად გავიცანით, ყოველ შემთხვევაში, თქვენ რასაც დაგბირდათ, ყველაფერი შეასრულა...

— ამჯერადაც ასე იყო. მართალია, თამაში ხუთეულში არ დამაწყებინა, მაგრამ მოედანზე მეათე წუთზე შემიყვანა, კოტუროვიჩი შევცვალე. მერე კი ორი-სამი წუთით გავყავდი ხოლმე და ისევ თამაშში მაბრუნებდა. მართალი კითხრათ, ველოდი, რომ ჩვეულებრივზე მეტხანს მათამაშებდა, მაგრამ თუ ამდენს — არა.

— რადგან დიდინმა დიდხანს გაგაჩერათ მოედანზე, ესე იგი, კარგად გითამაშიათ...

— ჩემთვის ყოველი თამაში მნიშვნელოვანია. შემადგენლობაში ადგილს ახლა ვიმკვიდრებ და მოდუნების უფლება არ მაქვს. ახლაც ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული: ნორმალურად ვითამაშებდი — მოედანზე დიდხანს დავრჩებოდი, თუ არა და, შემცვლიდნენ.

— თავად თამაში როგორი იყო?

— როგორც პლეი ოფის მატჩს შეეფერება. დაძაბული და მძიმე. ბოლო წამამდე გამარჯვებული უცნობი იყო, ბოლოსკენ ჩვენ უფრო მოვიკრიბეთ ძალა და ამიტომაც მოვიგეთ. „დარუშაფაკა“ ძალიან ხისტი და უხეში გუნდია. მეორე ტაიმში მეტოქის ფარზე ბურთი მოვხსენი, სასროლად ავიწიე და ამ დროს ვიღაცამ უკნიდან კოჭში ფეხი ჩამარტყა, აი, ისე, ფეხბურთელები „პადკატს“ რომ ეძახიან. მერე კი ერთი მეტოქე დრიბლინგისას გამომეკიდა და შორტი ჩამაძრო, თან მთელი ფეხი დამიკაწრა. ახლა კოჭი გასიებული მაქვს, მაგრამ მომდევნო კერას გასამართი თამაშისთვის, ალბათ დამიცხრება.

— საქმე ისეა, მომდევნო მატჩშიც კარგა ხანს ითამაშებთ...

— ვნახოთ, რას გადაწყვეტს მწვრთნელი და თავად მე როგორ გამოვიყენებ მოცემულ შანსს. ისე, მურათ დიდინი ახალგაზრდებს ძალიან გვენდობა. მომავალი საზონისთვის მან გუნდის განახლება განიზრახა, ამბობს, ამ შემადგენლობიდან ოთხ კაცს დავტოვებ, ძირითადად ახალგაზრდებს, დანარჩენებს კი გავუშვებო. ისე, დიდინი ძალიან მკაცრი კაცია. სიზარმაცეს არავის პატიობს, ამ დღეებში ორი ვეტერანი, თურქეთის ნაკრების წევრები, კაპიტანი ლევენთ თოფსაკალი და ვოლქან აიდინი გუნდიდან გაგდო — ის ხალხი არ მჭირდება, ვინც არ ვარჯიშობსო.

— თუკი „დარუშაფაკას“ ამ სერიას მოუგებთ, მერე ვის ხვდებით?

— თურქეთის ჩემპიონ „თოფაშს“, რომელმაც წლეულს თასის ფინალში მოგვივო. „დარუშაფაკას“ თუ გავცდით, „თოფაშთან“ მეტად მძიმე სერია გველის. თურქეთის ეროვნული ჩემპიონატი რომ მორჩება, მე „ულქერის“ ახალგაზრდულ გუნდში ვითამაშებ ქვეყნის თანატოლთა პირველობაზე. ოთხ მაისს თურქეთის კოლეჯთა პირველობა იწყება, მაგრამ იქ, ალბათ, არ ვითამაშებ: „ულქერს“ და კოლეჯს, რომელშიც ვსწავლობ, ხელშეკრულება აქვთ დადებული, რომლის თანახმადაც უპირატესობა ჩემს „ულქერში“ თამაშს ენიჭება.

— მალე საქართველოს ნაკრებიც დაიწყებს ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადებას...

— ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იქნება, თუკი ნაკრების მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე ქვეყნის პირველ გუნდში ჩარიცხვის ღირსად ჩამთვლის. იმ პერიოდში თურქეთში პლეი ოფის თამაშები გრძელდება. თუ იმ დროისთვის ჩვენი გუნდი გათამაშებას შემორჩება, არ ვიცი, გამომიშვებს თუ არა ნაკრებში „ულქერის“ ხელმძღვანელობა. იმედი მაქვს, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია და კლუბის ხელმძღვანელობა ამ საკითხზე შეთანხმდებიან.

მერაბ რატიშვილი

იტალია

პლეი ოფის მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

ფორტიტუდო	3	ბენეტონი	3
სიენა	0	ტრიესტი	0
ფორტიტუდო 72:62 სიენა		ბენეტონი 79:63 ტრიესტი	
მიულერი	3	კინდერი	2
ადეკო	0	ვიოლა	1
მიულერი 96:73 ადეკო		კინდერი 73:67 ვიოლა	

დაბრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ნახევარფინალში

პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

საკრამენტო მხოლოდ იქადნებაბ, მილუოკი საქმეს აკეთებს

27 აპრილი

ლეიკერსი	2
საკრამენტო	0

ლეიკერსი 113:89 საკრამენტო

ლეიკერსი: პარპერი (8), ბრაიანტი (32), რაისი (18), გრინი (4), ონილი (23 ქულა, 19 მოხსნა, 6 პასი); ფოქსი (11), ფიშერი (7), ჰორი (6), შოუ (4), სილი, ნაითი, ჯორჯი

საკრამენტო: ვილიამსი (9), ანდერსონი (6), ვილიამსონი (6), ვებერი (22 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), დივაცი (14); დელკი (8), ბერი (6), პოლარდი (4), ფანდერბურკი (4), სტოიაკოვიჩი (4), კორბინი (3), მარტინი (3)

ჯერ კიდევ რეგ[illegible]რულ სეზონში დაიქადნეს საკრამენტ[illegible]ელებმა, ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ შეგვხვდება პლეი ოფში, გინდ „ლეიკერსი“ იყოს, გინდაც „იუტაო“. როცა „ლეიკერსი“ შეხვდათ, მერეც თქვეს, ნურავის ეგონება, თავს დავაჩაგვრინებთ, იქით გვიფრთხილდესო, მაგრამ ახლა მშვენივრად ჩანს, „მეფეები“ სიტყვას როგორ ასრულებენ. ამ კალიფორნიულ წყვილში ჯერჯერობით ერთი გუნდი თამაშობს, მეორე მხოლოდ ხელს უშლის, უფრო სწორად, ცდილობს ხელი შეუშალოს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ახერხებს. „საკრამენტო“ ურიგო როდია, მაგრამ მასსა და „ლეიკერსს“ შორის იმხელა განსხვავებაა, რამხელაც „საკრამენტოსა“ და ვოქვათ, „კლიპერსს“ შორის. ძნელი სათქმელია, რას იზამენ „მეფეები“ შინ, მოერევიან თუ არა მძლავრ მეტოქეს, მაგრამ ლოს ანჯელესში ორი თამაშით ჯერ ვერაფერი იხეირეს.

„საკრამენტო კინგზი“ ვერ დაიწუწუნებს, ცუდი შემადგენლობა მყავსო, მაგრამ შაკილ ონილის მსგავსი ბომბდამშენი, ნამდვილად აკლია. ონილი ერთია ლიგაში და იგი დღეს „ლეიკერსშია“. ასე რომ, მისი მეტოქეები დიდ გაწამაწიაში არიან.

სერიის პირველივე თამაშში რეგულარული სეზონის უპირველესმა ბომბარდირმა „საკრამენტოს“ ერთბაშად 46 ქულა წაჰგლეჯა. ეს თუ ასე მივუშვით, კარგ დღეს არ დაგვაყრისო, თქვეს შაკილის მიერ დაბეჩავებულებმა და მეორე თამაშისთვის მის გასაჩერებლად საგანგებო ტაქტიკა შეიმუშავეს. ონილის გაუვნებლება ორ დიდ სტუმარს — კრის ვებერს და ვლადე დივაცს დაევალა... მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათ მთავარი საფრთხე სულ სხვა მხრიდან ელოდათ.

ფილ ჯეკსონი გამოცდილი მწვრთნელია. ექვსჯერ გაიჩემპიონა „ჩიკაგო“, ახლა კი „ლეიკერსს“ რეგულარული ჩემპიონატი მოაგებინა პირველსავე სეზონში. ცხადია, მწვრთნელობაში ჭიპმოჭრილ ფილს არაფერი შეეშლებოდა. ჰოდა, მანაც ონილს უბრძანა... შეტევაში პასიურად ეთამაშა, სამაგიეროდ, სტუმართა კალათის დაბომბვა გლენ რაისსა და კობი ბრაიანტს დაავალა. ამ უკანასკნელმა მართლაც ივარგა, თუმც არც რაისი ჩამორჩა. ბრაიანტი ან გარღვევაზე მიდიოდა, ანაც შორი და საშუალო მანძილიდან ისროდა. მთელი გუნდი მასზე თამაშობდა. კობიმაც დაკისრებულ ამოცანას ბრწყინვალედ გაართვა თავი. ჩანაფიქრმა გაამართლა, ონილზე მიჯაჭვული სტუმართა რამდენიმე კალათბურთელი ბრაიანტს ჯეროვან ყურადღებას ვეღარ აქცევდა და მასაც მეტი რა უნდოდა — კარგად იყენებდა შექმნილ სიცარიელეს. რაც შეეხება ონილს, ივი ფარზე გაბატონდა და ამით მასპინძლებს საქმე გაუადვილდათ. ხოლო მეორე ნახევარში, როცა მისი გუნდი გვარიანად დაწინაურდა, ქულების მოპოვებასაც მიჰყო ხელი და საკმაო რაოდენობითაც დააგროვა. მისმა გუნდმა სტუმრებს ყველა მეოთხედი მოუგო: პირველი — 35:24, მეორე — 21:17, მესამე — 27:25, მეოთხე — 30:25, რამაც ჯამში 24-ქულიანი სხვაობა შეადგინა. ასეთი სხვაობით რეგულარულ სეზონში ლამის ყოველი მესამე თამაში მთავრდება, მაგრამ წლევანდელ პლეი ოფში ერთი გუნდის ამხელა უპირატესობა ჯერ არ დაფიქსირებულა.

დაცვაში თამაშით გართულმა და დაღლილმა საკრამენტოელებმა ვერც ბოლო ტევაში ააწყვეს საქმე, სადაც, როგორც წესი, ყველა გუნდზე უკეთ მარჯვობენ. საქმის გამოსწორებას ისევ წლეულს ბომბარდირთა დავაში მეექვსე ადგილზე გასული კრის ვებერი ცდილობდა, თუმცა ამაოდ. მას სროლები არ წაუვიდა, 28 შესაძლებლობიდან მხოლოდ რვა გამოიყენა. „ჩვენ დაბნეულები ვიყავით, არ ვიცოდით, ვის წინააღმდეგ გვეთამაშა, შაკიც და კობიც დიდი კალათბურთელები არიან და მათ ნებისმიერის წაქცევა შეუძლიათ. ნურავინ ფიქრობს, რომ ამ ორმა მარცხმა დაგვაფრთხო და თამაშზე ხელი აგვაღებინა, ჩვენ მაინც ჩვენსას გავაკეთებთ. ერთი თამაშიც რომ მოვიგოთ, ჩავთვლით, რომ ღირსეულად წავაგეთ მეტოქესთან, რომელსაც ალბათ ვერავინ დაამარცხებს“ — ამ ორმა წაგებამ კრის ვებერს ჟინი მაინც ვერ გაუნელა

აღმოსავლეთი

ინდიანა	1
მილუოკი	1

ინდიანა 94:104 მილუოკი

ინდიანა: ჯეკსონი (5), მილერი (10), როუზი (11), დევისი (10 ქულა, 12 მოხსნა), სმიტსი (12); კროუერი (16), ბესტი (14), ტაბაკი (6), პერკინსი (5), მაკკეი (2), მულინი, ბენდერი

მილუოკი: კასელი (20), ალენი (20), რობინსონი (11), ჰემი (4), ჯონსონი (5 ქულა, 12 მოხსნა); ტომასი (19), ვილიამსი (15), დელ ნეგრო (10), ალსტონი, მენინგი, თურქჯანი.

ჯერჯერობით საკრამენტოელები მხოლოდ იქადნებიან, მოკრძალებით მყოფმა და უპრეტენზიო „მილუოკიმ“ კი თავისი პროგრამა-მინიმუმი უკვე შეასრულა და „ინდიანა“ დაამარცხა, თანაც საკუთარ მოედანზე, სადაც მას რეგულარულ ჩემპიონატში სულ ხუთი თამაში წაუგია, რაც „ლეიკერსთან“ ერთად ლიგაში საუკეთესო შედეგია. აღმოსავლეთში პირველი „პეისერზი“ დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა.

„მილუოკიმ“ „ორლანდოსთან“ ბრძოლაში ძლივს მოიპოვა საგზური საუკეთესოთა შორის. ისიც ხომ ყველას ახსოვს, რა დღეში ჩაგდო ეს გუნდი „ინდიანამ“ წინა პლეი ოფის პირველ წრეში. ასე რომ, „მილუოკის“ „ინდიანას“ რეალურ მეტოქედ ბევრი როდი აღიქვამდა. ლარი ბერდის ბიჭები მათ სამ თამაშში მოუთავებენ ხელსო, წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად. პლეი ოფის გამოკვეთილმა აუტსაიდერმა უცებ ხელი გამოიღო, პირველი თამაში ბრძოლაში დათმო და ახლა სულაც მიწასთან გაასწორა აღმოსავლელი ფავორიტი. აქ ანგარიშმა არ შეეაცდინოთ. იმდენად დიდი იყო სტუმართა უპირატესობა, რომ თუნდაც პირველი მეოთხედის შემდეგ „ინდიანას“ ყველაზე თავგამოდებული ქომაგიც კი აღარ იყო დარწმუნებული თავისი გუნდის გამარჯვებაში.

„პეისერზს“, კარგა ხანია, ასე უხეიროდ არ უთამაშია შინაურ კედლებში. მატჩის დაწყებასთან ერთად დაიწყო მასპინძელთა კოშმარი. „ბაქსის“ შედარებით ახალგაზრდა და ფეხმარდმა დაბლებმა — რეი ალენმა და სემ კასელმა შავი დღე აყარეს ვეება გამოცდილების მქონე რეჯი მილერსა და მარკ ჯეკსონს. სტუმრები პირველივე წუთებიდან დაწინაურდნენ და მას შემდეგ სხვაობა განუწყვეტლივ მასპინძლებისთვის კატასტროფული ტემპით იზრდებოდა. დამთავრდა პირველი თორმეტი წუთი და ტაბლოზე ანგარიში 35:19 იყო სტუმართა სასარგებლოდ. დარბაზში თავისი საყვარელი გუნდის ბრწყინვალების საცქერად მისულ და გვარიანად იმედგაცრუებულ თვრამეტი ათას გულშემატკივარს თავიანთი მაღლების — რიკ სმიტსის (224 სანტიმეტრი) და ამ სეზონში ოლსტარნათამაშევ დეილ დევისის (211 სანტიმეტრი) იმედი ჰქონდა, როცა დაბლები ვერაფერს აკეთებენ, ისინი მაინც გამოიდებენ თავსო, მაგრამ მილუოკელებმა, რომელთაც ხეირიანი მაღალი არავინ ჰყავთ, მათაც კარგად შეუკრეს ხელფეხი შეტევაში. „ინდიანას“ სტუმართა სათადარიგოებმაც ჩასცეს ლახვარი, თამაშში კარგად ჩაერთვნენ ტომასი, დელ ნეგრო და ვილიამსი. მათაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ ბობოლა გუნდის გატეხვაში. სხვაობა თანდათან იზრდებოდა, ხოლო როცა მესამე მეოთხედში „მილუოკი“ 31 ქულით გაიჭრა წინ, ყველაფერმა აზრი დაკარგა. „მილუოკიმ“ წინდახედულება გამოიჩინა და მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა მოქანცული ბიჭები დაასვენა. „ინდიანამ“ კი ისღა მოახერხა, სხვაობა 13 ქულამდე დაეყვანა.

ბოლო მეოთხედი ფორმალობად იქცა და მწვრთნელებმა ყველა სათადარიგო გამოსცადეს. თუმც თითო-თითო წუთი, მაგრამ მაინც პლეი ოფში პირველად ითამაშეს „მილუოკის“ თურქმა თავდამსხმელმა ჰარსად თურქჯანმა და ინდიანელთა 19 წლის ცენტრმა, ლიგის ყველაზე უმრწმესმა მოთამაშემ, ჯონათან ბენდერმა.

ირაკლი ფირაშვილი



REUTERS-ის არქივიდან

ლეიკერსი — საკრამენტო. ლეიკერსელი კობი ბრაიანტი ვლადე დივაცსა (მარცხნივ) და ნიკ ანდერსონს შორის გაძვრა

გერმანია

XXXII ტური

აინტრახტი 4:0 ვოლფსბურგი

1:0 სალუ (8), 2:0 გებარტი (16), 3:0, 4:0 იანგი (77, 79)

ჰერტა 0:0 ფრაიბურგი

II ბუნდესლიგა

XXIX ტური

ზანქტ პაული 0:2 ჰანოვერი

ბოხუმი 6:1 ოფენბახი

ობერჰაუზენი 1:0 ნიურნბერგი

იტალია

სერია B

XXXII ტური

ვიენა 2:1 ატალანტა

ინგლისი

I დივიზიონი

სიტი 1:0 ბირმინგემი

ჰოლანდია

XXXII ტური

როდა 3:2 ტვენტე

ჩეხეთი

XXVII ტური

დრნოვიცე 1:1 ოპავა

თურქეთი

XXXI ტური

ბეშიქთაში 5:1 ბურსა

პორტუგალია

XXXII ტური

ამადორა 3:3 ბრაგა

REUTERS ფრანკფურტიდან

აინტრახტი — ვოლფსბურგი 4:0. ფრანკფურტელი ტორსტენ კრახტი (მარჯვნივ) და ვოლფსბურგელი ჯონათან აკპობორი

ფეხები მაღლა

ეს ქალი სამოცდათხუთმეტი კილოა და 102,5 კილოგრამი კი აუწევია. გერმანელი სტეფანი მანტლეკი მესამე ადგილზე გასულა სოფიაში მიმდინარე ევროპელ ძალოსანთა პირველობაზე. ეს მეცამეტედ არის, რომ ევროპელი ძალოსანი ქალები ერთმანეთს ეჯიბრებიან, კაცები კი სამოცდამეცხრამეტედ. რა ვთქვათ? ამაზე უკეთესი ფეხებიც გვინახავს. არა, ეს არ არის მონაკოს პრინცესა სტეფანია. სხვაა...



REUTERS სოფიიდან

REUTERS ედინბურგიდან

სველი მარიფილდი

წვიმს სქოთთა მხარეში. ედინბროს განთქმული მარიფილდის მინდორი მოვლას საჭიროებს. დღეს აქ სალიგო (ცამეტკაცა) რაგბის თასის ფინალი გაიმართება „ბრედფორდ ბულზსა“ და „ლიდზ რინოზს“ შორის. ეს სხვა რაგბია — ერთი გარბის, დანარჩენები უყურებენ, მაგრამ მარიფილდისკენ რომ ხალხი დაიძრება დღეს, იმ ხალხს ლიგის სიყვარული წინაპართაგან მოსდგამს.

ლარის შემჩნევა

REUTERS ნიუ ჯერსიდან

აჰ, როგორ მობეზრებულა... ოცი წლის წინანდელი ლეგენდარული მცველი, დიდი „მონრეალ კანადიენსის“ კაპიტნად ნამყოფი ლარი რობინსონი (მარჯვნივ) ახლა „ნიუ ჯერსი დევილზის“ მწვრთნელია და თავის გუნდს ტორონტოში, იქაურ „მეიპლ ლიფზთან“ საპლეიოფოდ ამზადებს. ვისაც ლარი ახსოვს, ამ სურათის ხილვაც ესიამოვნება. ჩვენ ხომ ოდესღაც ჰოკეი გვიყვარდა, რობინსონი კი მეტად გამორჩეული მოთამაშე იყო იმისთვის, რომ არ შეგეშინია.

ინტერნეტის ამბავში

REUTERS ჰამბურგიდან

ფეხბურთის ხალხი ჩვენს თვალწინ ჩამოიქნა საზოგადო მოღვაწედ და უიმათოდ ჩანგალი არ გარახუნდება. აი, ჰამბურგში ახალი საინტერნეტო კომპანია „ვივიტი“ გაიხსნა და ვინ აღარ იყო პრეზენტაციაზე: განთქმული ტელეწამყვანი გოგო, მინ კაი პან ტი, კიდევ უფრო განთქმული პოლიტიკოსი და ამუამინდელი ფინანსთა მინისტრი ოსკარ ლაფონტენი და კიდევ... აი, სულ მარჯვნივ, კლუბ „ჰამბურგერ შპორტფერაინის“ მწვრთნელი ფრანკ პაგელსდორფი.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი პატანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სიოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დეკაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli